

№5 (2018)

ჰასმიკ ტიგრანიანი  
სოფიო ქურთაული



დომინირებული მდგომარეობის ბოროტად  
გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის  
და ევროკავშირის კონკურენციის  
კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი



წინამდებარე შედარებითსამართლებრივი ნაშრომი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ფინანსური დახმარებით. გამოთქმული მიგნებები, შეხედულებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს GIZ-ის შეხედულებებს.



#### ავტორები:

**ჰასმიკ ტიგრანიანი** - LL.M., სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი, GIZ-ის სამართლის პროგრამის ალუმნების რეგიონული ქსელის "Transformation Lawyers" წევრი

**სოფიო ქურთაული** - LL.M., საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურის იურისტი, GIZ-ის სამართლის პროგრამის ალუმნების რეგიონული ქსელის "Transformation Lawyers" წევრი

#### მთარგმნელები:

**სოფიო ქურთაული** - იურისტი, GIZ-ის სამართლის პროგრამის ალუმნების რეგიონული ქსელის "Transformation Lawyers" წევრი

**ვეკო დოდაშვილი** - იურისტი, GIZ-ის სამართლის პროგრამის ალუმნების რეგიონული ქსელის "Transformation Lawyers" წევრი

© ავტორები, 2018

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2018

## შინაარსი

შესავალი .....	4
თავი I. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით.....	8
თავი II - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით .....	28
თავი III - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით .....	44
დასკვნა .....	92
ბიბლიოგრაფია .....	99

**დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი**

*ჰასმიკ ტიგრანიანი, სოფიო ქურთაული*

**შესავალი**

საქართველოსა და სომხეთში, საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების მსგავსად, კონკურენცია ეკონომიკური სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგეს. კონკურენცია ეკონომიკაში თამაშობს მნიშვნელოვან და გარდაუვალ როლს, რომ უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკის ზრდა სამხრეთ კავკასიაში. კონკურენცია აგრეთვე ხელს უწყობს ინოვაციას და ადაპტაციას ცვალებად გარემოში, ისევე როგორც აუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას და პროდუქტიულობას. ამგვარად, ის ხელს უწყობს ეფექტიანი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას უცხოური და ეროვნული ინვესტიციების განხორციელების პროცესში. კონკურენცია საქონლისა და მომსახურების ბაზარზე უზრუნველყოფს საწარმოებს, შესთავაზონ მომხმარებლებს დაბალი ფასები და დიდი არჩევანი, გაუმჯობესებული მომსახურება და ამგვარად უზრუნველყონ მომხმარებლის კეთილდღეობა. თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბაზრების ლიბერალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის შემცირების პროცესში, ეკონომიკური კომპეტენციის რეგულირებისათვის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს როლს.

ამ მიზნებისათვის საქართველოსა და სომხეთში არსებობენ კონკურენციის დაცვის სააგენტოები და მიღებულია შესაბამისი კანონები ეკონომიკური კონკურენციის დაცვისათვის. კონკრეტულად კი, სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისია (შემდგომში - SCPEC) შეიქმნა 2001 წელს. სომხეთის რესპუბლიკის კანონი „ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ“ მიღებულია 2000 წელს. საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირი კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) დაფუძნდა 2014 წელს, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკას. ამავე დროს, 2014 წელს, მიღებული იქნა საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩამოყალიბებამდე, კონკურენცია და თავისუფალი ვაჭრობის საკითხები რეგულირდებოდა 90-იან წლებში მიღებული სხვადასხვა კანონით.

საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების მსგავსად, ორივე ქვეყანაში, საქართველოსა და სომხეთში, კონკურენციის კანონმდებლობას აქვს რამდენიმე საზომი:

- ✓ კარტელების აკრძალვა, საიდუმლო შეთქმულების კონტროლი, სხვა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები;
- ✓ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა;
- ✓ არასამართლიანი კონკურენციის აკრძალვა;
- ✓ შერწყმის კონტროლი (შემოთავაზებული შერწყმის კონტროლი, ერთობლივი საწარმოები და ნასყიდობა)

ამგვარად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა არის კონკურენციის კანონმდებლობის ერთ-ერთი საზომი, რომელიც წარმოადგენს მის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებას. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული დომინირებული მდგომარეობის მქონე საწარმოების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება თავიანთ ეკონომიკურ სექტორში და ასევე აცილებულ იქნას კონკურენციის იმგვარად დამახინჯება, რაც საზიანოა სხვა ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებლებისათვის. კონკრეტულად, ეს ამკრძალავი მექანიზმი არსებობს იმიტომ, რომ დაცულ იქნას თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია ბაზრებზე საბაზრო ძალაუფლების კონტროლის გზით, როგორც ერთ, ასევე კოლექტიურ დომინირებულ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რათა ამ ეკონომიკურ აგენტებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, დაამახინჯონ კონკურენცია და ავნონ მომხმარებლებს უფრო მაღალი ფასების დაწესებით და არჩევანის შემცირების გზით, შეზღუდონ სხვა ეკონომიკური აგენტების ეკონომიკური აქტივობები, გამოიყენონ დისკრიმინაცია და სხვა ანტი კონკურენტული მოქმედებები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარი არის საკმაოდ კონცენტრირებული როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში. იმისათვის, რომ კონცენტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები იყოს ეფექტური, საჭიროა ძლიერი კონკურენციის კანონმდებლობა და მისი ეფექტური იმპლემენტაცია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვით.

გარდა ამისა, საკმაოდ დაბალია სამართლებრივი ცნობიერების ხარისხი ეკონომიკურ აგენტებს, ადვოკატებს, იურისტებს და მოსამართლეებს შორის<sup>1</sup>; აღნიშნული იწვევს უამრავ დარღვევას, დაბალი ხარისხის იურიდიულ მხარდაჭერას, სასამართლოს მხრიდან ასეთივე ხარისხის ბრძანებებს და გადაწყვეტილებებს, რომლებშიც უგულვებელყოფილია კონკურენციის კანონმდებლობის

---

<sup>1</sup> ამგვარი დასკვნა ეფუძნება ავტორთა პირად გამოცდილებას და ინტერვიუებს შესაბამის სსახელმწიფო მოხელეებთან, კონკრეტულად: მეთოდოლოგიისა და კონკურენციის შეფასების დეპარტამენტის ხელმძღვანელ არმან მანასერიანთან (20 ნოემბერი, 2016 წ) და იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელ ჰაიკ კარაპეტიანთან (25 ნოემბერი, 2016 წ)

თავისებურებები. ამ პრობლემის გადასაჭრელად და ცნობიერების ასამაღლებლად, აუცილებელია, რომ კონკურენციის სამართალი განვითარდეს სამართლის დამოუკიდებელ განხრად, საქართველოსა და სომხეთში, და რაც შეიძლება მეტი კვლევა ჩატარდეს კონკურენციის სამართლის კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოსა და სომხეთში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით, კონკურენციის კანონმდებლობის გაუმჯობესების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია, შედარებითი კვლევის ფარგლებში მიმოიხილოს საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების სამართლებრივი მექანიზმები დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვაზე და მათი (ამ მექანიზმების) იმპლემენტაციის პროცესი. შედარებითი კვლევის მიზანია, გამოკვეთოს კანონსა და პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები, ყურადღება გაამახვილოს თითოეული სისტემის უპირატესობაზე და გააკრიტიკოს მათთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღება შესაძლებლობას იძლევა შეთავაზებულ იქნას საქართველოსა და სომხეთის კონკურენციის კანონმდებლობების გაუმჯობესების მექანიზმი. ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობა ამ კვლევისათვის შეირჩა საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, საქართველოსა და სომხეთის კონკურენციის კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან მსგავსების და იმ უზარმაზარი წვლილის გამო, რაც ევროკავშირის მიუძღვის კონკურენციის სააგენტოების ჩამოყალიბებაში ამ ქვეყნებში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა შეიცავს საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების და პრაქტიკის შედარებით ანალიზს. კვლევა მიზნად ისახავს საქართველოსა და სომხეთის კონკურენციის სააგენტოებისათვის სახელმძღვანელო რეკომენდაციის შემუშავებას, კონკურენციის კანონმდებლობის, კონკრეტულად კი, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

კვლევა გახდება სახელმძღვანელო რეკომენდაცია ქართველი და სომეხი იურისტებისათვის ორივე ქვეყნის კონკურენციის კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან, შესაძლებლობას მისცემს მათ, უკეთ დაიცვათ თავიანთ კლიენტთა ინტერესები მეზობელ სახელმწიფოში.

და ბოლოს, კვლევა მიეძღვნება კონკურენციის კანონმდებლობის განვითარებას ორივე ქვეყანაში, საქართველოსა და სომხეთში.

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ნაშრომში გამოკვლეული და გაანალიზებულია:

- ✓ სომხეთის რესპუბლიკის „ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ“ კანონი და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული აქტები;
- ✓ SCPEC-ის და სომხეთის სასამართლოების შესაბამისი პრაქტიკა;
- ✓ საქართველოს კანონის „კონკურენციის შესახებ“ შესაბამისი მუხლები და ბაზრის ანალიზის მეთოდურ მითითებებთან დაკავშირებული სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- ✓ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით სააგენტოს შესაბამისი პრაქტიკა;
- ✓ ევროკომისიის შეტყობინება საზოგადოებრივი კონკურენციის კანონის მიზნებისათვის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრებაზე;
- ✓ კომუნიკაცია კომისიის სახელმძღვანელო მითითებაზე, კომისიის აღსრულების პრიორიტეტებზე, ევროპული თანამეგობრობის შექმნის ხელშეკრულების (EC Treaty) 85-ე მუხლის (ამჟამად მუხლი 102 TFEU) შეფარდებისას ეკონომიკური აგენტების მხრიდან ბოროტად გამოყენების საგამონაკლისო ქმედებისას;
- ✓ კომისიის სახელმძღვანელო მითითებები No1/2003, (2006/C 210/02) რეგულაციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ჯარიმების გამოყენების მეთოდთან დაკავშირებით;
- ✓ კომისიის 2002 წლის 16 დეკემბრის 1/2003 რეგულაცია EC Treaty-ს 81-ე და 82-ე მუხლებში მოცემული წესების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით;
- ✓ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული ევროკომისიის და ევრო სასამართლოების შესაბამისი პრაქტიკა

აღნიშნული ნაშრომი შედგება *შესავლისაგან, სამი თავისა და დასკვნისაგან*. შესავალში მიმოხილულია საკითხის კვლევის მიზანი, ყურადღებაა გამახვილებული მის მნიშვნელობასა და რელევანტურობაზე და ხაზგასმულია მნიშვნელოვნად მიჩნეული საკითხები. *პირველ თავში* ნამსჯელია სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის კანონმდებლობის არსზე, სამართლებრივ საფუძველსა და შესაბამისი ბაზრის ცნებაზე, განსაზღვრულია დომინირებული მდგომარეობა, ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და პასუხისმგებლობა სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად. ამ თავში ასევე გაანალიზებულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული კომისიის და სასამართლოების პრაქტიკა. *მეორე თავში* მოკლედია მიმოხილული საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის განვითარება, შემდგომ განმარტებულია შესაბამისი ბაზრის ცნება, დომინირებული მდგომარეობა და ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმები, პასუხისმგებლობა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით. შემდგომ ამისა, განხილულია სააგენტოს შესაბამისი საქმეები. *მესამე თავში* ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია განხილული, შემდეგ განსაზღვრულია შესაბამისი ბაზარი, დომინირებული მდგომარეობა, ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმები, დომინირებული მდგომარეობის

ბოროტად გამოყენების წარმოშობა და პასუხისმგებლობა ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად. ამ კუთხით ასევე გაანალიზებულია ევროკავშირის პრაქტიკა. დასკვნაში წარმოდგენილია საკითხის მოკლე შეჯამება, გამოყოფილია მსგავსება და განსხვავებები დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სხვადასხვა მოდელებს შორის, იდენტიფიცირებულია საქართველოსა და სომხეთის კონკურენციის კანონმდებლობებში არსებული სიცარიელე და ნაკლოვანებები, გაანალიზებულია ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა კონკურენციის სამართლის სფეროში და წარმოდგენილია ამ ნაკლოვანებების შესავსებად გადაწყვეტის გზები, განვითარებულია საქართველოსა და სომხეთის კონკურენციის კანონმდებლობების ეფექტიანი აღსრულების ახალი მექანიზმები.

დასახული მიზნის მისაღწევად, შესწავლილი იქნა მსოფლიოს ცნობილი უნივერსიტეტების და კონკურენციის სფეროს საუკეთესო ადვოკატების აკადემიური ნაშრომები, სტატიები და წიგნები. ეკონომიკური კონკურენციის სრულად და ამომწურავად შეფასებისა და საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების საფუძველზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის თავისებურებების იდენტიფიცირებისათვის ავტორებმა გამოიყენეს შედარებითი კვლევისა და პრაქტიკის შესწავლის მეთოდები. ამის შემდგომ, გამოყენებულია ანალოგიის მეთოდი ძირითადი მიმართულებების გამოსავლენად დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით და შეთავაზებულია გამოვლენილი საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტის გზები. საკითხის გადაუდებლობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია გაცილებით მეტის სწავლა ექსპერტებისაგან, მათი წიგნებიდან, გამოყენებულია სფეროს კვლევის მეთოდი. უფრო კონკრეტულად კი, კვლევაში გამოყენებულია ექსპერტთა მოსაზრებები, უმეტესად კომისიის თანამშრომლების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრაქტიკის იდენტიფიცირებასა და ანალიზზე.

## **თავი I. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით**

*/ჰასმიკ ტიგრანიან/*

სომხეთის რესპუბლიკაში, მსგავსად საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებისა, კონკურენცია ეკონომიკური სისტემის ქვაკუთხედად მიიჩნევა. სომხური კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველი სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაშია (2015) გაჟღერებული. კონკრეტულად, მე-11 მუხლი აღიარებს



თავისუფალ ეკონომიკურ კონკურენციას, როგორც კონსტიტუციურ პრინციპს და ეკონომიკის საფუძველს, ხოლო 59-ე მუხლი უზრუნველყოფს ეკონომიკური კონკურენციის დაცვას დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის ამკრძალავი შეთანხმებების და უსამართლო კონკურენციის აკრძალვით. სომხეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები აგრეთვე შეიცავენ კონკურენციის დაცვის მექანიზმებს კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვით და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვით სამოქალაქო უფლებების შემოღების გზით<sup>2</sup> და კონკურენციის ამკრძალავი შეთანხმებებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით.<sup>3</sup>

SCPEC სომხეთის რესპუბლიკაში ახდენს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ კანონის (შემდგომში - კანონი) და კონკურენციის მომწესრიგებელი სხვა კანონების აღსრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი მიღებულია 2000 წელს, ხოლო კომისია შეიქმნა 2001 წელს, მას შემდეგ რაც პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას მოეწერა ხელი ევროკავშირსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის (1999), რადგან კომისიის ჩამოყალიბებას ევროკავშირის მოთხოვნებში ითვალისწინებდა.

ამჟამად, კომისია იცავს კონკურენციას შემდეგი მიმართულებით:

- ✓ კარტელების აკრძალვა, საიდუმლო შეთქმულების კონტროლი, სხვა კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები;
- ✓ დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა, ბოროტად გამოყენების აკრძალვა;
- ✓ არასამართლიანი კონკურენციის აკრძალვა;
- ✓ შერწყმის კონტროლი (შემოთავაზებული შერწყმის კონტროლი, ერთობლივი საწარმოები და ნასყიდობა იმ კომპანიების მონაწილეობით, რომელთაც აქვთ კონკრეტული ოდენობის ბრუნვა);
- სახელმწიფო დახმარების შეზღუდული კონტროლი

ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, რომლის მიზანია თავიდან იქნეს აცილებული დომინირებული მდგომარეობის მქონე საწარმოების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და კონკურენციის დამახინჯება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრებამდე, პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი ბაზრის (სასაქონლო ბაზარი) ცნების ჩამოყალიბება, რომელიც ადგენს კონკურენციის საზღვრებს კომპანიებს შორის. კანონის მე-4 მუხლი ითვალისწინებს სასაქონლო პროდუქციული ბაზრის და სასაქონლო ბაზრის ძირითად ცნებებს. მაგალითად, მე-4 მუხლის თანახმად:

<sup>2</sup> სომხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი, [www.arlis.am](http://www.arlis.am)

<sup>3</sup> სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი, [www.arlis.am](http://www.arlis.am)

„პროდუქციული ბაზარი, პროდუქციის ბრუნვისა და ჩანაცვლებადი პროდუქტების გათვალისწინებით კონკრეტულ ტერიტორიაზე, რაც განსაზღვრულია კომისიის გადაწყვეტილებით, საიდანაც საზღვრები დადგენილია შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური შესაძლებლობების და მყიდველის მიერ პროდუქტის შეძენის მიზანშეწონილობიდან. პროდუქციული ბაზარი ხასიათდება პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრებით, მისი სუბიექტების შემადგენლობითა და მოცულობით;

პროდუქტის პროდუქციული საზღვარი გულისხმობს მოცემულ პროდუქტს და მის ჩამნაცვლებლებს, როგორც ეს მოცემულია კომისიის გადაწყვეტილებაში;

პროდუქტის გეოგრაფიული საზღვარი გულისხმობს კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიას (საგზაო, საჰაერო, წყლის და სახმელეთო მარშრუტების ჩათვლით, და ა.შ), რომლის ფარგლებშიც ეკონომიკურად შესაძლებელია და მიზანშეწონილია მყიდველისთვის ამ პროდუქტის მისი ჩამნაცვლებელი პროდუქტების შეძენა, ამგვარი შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა არ არის ხელმისაწვდომი ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. პროდუქტის გეოგრაფიულმა საზღვარმა შეიძლება მოიცვას სომხეთის რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ან მისი ნაწილი, ან სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია (მისი ნაწილი) სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან (ამ მის ნაწილთან) ერთად.“

„სასაქონლო ბაზრის საზღვრების დადგენის პროცედურის შესახებ“ კომისიის 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №190-N (შემდგომში - გადაწყვეტილება 190-N)<sup>4</sup>, ითვალისწინებს სასაქონლო ბაზრის საზღვრების დადგენის პროცედურას მისი სუბიექტების შემადგენლობითა და მოცულობით. გადაწყვეტილება 190-N კონკრეტულად უთითებს, რომ სასაქონლო ბაზარი ხასიათდება სასაქონლო ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრებით. უფრო მეტიც, გადაწყვეტილება 190-N ბრძანებს, რომ სასაქონლო ბაზრის პროდუქციული საზღვრები ეფუძნება პროდუქციის ურთიერთჩანაცვლებადობას ან მყიდველთა შესაძლო ქცევას, რაც გამომდინარეობს პროდუქტის გამოყენებიდან, თავსებადობიდან, ტექნიკური მახასიათებლიდან, ფასიდან ან სხვა.

გადაწყვეტილება ასევე ითვალისწინებს, რომ შესაბამისი ბაზარი შესაძლოა განისაზღვროს საქონლის შესაბამისობის კლასიფიკატორის მხედველობაში მიღებით: პროდუქციის კლასიფიკაცია აქტივობებით CPA (Classification of Products by Activities), უცხოური ეკონომიკური აქტივობის სასაქონლო ნომენკლატურა (FEACN (Foreign Economic Activity Commodity Nomenclature), ან შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სხვა წყაროები, როგორცაა სახელმწიფო ორგანოების მონაცემები, ეკონომიკური სააგენტოები, ექსპერტთა ანგარიშები, კვლევები, წინა კვლევების

<sup>4</sup> სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისია <http://bit.ly/2se6tCO>

შედეგები და ა.შ. სასაქონლო ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დასადგენად, გადაწყვეტილება 190-N იმეორებს მე-4 მუხლის დებულებებს, რაზეც ზემოთ არის აღნიშნული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონი და გადაწყვეტილება 190-N მხედველობაში იღებს მხოლოდ მიწოდების (მყიდველი) მხარის ჩანაცვლებადობას და ურთიერთჩანაცვლებადობას, მაშინ როდესაც, აშშ-ს, ევროკავშირის, კანადის, ავსტრალიის და სხვა განვითარებული სახელმწიფოების კონკურენციის კანონმდებლობები აგრეთვე ითვალისწინებს გვერდით ჩანაცვლებადობას და პოტენციურ კონკურენციას.<sup>5</sup> ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ შესაბამისი ბაზრის კლასიფიკაციის მხედველობაში მიღება უზრუნველყოფს მოქნილ მიგნებას კომისიისათვის შესაბამისი ბაზრის საზღვრების განსაზღვრისათვის.

კვლევა და კომისიის გადაწყვეტილებების ანალიზი აჩვენებს, რომ შესაბამისი პროდუქციული ბაზარი განისაზღვრება პროდუქციის ურთიერთჩანაცვლებადობით FEACN-ის და სხვა კლასიფიკაციების გამოყენებით. უფრო მეტიც, გადაწყვეტილება 190-N იმეორებს კანონის მე-4 მუხლს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება უმეტესად უზრუნველყოფს ტერმინთა განმარტებას, განიცდის აღსრულების მექანიზმის რეგულირების და ნათელი მეთოდოლოგიის განსაზღვრის ნაკლებობას. ეს იმ მიზეზით არის განპირობებული, რომ გადაწყვეტილება არ არის სრულად აღსრულებული. ეს სირთულეებს უქმნის კომისიას კონკურენციის რეგულირებაში იმგვარ შესაბამის ბაზრებზე, რომლებიც არიან პატარა ან საკმაოდ დიდი და შეუძლებელია კლასიფიკაციის მეთოდების გამოყენებით მათი განსაზღვრა. ამიტომ, ბაზრის განსაზღვრის პროცესში სწორი და დიფერენცირებული მიდგომები, ყოვლისმომცველი დამუშავების მეთოდები და აღსრულების მექანიზმები გადაწყვეტილება 190-N-ში, არა მხოლოდ დაეხმარება ნებისმიერი სახის ბაზრის რეგულირებას, არამედ თავიდანაც ააცილებს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრიდან წარმოშობილ დავებს.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შემდეგი ნაბიჯია იმის დადგენა, კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს აქვს დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, თუ არა. კანონის მე-6 მუხლი ადგენს კრიტერიუმებს დომინირებული მდგომარეობის შეფასების არსებობისთვის.<sup>6</sup> კონკრეტულად მე-6 მუხლი ბრძანებს:

„1. ამ კანონის მიზნებისათვის, პროდუქციის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საწარმო, თუ მას არ ჰყავს კონკურენტი გამყიდველის ან მყიდველის სახით.

<sup>5</sup> Jones/ Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 44-50

<sup>6</sup> სომხეთის რესპუბლიკის კანონი ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ, <http://bit.ly/2tcFLG4>

2. ეკონომიკური აგენტი პროდუქციულ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, თუ:

(1) მოცემულ პროდუქციულ ბაზარზე მას აქვს საბაზრო ძალაუფლება, კერძოდ, არ უპირისპირდება რომელიმე მნიშვნელოვანი კონკურენტი გამყიდველის ან მყიდველის სახით, და (ან) მისი ფინანსური მდგომარეობიდან ან სხვა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს გადამწყვეტი გავლენა მოცემული პროდუქციის ბაზრის ზოგად პროდუქციულ შემოსავალზე და (ან) განდევნოს სხვა ეკონომიკური აგენტი მოცემული პროდუქციის ბაზრიდან ან (და) შეაფერხოს შესვლა მოცემული პროდუქტის ბაზარზე; ან

(2) როგორც გამყიდველი ან მყიდველი, ის იკავებს სულ მცირე მოცემული ბაზრის 1/3-ს გაყიდვის და შეძენის მოცულობების მიხედვით; ან

(3) ორი ეკონომიკური აგენტიდან, რომელთაც აქვთ გაყიდვის ან შესყიდვის უდიდესი მოცულობა პროდუქციულ ბაზარზე, თითოეული შეიძლება მიჩნეულ იქნას დომინირებული მდგომარეობის მქონედ მოცემულ პროდუქციულ ბაზარზე, თუ ისინი, როგორც გამყიდველები ან მყიდველები, ერთობლივად იკავებენ სულ მცირე მოცემული ბაზრის 1/2-ს (ერთი ნახევარი) გაყიდვის და შეძენის მოცულობების მიხედვით; ან

(4) სამი ეკონომიკური აგენტიდან, რომელთაც აქვთ გაყიდვის ან შესყიდვის უდიდესი მოცულობა პროდუქციულ ბაზარზე, თითოეული შეიძლება მიჩნეულ იქნას დომინირებული მდგომარეობის მქონედ მოცემულ პროდუქციულ ბაზარზე, თუ ისინი, როგორც გამყიდველები ან მყიდველები, ერთობლივად იკავებენ სულ მცირე მოცემული ბაზრის 2/3-ს გაყიდვის და შეძენის მოცულობების მიხედვით;

3. ეკონომიკური აგენტი (აგენტები) შეიძლება მიჩნეულ იქნას დომინირებული მდგომარეობის მქონედ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მე-2, მე-3 და მე-4 ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთი საფუძვლით, მოცემული პროდუქციული ბაზრის სტრუქტურის თავისებურებების გათვალისწინებით, ბაზარზე ოპერირებადი ეკონომიკური აგენტების სეგმენტების წილით. ეკონომიკურმა აგენტმა (აგენტებმა) ამ მუხლის შესაბამისად, შესაძლოა წარმოადგინოს/ნ მტკიცებულება, რომ ის/ისინი არ ფლობს/ფლობენ დომინირებულ მდგომარეობას შესაბამის პროდუქციულ ბაზარზე.

4. ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური ან დომინირებული მდგომარეობის, ეკონომიკური აგენტის საბაზრო მდგომარეობის დადგენის პროცედურა და კრიტერიუმები განისაზღვრდება კომისიის მიერ.

5. სავაჭრო ქსელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არის ოთხი ან მეტი სავაჭრო აგენტის კლასტერი.<sup>7</sup>

---

<sup>7</sup> იქვე, მუხლი 6

ამგვარად, კანონის მე-6 მუხლი აწესებს დომინირებული მდგომარეობის არსებობის კრიტერიუმებს, რომელებიცაა: საბაზრო ძალაუფლების არსებობა ან ერთი აგენტის (ერთ ეკონომიკურ აგენტს აქვს 1/3 საბაზრო წილი) ან კოლექტიური (2 ეკონომიკური აგენტი 1/2 საბაზრო წილით ან 3 – 2/3 საბაზრო წილით) დომინანტობა. ნორმა ასევე ადგენს კლასტერის კრიტერიუმებს 4 ან მეტი სავაჭრო აგენტის მიერ სავაჭრო ქსელებში დომინირებული მდგომარეობის არსებობისას.

შესაბამისად, მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ კონკურენციის კანონმდებლობის სამეცნიერო ლიტერატურა დომინირებული მდგომარეობის არსებობის შესაფასებლად სთავაზობს „პირდაპირ“ და „არაპირდაპირ“ მეთოდებს.<sup>8</sup> „პირდაპირი“ მეთოდი დომინირებული მდგომარეობის განსასაზღვრად იყენებს ეკონომიკურ მეთოდებს -რეზიდუალური მოთხოვნის მრუდს (მოთხოვნის მრუდი, რომელიც ერთი ფირმის წინაშეა). თუმცა ამ მეთოდით მოთხოვნილი მონაცემების მოპოვება ხშირად რთულია. „არაპირდაპირი“ მეთოდი საბაზრო ძალაუფლების განსასაზღვრად მიიჩნევს სტრუქტურულ მიდგომას რაოდენობრივი ინდიკატორის (საბაზრო წილი) ან/და ხარისხობრივი ინდიკატორის (ბაზარზე კონკურენციის სტრუქტურა, კონკრეტულად, დომინირებული ეკონომიკური აგენტის/აგენტების საბაზრო მდგომარეობა და მისი/მათი კონკურენტები, მყიდველის თანმხვედრი/საპირისპირო ძალაუფლება, გამეგება ან შესვლა) შეფასებით. ამ მიზეზით, საბაზრო ძალაუფლების შეფასების „არაპირდაპირი“ მეთოდი ერთადერთია, რომელიც გამოიყენება კონკურენციის დაწესებულებების მიერ მსოფლიოში. მე-6 მუხლის ანალიზი აჩვენებს, რომ სომხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კანონმდებლობა იყენებს არაპირდაპირ მეთოდს დომინირებული მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

კანონის მე-6 მუხლის გამოყენების პროცედურული დეტალები გაწერილია „მონოპოლიური ან დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის პროცედურისა და კრიტერიუმის დამტკიცების, ასევე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების შესახებ“ (SCPEC-ის გადაწყვეტილება 194-N, 23 მაისი, 2011) ბრძანებაში.<sup>9</sup> გადაწყვეტილება 194-N აღწერს დომინირებული მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებს, ამავდროულად ხაზს უსვამს სიტუაციებს, როდესაც შეფასება არ ტარდება. ეს უკანასკნელი ის შემთხვევაა, როცა ეკონომიკური აგენტი ფლობს შესაბამისი ბაზრის 100%-ს და მიიჩნევა გამყიდველად (მიმწოდებლად), ვისაც არ ჰყავს კონკურენტები. ამგვარ შემთხვევებში მონოპოლიური მდგომარეობა დგინდება კვლევის ჩატარების გარეშე.

აგრეთვე, გადაწყვეტილება 194-N-ის მიხედვით, როდესაც დომინირებული მდგომარეობა ფასდება ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის მიხედვით, SCPEC

<sup>8</sup> On establishing the procedure and criteria for identification of monopolistic or dominant position of an economic entity, including market power (SCPEC decision 194-N, May 23, 2011) <http://bit.ly/2tM08ai>

<sup>9</sup><http://bit.ly/2tM08ai>

განსაზღვრავს წილს კვლევის ჩატარების გზით ამ ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ორგანოების და ოფიციალური ინფორმაციის სხვა წყაროების მიერ მისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამასთან, განსაზღვრავს როგორ ანგარიშდება საბაზრო წილი თითოეული ბაზრის თავისებურებების მხედველობაში მიღებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება 194-N ბრძანებს, რომ საბაზრო ძალაუფლება მაშინ მიიღება მხედველობაში, როდესაც შეუძლებელია დომინირებული მდგომარეობის შეფასება საბაზრო წილით.

თუმცა, გადაწყვეტილება 194-N მხოლოდ ჩამოთვლის საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის კრიტერიუმებს, რაც საჭიროა შეფასებისთვის: შესაბამისი ბაზრის ცენტრალიზების ხარისხი, ეკონომიკური აგენტის ფინანსური შესაძლებლობები, შესვლის ბარიერები ან სხვა ფაქტორები (მარეგულირებელი, ხელშეკრულების ძალით და ა.შ) ბაზარზე შესვლის თავიდან ასაცილებლად, შესაბამისი ბაზრის ცენტრალიზების ხარისხი და წილის თანაფარდობა იმ ეკონომიკური აგენტისათვის, რომელიც დაკავშირებულია შესაბამის ბაზართან, შესაბამისი ბაზრის სტაბილურობა, დომინირებული ეკონომიკური აგენტის გავლენა სხვა დაკავშირებულ ბაზრებზე; გადაწყვეტილება არ შეიცავს თითოეული ზემოხსენებული კრიტერიუმის აღწერას და არ განმარტავს მათი გამოყენების დეტალებს.

ზემოხსენებული ანალიზის მიხედვით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილება 194-N არის პროცედურა დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისათვის მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლით - საბაზრო წილის მხედველობაში მიღებით; ამასთან, რაოდენობრივი მაჩვენებლის - საბაზრო ძალაუფლების გათვალისწინებისათვის უნდა ითქვას, რომ ეს ბრძანება უზრუნველყოფს მხოლოდ კრიტერიუმს, მაგრამ არა მითითებას პროცედურაზე. ამგვარად, SCPEC-ის ამ დრომდე მიღებული გადაწყვეტილებები<sup>10</sup> აჩვენებს, რომ ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა საბაზრო ძალაუფლების მხედველობაში მიღების კრიტერიუმით მხოლოდ ერთ საქმეში განისაზღვრა. ეს იყო საქმე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე SCPEC vs. Armentel, რომელიც გადაწყდა 2011 წელს (აღნიშნული საქმის ანალიზი მოხდება კვლევის ნაწილში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე)<sup>11</sup>. ყველა სხვა საქმეში SCPEC-მა იხელმძღვანელა ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის კრიტერიუმით. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო წილის კრიტერიუმის მხედველობაში მიღება ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ზრდის კონკურენციის სააგენტოს აღსრულების ეფექტიანობას და მეწარმეებს აძლევს სამართლებრივ განსაზღვრულობას *prima facie* დომინირების დასაბუთებისთვის. თუმცადა, მხოლოდ საბაზრო წილის მხედველობაში მიღება ზღუდავს SCPEC-ს რეალური დომინანტობის

<sup>10</sup> SCPEC-ის ვებგვერდი <http://bit.ly/2u8pizt>

<sup>11</sup> ინტერვიუ მეთოდოლოგიისა და პროგრამის დადგენების დეპარტამენტის უფროსთან არმან მანასერიანთან

განსაზღვრაში. მაგალითად, რძის პროდუქტების ბაზარზე, სხვა ბევრ ბაზარზე არსებობენ ეკონომიკური აგენტები<sup>12</sup>, რომლებიც მართო ან ერთად, დაკავშირებულ კომპანიებთან ერთად ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას და ადგენენ ფასებს და წესებს ბაზრის მონაწილეებისათვის, რაც ამავდროულად გავლენას ახდენს მომხმარებელზე. ამასთან, ამ ეკონომიკურ აგენტებს აქვთ ნაკლები საბაზრო წილი (ნაკლები ვიდრე 1/3), ვიდრე ეს მოთხოვნილია კანონით დომინანტობის დასადგენად. თანაც, 3 ეკონომიკური აგენტის კოლექტიური დომინანტობის საქმეებში (2/3 საბაზრო წილი და მეტი), შესაძლებელია, რომ ამ აგენტებიდან ერთ-ერთს ჰქონდეს 10-15%-ზე ნაკლები საბაზრო წილი, და რეალურად საბაზრო ძალაუფლებას არ ჰქონდეს გავლენა ბაზარზე. ზემოხსენებული საქმეებისთვის, აუცილებელია ასევე დადგინდეს საბაზრო ძალაუფლება, რათა სრულად შეფასდეს კონკურენცია და შესაბამისი ბაზრის ცენტრალიზაციის საკითხი. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მიდგომა, რომელსაც იყენებს SCPEC, წარმოშობს საბაზრო წილის ზედმეტად ან ნაკლებად ხაზგასმის რისკს გარკვეულ საქმეებზე, რაც ხელს უწყობს აღსრულების გადაჭარბებას ან აღსრულების სიმცირეს. ამ მიზეზით აშშ-სა და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობები უტყუარად არ განსაზღვრავენ, რომ ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა უკავშირდება გარკვეული ბაზარზე საბაზრო წილის სიდიდის მიღწევას.<sup>13</sup>

და ბოლოს, როდესაც შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა დგინდება, მომდევნო ნაბიჯია იმის განსაზღვრა, დომინანტი ეკონომიკური აგენტი იყენებს თუ არა ბოროტად თავის ამ მდგომარეობას. მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, გათვალისწინებულია კანონის მე-7 მუხლში, რომელიც კრძალავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და ადგენს:

"... დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემდეგი:

(ა) კანონმდებლობასთან კოლიზიაში, შესყიდვის ან გაყიდვის დისკრიმინაციული ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ, უსამართლოდ, დადგენა ან შეტყობინება;

(ბ) სხვა ეკონომიკური აგენტის მიერ ვაჭრობის აკრძალვა ან წარმოების მოდერნიზება ან ინვესტირება;

(გ) პროდუქციის იმპორტის უსამართლო შემცირება ან შეწყვეტა, წარმოება მომხმარებლის ინტერესებისათვის ზიანის მისაყენებლად, ან დეფიციტის წარმოშობა

<sup>12</sup> ინფორმაცია ამ ეკონომიკურ აგენტებზე არის სავაჭრო საიდუმლოება და ვერ იქნება გამჟღავნებული

<sup>13</sup> Graham/ Richardson: Global Competition Policy, 2007, pp. 335-344

ან შენარჩუნება პროდუქციულ ბაზარზე შენახვის, გაფუჭების ან/და განადგურების გზით;

(დ) დისკრიმინაციული პირობების გამოყენება სხვა ეკონომიკური სუბიექტების ან მომხმარებლების მიმართ;

(ე) დამატებითი ვალდებულებების დაწესება ხელშეკრულების მხარის ან სხვა პირის მიმართ, რომელიც მიზნად ისახავს ხელშეკრულების დადებას, სავაჭრო საწარმოების/პირების ჩათვლით, რაც მათი ბუნებით ან იმპლემენტაციის ასპექტით არ უკავშირდება ხელშეკრულების საგანს;

(ვ) ეკონომიკური აგენტების იძულება ეკონომიკური ურთიერთობების რესტრუქტურირების, ლიკვიდაციის ან გაწყვეტის მიზნით;

(ზ) მოქმედება ან ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზარზე შესვლის გართულებას (ბაზარზე შესვლის აკრძალვას), ან მათ ბაზრიდან გაძევებას, რომლის შედეგადაც ეკონომიკური აგენტი არ შევიდა ბაზარზე ან გაძევებულ იქნა ბაზრიდან ან გაიღო დამატებითი ხარჯები, რათა არ გაძევებულიყო ბაზრიდან; ან, რის შედეგადაც, სხვა ეკონომიკურმა აგენტმა შესაძლოა ვერ მოახერხა ბაზარზე შესვლა, ან გაძევდა ბაზრიდან ან დამატებითი ხარჯები გაწია ბაზრიდან გაძევების თავიდან ასაცილებლად;

(თ) შეთავაზება ან იმგვარი პირობების დაწესება, რაც წარმოშობს ან შესაძლოა წარმოშვას არათანაბარი კონკურენციის პირობები იმ შემთხვევაში, როდესაც იგივე პირობები არ იქნა შეთავაზებული სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის, რომლებიც ოპერირებენ მოცემულ პროდუქციულ ბაზარზე;

(ი) ფასდაკლების ან პრივილეგიების დადგენა, შეცვლა ან შენარჩუნება გაყიდვის ან შესყიდვის ფასების მიმართ, რაც გამიზნულია კონკურენციის შესაზღუდად, თავიდან ასაცილებლად ან ასაკრძალად;

(კ) პროდუქტის ფასის უსამართლოდ გაზრდა, შემცირება ან შენარჩუნება;

(ლ) სხვაგვარი პირობების ან ქცევის დაწესება ან დადგენა, რაც ემსახურება ან შესაძლოა მოემსახუროს ეკონომიკური კონკურენციის შეზღუდვას, თავიდან აცილებას ან აკრძალვას.“

აღსანიშნავია, რომ კანონი განასხვავებს ბოროტად გამოყენების შემდეგ ზოგად კატეგორიებს: (1) საფასო პოლიტიკის ბოროტად გამოყენება; (2) ფასდაკლებების დადგენის ბოროტად გამოყენება; (3) ინოვაციის, წარმოების, ტექნიკური განვითარების შეზღუდვა/ლიმიტირება ბოროტად გამოყენების გზით; (4) ბოროტად გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენტების გაძევებას ბაზრიდან და ბაზარზე შესვლისთვის დაბრკოლებების შექმნას; (5) ბოროტად გამოყენება უსამართლო ფასების პოლიტიკის დადგენით ან უსამართლო სავაჭრო პირობების დაწესებით; (6)



მიზმა და დაწყვილება; (7) მიწოდებაზე უარის ბოროტად გამოყენება; (8) მარჟის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება; (9) ექსკლუზიურობის ბოროტად გამოყენება; (10) მომხმარებლებისათვის ზიანის მიყენება; (11) ეკონომიკური აგენტების იძულების ბოროტად გამოყენება ეკონომიკური ურთიერთობების რესტრუქტურისაგვის, ლიკვიდაციის ან გაწყვეტის მიზნით.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია კანონის მე-19 და 36-ე მუხლებში. კონკრეტულად, მე-19 მუხლი აცხადებს, რომ კანონის დარღვევის შემთხვევებში (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ჩათვლით) SCPEC უფლებამოსილია გამოსცეს გაფრთხილება დარღვევების აღმოფხვრის და (ან) მომავალში გამორიცხვისათვის, დააწესოს ჯარიმა დარღვევების აღმოფხვრის და (ან) მომავალში გამორიცხვისათვის და გადაახდევინოს ჯარიმა დროის განსაზღვრულ პერიოდში მისი აღსრულებისათვის. აგრეთვე, 36-ე მუხლის დაწესებით განსაზღვრავს დეტალებს ჯარიმასთან დაკავშირებით: "დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯარიმა 5 მილიონიდან 200 მილიონ დრამამდე, დარღვევის განხორციელების წლისათვის ეკონომიკური აგენტის შემოსავლიდან 10%-მდე ოდენობით. წინა წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობებისას, რაც ნაკლებია 12 თვეზე, ამისათვის გათვალისწინებული დარღვევისათვის ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს იმ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული შემოსავლის ათი პროცენტი, დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 12 თვის განმავლობაში."

ნორმიდან ცხადია, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ეკონომიკური აგენტის მიერ ფასების უსამართლოდ გაზრდის შედეგად მიღებული მოგება (შემოსავალი) SCPEC-ის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიექცევა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში.

სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტებისათვის პასუხისმგებლობის ზომების დაწესებისას, SCPEC მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს: დარღვევის ბუნებას და ხანგრძლივობას, დარღვევის პოტენციურ ან აქტიურ ზემოქმედებას კონკურენციის გარემოზე ან მომხმარებელთა ინტერესებზე, დაინტერესებული ეკონომიკური აგენტის განზრახვას, დაინტერესებული ეკონომიკური აგენტების დარღვევების განმეორებითობას, ჯარიმების შესაძლო ზემოქმედებას დაკავშირებულ ეკონომიკურ აგენტებზე და დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სფეროს.<sup>14</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ SCPEC უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტების დამლაზე (დაყოფა, განცალკევება,

<sup>14</sup> Article 31, RA Law on the protection of economic competition

წილების ან ქონების გასხვისება), რომლებმაც დომინირებული მდგომარეობა ბოროტად გამოიყენეს ორჯერ ან მეტჯერ წელიწადში.<sup>15</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (სისხლის ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა 8 წლამდე ვადით) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის, განსაკუთრებით არალეგალურად მაღალი ან დაბალი ფასების გაზრდის, შემცირების ან შენარჩუნებისათვის.<sup>16</sup>

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სრული და ყოველმხრივი განსაზღვრისათვის, ამ კვლევამ გაითვალისწინა მე-6 და მე-7 მუხლების გამოყენება პრაქტიკაში. კონკრეტულად, შემდეგი ძირითადი საქმეებია განხილული:<sup>17</sup>

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შპს Natali Pharm-ის მხრიდან

2010 წელს SCPEC-მა Heritage party of RA National Assembly-სგან მიიღო საჩივარი, სადაც მომჩივანმა აცხადებდა, რომ შპს Natali Pharm-მა გააძევა შპს Szni, თავისი კონკურენტი, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში ცეფტრიაქსონის (Ceftriaxone) ბაზრიდან. კონკრეტულად, მომჩივანი მიუთითებდა, რომ შპს Natali Pharm და შპს Szni ორივე მონაწილეობდა ერთ-ერთი სომხური საავადმყოფოს მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში ცეფტრიაქსონზე. შპს Szni-მ გაიმარჯვა და უნდა მიეწოდებინა ცეფტრიაქსონი ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის. თუმცა, შპს Natali Pharm-მა აჩუქა ცეფტრიაქსონი საავადმყოფოს, შესაბამისად, მას აღარ სჭირდებოდა წამალი და უარი უთხრა შპს Szni-ს მიწოდების ხელშეკრულებაზე. SCPEC-მა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და მოკვლევის ფარგლებში, რომელიც გაგრძელდა 2 წელი, შეისწავლა ყველა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა 2010-2011 წლებისათვის, რომლებიც ჩატარდა 134 სახელმწიფო საავადმყოფოსა და სამედიცინო ინსტიტუტების მიერ.

კვლევამ აჩვენა, რომ შპს Natali Pharm-ს ბევრ სხვა სახელმწიფო შესყიდვის ტენდერში გაღებული ჰქონდა ცეფტრიაქსონი დონაციის სახით (მხოლოდ იმ ტენდერებში, სადაც შპს Szni იღებდა მონაწილეობას) ან შეთავაზებული ჰქონდა შეუსაბამოდ დაბალი ფასი ცეფტრიაქსონისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით უნდა ითქვას, რომ Natali Pharm მონაწილეობდა სხვა წამლების 322 სახელმწიფო ტენდერში, მაგრამ ჩუქებით გადაცემული ჰქონდა მხოლოდ ცეფტრიაქსონი. კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენებით, წამლისა და სამედიცინო ტექნოლოგიების ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად წამალთა კლასიფიკაციის შესახებ, SCPEC-მა განსაზღვრა

<sup>15</sup> Ibid. Article 19

<sup>16</sup> Article 195, RA Criminal Code

<sup>17</sup> All these cases are available on the website of SCPEC: <http://bit.ly/2se6tcO>

შესაბამისი ბაზარი, როგორც „ცეფტრიაქსონი და მისი შემცველები“ და გეოგრაფიულ ბაზრად სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ორგანოებიდან, შესაბამისი ბაზრის ეკონომიკური აგენტებისგან მიღებული ინფორმაციით და რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით (საბაზრო წილის გათვალისწინება) დომინირებული მდგომარეობის განსასაზღვრად, შესაბამის ბაზარზე დადგინდა შპს Natali Pharm-ის და შპს Alpha Pharm-ის კოლექტიური დომინირებული მდგომარეობა (2 ეკონომიკური აგენტი ბაზრის 1/2 წილზე მეტით). Natali Pharm-ის მოქმედებები, კონკრეტულად კი, სახელმწიფო ტენდერების ფარგლებში ცეფტრიაქსონის დონაცია და ამ წამალზე მოთხოვნის გაქრობა, ასევე ოფერტის გაკეთება პროდუქტის გონივრულ წმინდა ღირებულებაზე დაბალ ფასზე, ქცევა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის გაქრობის მიზნით, მიჩნეულ იქნა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. 2012 წელს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის, კონკრეტულად, კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დარღვევისთვის, შპს Natali Pharm დაჯარიმდა 20.000.000 სომხური დრამით (დაახლოებით 40 000 აშშ დოლარი). ამ გადაწყვეტილებაში SCPEC-მა ასევე დაადგინა 7.2. მუხლის დარღვევა, რომელიც განსაზღვრავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ყველა ნიშანს. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი აჩვენებს, რომ სახეზე იყო 7.2. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის (შესყიდვის ან გაყიდვის დისკრიმინაციული ფასების უსამართლოდ, დადგენა ან შეტყობინება), „გ“ ქვეპუნქტის (მოქმედება ან ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ... სხვა ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან გაძევებას) და „ლ“ ქვეპუნქტის (დაწესება ან გამოყენება ... ან ქცევა, რომელიც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს შეზღუდვა, თვიდან აცილება ან აკრძალვა ეკონომიკური კონკურენციის) დარღვევა. ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვის შედეგად მიღებული იქნა ზემოხსენებული გადაწყვეტილება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე, რომელიც ზუსტად აჩვენებს რომელი ნიშნები იყო სახეზე 7.2 მუხლის დარღვევისას; თუმცა, უკეთესი სამართლებრივი დასაბუთებისთვის, უმჯობესი იქნებოდა კონკრეტულად მითითებულიყო, მუხლი 7.2-ის რომელი ქვეპუნქტები დაირღვა. დამატებისთვის უნდა ითქვას, რომ Natali Pharm-მა ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება, რომელიც ამჟამად იხილება სასამართლოში.

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შპს გავარ-ტრანსის მხრიდან (2011)

2011 წელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ანგარიშების მხედველობაში მიღებით, რომელიც უკავშირდებოდა საჯარო ტრანსპორტის შეუსაბამოდ მაღალ ფასს ერევან-გავარის, გავარ-ერევნის მიმართულებაზე, SCPEC-მა დაიწყო მოკვლევა საჯარო ტრანსპორტირების მიმართულებით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაბამის ბაზრად განისაზღვრა „მგზავრთა რეგულარული ტრანსპორტირება ერევნიდან გავარამდე და გავარიდან ერევნამდე მიმართულებებზე“. შპს Gavartrans-ის

დომინირებული მდგომარეობა დადგინდა კანონის 6.1. მუხლიდან გამომდინარე (ეკონომიკური აგენტი შეიძლება მიჩნეულ იქნას მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ პროდუქციულ ბაზარზე, თუ მას არ ჰყავს კონკურენტი მყიდველის ან გამყიდველის სახით). კომპანიას ექსკლუზიური ლიცენზიის ქონა, აძლევს შესაძლებლობას, იყოს ერთადერთი ეკონომიკური აგენტი შესაბამის ბაზარზე, რაც მიჩნეულ იქნა მისი მონოპოლიური მდგომარეობის ქონის მტკიცებულებად შესაბამის ბაზარზე. კვლევამ აჩვენა, რომ შპს Gavartrans მონაწილეობდა სახელმწიფო ტენდერებში მგზავრთა რეგულარული ფასიანი ტრანსპორტირებისთვის ერევანი-გავარი-ერევანის (ტენდერი 1) და ერევანი-სარუხანი (სოფელი გავართან ახლოს, სადაც ერთადერთი გზა გავარის გავლით მიდის) - ერევანის (ტენდერი 2) მიმართულებით და განაკვეთით 500 დრამი გამოცხადდა გამარჯვებულად ამ ორ ტენდერში. თუმცა Gavartrans-მა რეგულარული ტრანსპორტირების სერვისი უზრუნველყო მხოლოდ ერევანი-სარუხანი-ერევანის მიმართულებაზე, რისთვისაც მგზავრები იხდიდნენ 500 სომხურ დრამს. ხოლო ერევანი-გავარი-ერევანის მგზავრებს წაერთვათ საჯარო ტრანსპორტირების უფლება თავიანთ მიმართულებაზე, უნდა გამოეყენებინათ რა საჯარო ტრანსპორტირება ერევანი-სარუხანის-ერევანის მიმართულებით, რისთვისაც იძულებულნი იყვნენ გადაეხადათ ორმაგი ფასი 1000 სომხური დრამი.

ამრიგად, Gavartrans იყენებდა შეუსაბამოდ მაღალ ფასს, რაც მგზავრებს აიძულებდა ერევანი-გავარი-ერევანის მიმართულებაზე გადაეხადათ 1000 სომხური დრამი. ამასთანავე, Gavartrans-მა შეუზღუდა სხვა ეკონომიკურ აგენტებს შესაბამის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, რომლებიც სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობდნენ შესაბამისი ფასითა და პირობებით. SCPEC-მა დააკვალიფიცირა Gavartrans-ის ხსენებული მოქმედებები დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, კონკრეტულად დაარღვია 7.2. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი (შეუსაბამო/არასამართლიანი, დისკრიმინაციული ფასები შესყიდვისა და გაყიდვისათვის) და 7.2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი (მოქმედება ან ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე შესვლის დაბრკოლებას (სხვა ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შესვლის შეზღუდვა, ან ეკონომიკური აგენტის ბაზარზე შესვლის შესაძლო მარცხი ან გაძევება ბაზრიდან ან დამატებითი ხარჯების გაღება, რათ არ იქნას გამევეებული ბაზრიდან)) და დაჯარიმდა 10.000.000 სომხური დრამით (დაახლოებით 20 000 აშშ დოლარი). Gavartrans-ს ასევე მიეთითა, შეეწყვიტა კანონის დარღვევა და დაეწყო რეგულარული საჯარო ტრანსპორტირება ერევანი-გავარი-ერევანის მიმართულებით 500 სომხურ დრამად თითო მგზავრზე. Gavartrans-მა გაასაჩივრა SCPEC-ის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით იმაზე მითითებით, რომ იგი ვალდებული იყო გაეზარდა ფასი 500-დან 1000 სომხურ დრამამდე, რადგან ავტობუსის სადგური შეცვლილი იყო, მგზავრებმა არ იცოდნენ ახალი სადგურის მდებარეობა და Gavartrans-ის ავტობუსებზე მოთხოვნა ერევანი-გავარი-ერევანის მიმართულებით შემცირდა. SCPEC-მა უარი უთხრა Gavartrans-ს დაკმაყოფილებაზე, აპელანტის საჩივრის საკმარისი დასაბუთების არქონის გამო; სინამდვილეში, Gavartrans

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო ოპერირება დაეწყო უკვე შეცვლილი ავტობუსების სადგურიდან. მას აღარ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება.<sup>18</sup>

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შპს Mokonat-ის მხრიდან

2011 წელს SCPEC-მა დაიწყო მოკვლევა ხსნადი ყავის მიმართულებით კონკურენციის შეფასების კუთხით. მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამის ბაზრად განისაზღვრა ხსნადი ყავის ბაზარი ამ ტიპის ყავის ტექნოლოგიური თავისებურებების მხედველობაში მიღებით. გეოგრაფიულ ბაზრად მიჩნეულ იქნა სომხეთის რეპუბლიკის ტერიტორია. შემოსავლების სამსახურის სახელმწიფო კომიტეტისგან მიღებულ ინფორმაციაზე და შესაბამისი ბაზრის ეკონომიკურ აგენტებზე დაყრდნობით, დადგინდა კოლექტიური დომინირებული მდგომარეობა შესაბამისი ბაზრის 3 ეკონომიკური აგენტის, როგორც შემქმნების მხრიდან, კონკრეტულად: შპს Mokonat, შპს New Force და შპს Marseral. SCPEC-ის შემდგომმა კვლევამ და ინსპექტირებამ აჩვენა, რომ Mokonat-ი ხსნადი ყავის შესაბამის ბაზარზე ბოროტად იყენებდა თავის დომინირებულ მდგომარეობას. კვლევამ აჩვენა, რომ Mokonat-ი ახდენდა მაღალი და დაბალი ხარისხის ხსნადი ყავის იმპორტს და გაყიდვას. SCPEC-ის მოკვლევამ აჩვენა, რომ Mokonat-ი დაბალი ხარისხის ყავას ყიდულობდა დაბალ ფასად და ყიდდა ისეთივე მაღალ ფასად, როგორც მაღალი ხარისხის ყავას, ამდენად აწესებდა შეუსაბამო გაყიდვის ფასებს. ამდენად, Mokonat-ი ერთი და იგივე დაბალი ხარისხის ყავას სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტს (გადამყიდველს) მიყიდდა განსხვავებულ დაბალ და მაღალ ფასებად. ამდენად, აწესებდა გაყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, კონკრეტულად, კანონის 7.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევისათვის SCPEC-მა Mokonat-ი დააჯარიმა 20.000.000 სომხური დრამით (დაახლოებით 40.000 აშშ დოლარი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში კოლექტიური დომინანტობა დადგინდა 2011 წლის იანვარში, თუმცა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გამოვლინდა 2011 წლის სექტემბერში. Mokonat-მა გაასაჩივრა SCPEC-ის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით და მიუთითა, რომ SCPEC-ის გადაწყვეტილებით დომინირებული მდგომარეობის დადგენის მომენტში და იმ დროს, როდესაც Mokonat ახორციელებდა ბოროტად გამოყენების აქტივობებს, მან არ იცოდა, რომ ჰქონდა დომინირებული მდგომარეობა, რამდენადაც არ არსებობდა SCPEC-ის გადაწყვეტილება მის დომინანტობაზე. SCPEC-მა არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი და მიუთითა, რომ Mokonat-ი, სხვა ეკონომიკური აგენტების მსგავსად, რომლებიც იყენებენ თავიანთ უფლებას თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, ვალდებული იყო შესაბამისობაში მოეყვანა საქმიანობა კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებთან, კონკურენციის შეზღუდვის და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამოქალაქო უფლებების (უფლება თავისუფალ ეკონომიკურ საქმიანობაზე) ჩათვლით. ამის შემდეგ, Mokonat-მა

<sup>18</sup> ინტერვიუ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ჰაიკ კარაპეტთან, 25 ნოემბერი, 2016

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სომხეთის ადმინისტრაციულ სასამართლოსა და შემდგომ სომხეთის ადმინისტრაციულ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ორივე ინსტანციის სასამართლომ უარი უთხრა მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ SCPEC-ის გადაწყვეტილება ადგენდა მის დომინირებულ მდგომარეობას, რაც ეკონომიკურ აგენტს ავალდებულებდა თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის უფლების გამოყენებისას გაეთვალისწინებინა შეძლებები, კონკრეტულად ვალდებულება არ გამოეყენებინა თავისი დომინირებული მდგომარეობა ბოროტად.

- Yandex taxi-ს საქმე სავარაუდო ბოროტად გამოყენებაზე (2016)

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული სტატიების, ტაქსის მომსახურების და ინვიდიდუალური ტაქსის მძღოლების საჩივრების საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა Yandex taxi-ის მოქმედებებს (ონლაინ ტაქსის მომსახურების მიმწოდებელი) SCPEC-მა შეისწავლა ონლაინ ტაქსის მომსახურების სფერო, კონკრეტულად Yandex taxi-ის ქცევა და მოქმედებები 2016 წელს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საწყისი პირობები ნამდვილად ძალიან სარგებლიანი იყო Yandex taxi-სთვის: კომპანია არ იხდიდა გადასახადებს, არც ლიცენზიის მოსაკრებელს კომპანიის ან ტაქსის მძღოლებისათვის; ეს ყველა საფასური სავალდებულოა იმავე მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისათვის, რომლებიც არ იყენებენ ინტერნეტ მომსახურებას. SCPEC-მა დაადგინა, რომ Yandex-ი სთავაზობდა მეტად მცირე ფასს, კილომეტრზე - 100 სომხურ დრამს, მინიმალური საწყისი თანხის დაწესების გარეშე, მაშინ როდესაც, სხვა ტაქსის მომსახურების მიმწოდებლები ადგენდნენ მინიმალურ საწყისს 600 სომხური დრამის ოდენობით (რომელიც პირველი 3 კმ-ისათვის იყო) და შემდეგ პირველ 3 კილომეტრზე - 100 სომხურ დრამს თითოეული კილომეტრისათვის. ამასთან, გამოვლინდა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში Yandex taxi-ი მუშაობდა მოგების გარეშე და უფრო მეტიც, წაგებისთვის: ნათელია, რომ Yandex taxi არ იღებს დივიდენდებს მძღოლებისგან; საწინააღმდეგოდ კი, იგი თავად უხდის პარტნიორ ტაქსის მძღოლებს ზედმეტ 400 სომხურ დრამს (დაახლოებით 0.8 აშშ დოლარი) თითო შეკვეთაზე, რაც არარაციონალურია ბიზნესის წარმოების კუთხით. SCPEC-მა არ განსაზღვრა შესაბამისი ბაზარი და დომინირებული მდგომარეობა ამ ბაზარზე, მოქმედი მეთოდოლოგიური და საკანონმდებლო ხარვეზების გამო ელექტრონულ ბაზრებზე; თუმცა, 2016 წლის ოქტომბერში, SCPEC მივიდა იმ დასკვნამდე, რომ Yandex taxi-ის ზემოხსენებული მოქმედებები შეიცავდა კონკურენციის საწინააღმდეგო ნიშნებს, რომელსაც შეეძლო ბაზრიდან გაეძევებინა Yandex taxi-ის მოწინააღმდეგეები ტაქსის მომსახურების ბაზრიდან. SCPEC-მა გაფრთხილება მისცა Yandex taxi-ს და მიუთითა, შეეწყვიტა მძღოლებისათვის ზედმეტი თანხის გადახდის პრაქტიკა. ამასთანავე, SCPEC-მა მიმართა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზებით, შესთავაზა ონლაინ ტაქსის მომსახურების ლიცენზირება და „ოფლაინ“ (offline) და ონლაინ ტაქსის მომსახურების მიმწოდებლებისათვის თანაბარი პირობების და ვალდებულებების დაწესება.

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დახურული სს-ის (CJSC) Armentel-ის მხრიდან (2011)<sup>19</sup>

2011 წელს შპს U-com-მა, რომელიც იყო ფიქსირებული კავშირგაბმულობის ბაზრის ახალი მონაწილე, სადაც მომხმარებელთა 99% იყო Armentel CJSC -ის მომხმარებელი, საჩივრით მიმართა SCPEC-ს Armentel CJSC-ის წინააღმდეგ. განმცხადებელი-მომჩივანი უთითებდა, რომ Armentel CJSC-ს დაწესებული ჰქონდა დისკრიმინაციული ტარიფები სატელეფონო ზარებზე მობილური ტელეფონიდან ფიქსირებულ სახლის ტელეფონზე, კონკრეტულად, ერთი წუთისათვის შპს U-com-ის ფიქსირებული სახლის სატელეფონო ზარებისთვის დაწესებული იყო 99 სომხური დრამი და Armentel CJSC-ის ფიქსირებული სატელეფონო ზარებისთვის მხოლოდ 29.99 სომხური დრამი, 39 დრამი და 59 დრამი (სატარიფო გეგმაზე დამოკიდებული). ამ აქტივობებმა გამოწვია საჩივრები U-com-ის აქტიურ და პოტენციურ მომხმარებლებს შორის და შეზღუდა თავისუფალი კონკურენცია ზემოხსენებული მომხმარებლების იძულებით - უარი ეთქვათ U-com-ის მომსახურებაზე. საჩივარზე დაყრდნობით, SCPEC-მა წამოიწყო ადმინისტრაციული წარმოება და ჩაატარა მოკვლევა. მობილური კომუნიკაციის მომსახურებების გლობალური სისტემის შესახებ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის 2004 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების ინფორმაციაზე და მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, SCPEC-მა განსაზღვრა შესაბამისი პირველადი და მეორეული ბაზრები, როგორც „მობილური კავშირგაბმულობის გლობალური სისტემის მომსახურება (GSM)“.<sup>20</sup> ამასთან, გამოვლინდა, რომ ამ ბაზარზე არის სამი ეკონომიკური აგენტი: K Telecom CJSC (64.48 % საბაზრო წილი), Armentel CJSC (23.5% საბაზრო წილი) და Orange Armenia CJSC (11.99% საბაზრო წილი). SCPEC-მა დაადგინა, რომ Armentel-ს ჰქონდა საბაზრო ძალაუფლება და ამასთან დომინირებული მდგომარეობა „მობილური კავშირგაბმულობის გლობალური სისტემის მომსახურების (GSM)“ შესაბამის ბაზარზე. საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისათვის SCPEC-მა გაითვალისწინა გადაწყვეტილება 194- N და მხედველობაში მიიღო შემდეგი ფაქტორები:

1. Armentel CJSC-ის ფინანსური შესაძლებლობები (შენატანი, ქონება, ლიკვიდურობა ან სხვა რესურსები): წლების განმავლობაში ეს კომპანია ოპერირებდა ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის ფართო სპექტრზე; ისტორიულად, მას ჰქონდა მონოპოლიური ძალაუფლება და შესაბამისად, უდიდესი ინფრაქტრუქტურა;
2. შესაბამისი ბაზრის ცენტრალიზაციის ხარისხი და Armentel CJSC-ის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე: შესაბამის ბაზარზე მობილური კავშირგაბმულობის გლობალური

<sup>19</sup> <http://bit.ly/2sTj9HV>

<sup>20</sup> Global system of mobile communication (GSM) services are public mobile services that are provided "in the range of 900MHz and 1800MHz radio-frequencies (or any of them) through international cellular radiocommunication system with functional and consumption characteristics (physical, technical, practical, qualitative, price)". Thus, they were not mutually substitutable with other telecommunication services provided in the territory of Armenia. Available at: <http://bit.ly/2tdBNNS>

სისტემის მომსახურების (GSM) ბაზარი ცენტრალიზებულია; ბაზარე არის 3 მონაწილე ერთ-ერთი მათგანია Armentel CJSC, რომელსაც აქვს 23,5% საბაზრო წილი;

3. ეკონომიკური აგენტის ან მათი მონაწილეების (ეკონომიკური აგენტი არის მონაწილე ურთიერთდაკავშირებული სასაქონლო ბაზრის, ან სხვაგვარად შეუძლია ტრანზაქციებზე ან სხვა ეკონომიკური აგენტების ქცევაზე გავლენის მოხდენა ბაზრის შიგნით) ზემოქმედება დაკავშირებულ სასაქონლო ბაზრებზე: Armentel CJSC-ს აქვს დამაზიანებელი გავლენა ფიქსირებული ტელეკომუნიკაციების კუთხით. კონკრეტულად, სომხეთის რესპუბლიკის საჯარო სერვისების მარეგულირებელი კომისიის მონაცემების მიხედვით, Armentel CJSC-ის შემოსავალი ფიქსირებული ტელეკომუნიკაციების კუთხით არის 98% და მომხმარებელთა რაოდენობა აღწევს 99%-ს. გარდა ამისა, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ სომხეთის რესპუბლიკის კანონის მე-2 მუხლის თანახმად, Armentel Telephone Company და მისი უფლებამონაცვლე (ამჟამინდელი Armentel CJSC) ისტორიულად მიჩნეულნი არიან დომინირებული მდგომარეობის მქონე ოპერატორებად. აგრეთვე, Armentel CJSC-ს აქვს *de facto* დომინირებული მდგომარეობა სხვა სატელეკომუნიკაციო ბაზრებზეც.

4. შესაბამისი ბაზრის მდგრადობა (შესწავლილი სასაქონლო ბაზრის ფარგლებში ეკონომიკურ ერთეულთა რიცხვისა და წილის ცვლილება მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში, ასევე საბაზრო ბრუნვის სტაბილურობა ან უმნიშვნელო ცვლილება): მობილური კავშირგაბმულობის გლობალური სისტემის მომსახურების (GSM) ბაზარი მიიჩნევა როგორც მდგრად და დახურულ ბაზრად, ამ ბაზარზე შესვლა მოითხოვს საკანონმდებლო მოთხოვნების და სტანდარტების გათვალისწინებას, ინფრასტრუქტურის ინვესტიციას, რაც არის ძვირი და მოითხოვს დიდ დროს ბაზარზე შესასვლელად.

ზემოხსენებული მსჯელობის მხედველობაში მიღებით, SCPEC-მა გადაწყვიტა, რომ Armentel CJSC-ს აქვს შესაძლებლობა დამაზიანებელი ზეგავლენა მოახდინოს მობილური კავშირგაბმულობის გლობალური სისტემის (GSM) მომსახურების ბაზარზე პროდუქციისა და მომსახურების ბრუნვის ზოგად პირობებში. მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, SCPEC-მა მიიჩნია, რომ Armentel CJSC-ის მოქმედებები სატარიფო გეგმის შესაბამისად ფასის დაწესებაზე სახლის ფიქსირებულ სატელეფონო ზარებზე არის ფასის ფიქსირება (price fixing) და 99 სომხური დრამის დაწესება 1 წუთისათვის U-com-ის სატელეფონო ზარებზე (მაშინ, როდესაც სხვა ფიქსირებული სატელეფონო ზარები ამ ფასზე დაბალია) არის დისკრიმინაციული გაყიდვის ფასის დადგენა, რაც ასევე აყალიბებს კონკურენციის არათანასწორ პირობებს შესაბამის ბაზარზე. გარდა ამისა, Armentel CJSC-ს შეუძლია U-com-ის ფიქსირებული კავშირგაბმულობის ბაზრიდან გაძევება, სადაც Armentel CJSC-ს აქვს დამაზიანებელი გავლენის მქონე ძალაუფლება 98%-იანი შემოსავლის ქონით ბაზარზე და მომხმარებლების 99%. SCPEC-მა გადაწყვიტა, რომ Armentel CJSC-ის ზემოხსენებული მოქმედებები და ქცევა არის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკრეტულად, კანონის მე-7 მუხლის და ქვეპუნქტების „ა“, „დ“, „ზ“ და 7.2 მუხლის



„თ“ ქვეპუნქტის. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის Armentel CJSC-ს მიეცა გაფრთხილება 14 დღის განმავლობაში დარღვევების აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად მათ მომავალში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე ერთადერთია, როდესაც დომინირებული მდგომარეობა დადგინდა შესაბამის ბაზარზე Armentel CJSC-ის საბაზრო ძალაუფლების მხედველობაში მიღებით.

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შპს Lusakert Breeding Poultry LLC-ის მხრიდან (2011)<sup>21</sup>

დეფიციტის გათვალისწინებით, უფრო მეტიც, ქათმის კვერცხის არქონის, და ამ მიზეზების გამო, მაღალი ფასებით კვერცხზე სომხურ სავაჭრო ბაზრებზე 2010 წლის დეკემბერში, SCPEC-მა ჩაატარა მოკვლევა ქათმის კვერცხის ბაზრის მიმართულებით დეფიციტის მიზეზების გამოსავლენად. SCPEC-მა შესაბამის ბაზრად ამ მიმართულებით 2010 წლის ივლისში განსაზღვრა „ქათმის ნაჭუჭიანი კვერცხი“ გარკვეული ფუნქციური, მოხმარების განსხვავებებისა და სხვა ტიპის ნაჭუჭიანი კვერცხის თავისებურებების გათვალისწინებით (mélange კვერცხისა და დეჰიდრირებული კვერცხისაგან განსხვავებით). ამავდროულად, 2010 წლის ივლისში SCPEC-მა დააგინდა, რომ შპს Lusakert Breeding Poultry-ს (26.06% საბაზრო წილი) და პირთა ჯგუფს (Araqs Poultry CGSC და Yerevan Poultry OJSC) ჰქონდათ დომინირებული მდგომარეობა (2 ეკონომიკური აგენტის კოლექტიური დომინირება) „ქათმის ნაჭუჭიანი კვერცხის“ ბაზარზე. 2011 წელს SCPEC-მა კიდევ ერთხელ მიმოიხილა ბაზრის მონაწილეთა საბაზრო წილები. გამოვლინდა, რომ 2010 წლის დეკემბერში, როდესაც სავაჭრო ბაზრებზე მომხმარებლებისათვის იყო კვერცხის დეფიციტი, შპს Lusakert Breeding Poultry-ს უკვე ჰქონდა 36% საბაზრო წილი. ასევე გამოვლინდა, რომ 23-27 დეკემბერს (2010), როდესაც ახალი წლის მოახლოების გამო, მაღალი მოთხოვნა იყო კვერცხზე, შპს Lusakert Breeding Poultry-ის, ჰქონდა ქათმის ნაჭუჭიანი კვერცხის უზარმაზარი რაოდენობა, შემცირდა და შეჩერდა ნაჭუჭიანი კვერცხის მიწოდება სავაჭრო ქსელებში (მაღაზიებში), რამაც შექმნა ხელოვნური დეფიციტი, რის შედეგადაც შესამჩნევად გაიზარდა ფასი ქათმის ნაჭუჭიან კვერცხზე. შპს Lusakert Breeding Poultry-ის ეს მოქმედებები და ქცევა მიჩნეულ იქნა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, რისთვისაც SCPEC-მა გადაწყვიტა ამ კომპანიის დაჯარიმება მოგების 2%-ის ოდენობით დარღვევის განხორციელების წლიდან (100.000.000 სომხური დრამი (200.000 აშშ დოლარი)), ამასთანავე კომპანიას მიეთითა, მომავალში თავიდან აერიდებინა კანონის დარღვევა. Id. შპს Lusakert Breeding Poultry-მ საჩივრით მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოს, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისათვის და დიდი რაოდენობით ჭარბი ქათმის კვერცხის

<sup>21</sup> <http://bit.ly/2tdBNNS>

განგარიშებისთვის. შემდეგ, შპს Lusakert Breeding Poultry-მ გაასაჩივრა სომხეთის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოში, სადაც მისი მოთხოვნა უარყოფილ იქნა.<sup>22</sup>

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება Coca Cola Hellenic Bottling Company Armenia CJSC-ის მხრიდან (2016)

2015 წელს შპს Jermuk International Pepsi Cola Bottler-მა (შემდგომში - Pepsi Cola Company) მიმართა SCPEC-ს განცხადება-საჩივრით, რომ Coca Cola Hellenic Bottling Company Armenia CJSC (შემდგომში - Coca Cola Company) აფერხებდა მის შესვლას ბაზარზე. მან აღნიშნა, რომ საკვების მომსახურების 11-მა მიმწოდებელმა Dalma Garden Mall-ის ტერიტორიაზე შოპინგის და გასართობ კომპლექსში, ყოველგვარი განმარტების გარეშე, უარი თქვა Pepsi Cola-ს გაყიდვაზე, და გაყიდა მხოლოდ Coca Cola. SCPEC-მა საჩივრის საფუძველზე წამოიწყო ადმინისტრაციული წარმოება და მოიკვლია Coca Cola Company-ს მოქმედებები და ქცევა სომხეთის მთელ ტერიტორიაზე. ამ კონკურენციის საქმისთვის, შესაბამისი ბაზარი განისაზღვრა SCPEC-ის გადაწყვეტილება 111N (დათარიღებული 14 სექტემბრით, 2005). გადაწყვეტილების მიხედვით, შესაბამისი ბაზარი განისაზღვრა, როგორც სასაქონლო ბაზარი „კარბონატირებული და დამტკბარი (კარბონატირებული) სასმელები“, რომლის პროდუქციული ბაზარი არის ჩამოსხმული კარბონატირებული და ტკბილი სასმელების ერთობლიობა (მათ შორის, ლიმონათის, კოლას შემცველი და ა.შ.), რაც, მათი ფუნქციური და მოხმარების თვისებებიდან გამომდინარე (ფიზიკური, ტექნიკური, პრაქტიკული, თვისობრივი, ფასი), ურთიერთჩანაცვლებადია. ჩამოსხმული კარბონატირებული და ტკბილი სასმელები იყიდება სომხეთის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამ ფარგლებში ისინი ეკონომიკურად ხელმისაწვდომი, მიზანშეწონილი და თანაბრად ხელმისაწვდომია მყიდველებისათვის, ამ შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ნაკლებობა არ აღინიშნება ამ ტერიტორიის საზღვრების მიღმა.<sup>23</sup> ამ ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია. ამის შემდეგ, სახელმწიფო ორგანოების და ეკონომიკური აგენტებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, SCPEC-მა დაადგინა, რომ Coca Cola Company-ს ეკავა დომინირებული მდგომარეობა „ჩამოსხმული კარბონატირებული და ტკბილი სასმელების“ ბაზარზე. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ ფასდაკლებების და სხვა შეთავაზებების გამოყენებით, საკმაოდ ხელსაყრელი პირობებით, Coca Cola Company-მ ათეულობით მაღაზია და საკვები მომსახურების მიმწოდებლები აიძულა გაეყიდათ მხოლოდ მისი პროდუქტები. ზემოთ აღწერილი მოქმედებებიდან ერთ-ერთი იყო ენერჯის დამზოგავი მაცივრების უფასოდ მიწოდება, რაც იყო ძალიან ხელსაყრელი იმ მაღაზიებისათვის, რომლებმაც აღარ მოუწევდათ მაცივრების ყიდვა ან ქირაობა. სანაცვლოდ, Coca Cola Company-მ მოითხოვა ამ მაცივრებში არ დაედოთ სხვა კარბონატირებული და ტკბილი სასმელების არც ერთი ბოთლი, სხვა შემთხვევაში იგი მიიღებდა მკაცრ ზომებს.

<sup>22</sup> Court case VD/2356/05/1, available in Armenian (վ.Դ/2356/05/1), <http://bit.ly/2tMA8va>

<sup>23</sup> <http://bit.ly/2sln2ks>

აგრეთვე გამოვლინდა, რომ Coca Cola Company-ს ეკონომიკური აგენტებისათვის გადახდილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ოდენობის თანხა, მარკეტინგის ხარჯების გასაწევად, ზოგიერთი პანელისა და ტაბლეტების პრეზენტაციისათვის და სხვა მსგავსი რამისთვის: ამ მიზნით ამ უდიდესი თანხის გაღება, არის არასანდო, იმ შემთხვევაში კი, როდესაც ათეულობით ეკონომიკური აგენტის საქმეში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პროდუქცია (ჭიქები, მაგიდის ხელსახოცები და ა.შ). ასევე უნდა ითქვას, რომ მარკეტინგის მიზნებისათვის გადახდილი თანხა, იყო მხოლოდ ფორმალაობა. SCPEC-ის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ Coca Cola იყენებდა დისკრიმინაციულ და სუბიექტურ პრაქტიკას თავისი ფასდაკლების პოლიტიკისას და მიწოდებული სასმელებისათვის განსხვავებულ ეკონომიკურ აგენტებს უწესებდა განსხვავებული გადახდის პირობებს. ამრიგად, ზემოხსენებული დისკრიმინაციულობა და სუბიექტურობა, პირდაპირ და არაპირდაპირ, ეკონომიკურ აგენტებს აიძულებდათ შეემინათ მხოლოდ Coca Cola Company-ის პროდუქცია და უარი ეთქვათ Coca Cola Company-ის კონკურენტებისგან პროდუქციის შესყიდვაზე. SCPEC-მა მიიჩნია, რომ დომინირებული მდგომარეობის მქონე საწარმოს აღწერილი ქცევა ქმნის კონკურენციის არათანასწორ პირობებს შესაბამისი ბაზრის კონკურენტებს შორის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, SCPEC-მა დაადგინა, რომ Coca Cola Company-მ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა, დაარღვია კანონის 7.1 მუხლის „ა“, „დ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტები, და დაეკისრა ჯარიმა 50.000.000 სომხური დრამის ოდენობით (დაახლოებით 100.000.000 აშშ დოლარი). Coca Cola Company-მ გაასაჩივრა გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სასამართლოში. ამჟამად, საქმე იხილება სასამართლოში. ამავდროულად, SCPEC-მა მხედველობაში მიიღო ევროკომისიის გადაწყვეტილება Coca Cola-ს (2005)<sup>24</sup> მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე, სადაც მსგავსი საქმეებისთვის ნათელი რეგულაცია იქნა შეთავაზებული, Coca Cola Hellenic Bottling Company ვალდებულია 20% თავის მაცივრებში დათმოს კონკურენტების პროდუქტებისათვის. SCPEC-მა მოამზადა მსგავსი რეგულაცია და გაუგზავნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ცვლილებების შეთავაზებით „ვაჭრობისა და მომსახურების შესახებ“ კანონში, დომინანტი ეკონომიკური აგენტებისათვის მოთხოვნების დაწესებით, რომ უზრუნველყონ 20% თავისუფალი ადგილი თავიანთ მაცივრებში კონკურენტი ეკონომიკური აგენტების პროდუქციის განსათავსებლად.

შეჯამებისთვის აღსანიშნავია, რომ SCPEC-ს დომინირებული მდგომარეობა დადგენილი აქვს თითქმის ყველა საქმეში საბაზრო წილის კრიტერიუმით. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საბაზრო ძალაუფლების კრიტერიუმის მხედველობაში მიღება არა მხოლოდ გაზრდის შესაძლებლობებს შესაბამის ბაზრებზე, რომლებიც ან ძალიან პატარაა, ან დიდი, მაგრამ ასევე დაეხმარება ნამდვილ დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს იმ ბაზრებზე, სადაც კონკურენტთა რაოდენობა საკმაოდ მწირია, მაგრამ სინამდვილეში, ერთი ეკონომიკური სუბიექტი კარნახობს ბაზრის წესებს.

<sup>24</sup> <http://bit.ly/2s8NNQt>

## თავი II - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით

სოფიო ქურთაული

საქართველოს არც ისე დიდი ხნის გამოცდილება აქვს კონკურენციის პოლიტიკის სფეროში, თუმცა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს ხაზი უნდა გაესვას. 1992 წლის 17 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“. „ეს იყო პირველი საკონკურენციო სამართლებრივი აქტი, რომლის მთავარი დანიშნულება მდგომარეობდა პირველადი სამეურნეო ერთეულების (საწარმოების, ფირმების) ეკონომიკური თავისუფლების დაცვაში სახალხო მეურნეობის რეორგანიზაციის პროცესში.“<sup>25</sup> ამის შემდეგ, 1992 წელსვე სახელმწიფო საბჭომ მიიღო „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ დეკრეტი, რომელმაც „განსაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვისა და თავიდან აცილების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების ფუნქცია დაეკისრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც მას ასრულებდა ანტიმონოპოლიური სამმართველოს საშუალებით.“<sup>26</sup>

1996 წელს შეიცვალა ზემოხსენებული დეკრეტი და ჩამოყალიბდა საქართველოს კანონად „მონოპოლიისა და კონკურენციის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური. დასახელებული კანონის ტერმინთა განმარტებაში განსაზღვრულია მონოპოლიური მდგომარეობა, როგორც დომინირებული მდგომარეობა და მე-13 მუხლით აკრძალულია ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. როგორც აღინიშნა, „ეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის მცდელობაც იყო შეექმნა დასავლეთის მსგავსი კონკურენციის რეჟიმი (ცვლადი წარმატებით), განადგურდა 2005 წელს, სამართლებრივი გამარტივებისა და ადმინისტრაციული რეფორმების ტალღის შედეგად. იმდროინდელი მკაცრად ლიბერალური პოლიტიკის შედეგად საქართველოს სამართლებრივი სივრციდან გაქრა კონკურენციის რეგულაცია 2012

<sup>25</sup> მინიმოშვილი თ., სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები, გვ.43, <http://bit.ly/2sHUzvn>

<sup>26</sup> იქვე, გვ.44

წლამდე, ანუ იმ პერიოდისთვის, რომელიც წინ უსწრებდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების 2014 წელს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული კანონმდებლობა ნაწილობრივ შედეგია ევროკავშირის არამზობავი, ნორმის გავრცელების ძალაუფლებისა.<sup>27</sup>

2005 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომლითაც განადგურდა საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური. „უარი ითქვა 1992 წლიდან მომდინარე საკონკურენციო პოლიტიკაზე და მიმდინარეობდა მუშაობა პრინციპულად განსხვავებულ ხედვაზე დამყარებულ საკონკურენციო სამართლის შემუშავებაზე. პროცესი ფაქტობრივად დასრულდა 2005 წლის 3 ივნისს „თავისუფალი 46 ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში მანამდე მოქმედი ყველა საკონკურენციო სამართლის ნორმა შესაბამის ინსტიტუტებთან ერთად და დასაბამი მისცა ევროკავშირისა და აშშ კანონმდებლობისაგან პრინციპულად განსხვავებული საკონკურენციო სამართლის ნორმების ამოქმედებას.“<sup>28</sup>

ამჟამინდელი კანონი „კონკურენციის შესახებ“ (შემდგომში - კანონი) ძალაში შევიდა 2012 წლის ივლისში და მის საფუძველზე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) დაფუძნდა. კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრულია, რომ „სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.“

განსხვავებულია მოსაზრებები იმი შესახებ, მოქმედი კონკურენციის კანონი ეფუძნება ევროპულ თუ ამერიკულ კონკურენციის კანონმდებლობას. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „ევროკავშირის წესებისადმი ნათელი მსგავსების გარდა, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მკაცრი დამკვირვებლები შეამჩნევენ აშკარად ადგილობრივ ადაპტაციას, კერძოდ ჯარიმებისა და სასჯელების ნაწილში, კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისებში, სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგად წესში, გაფართოებულ კონტროლში სახელმწიფო უწყებების ქმედებებსა და პოლიტიკაზე კონკურენციის ჭრილში, უფლებამოსილება არაკანონიერ კონკურენციასთან წინააღმდეგ და ა.შ. საქართველოს კონკურენციის პროცედურას აქვს თავისებურებებიც, რომელთა შორისაცაა, ძალიან მკაცრი ვადები და ადგილზე შემოწმების შეზღუდული უფლებამოსილება. საბოლოოდ კი, რეგულირებად სექტორებში სააგენტოს იურისდიქცია შეზღუდულია

<sup>27</sup> ზუკაკიშვილი ქ., სამართლებრივი ტრანსპლანტაციის 2 წლის თავზე საქართველოში, საუკეთესო ჯერ კიდევ წინაა, გვ.43, სოფიას კონკურენციის ფორუმის ჟურნალი, <http://bit.ly/2tLMy6W>

<sup>28</sup> მინიმოშვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ.45

თანამშრომლობისა და საკონსულტაციო ფუნქციებით.<sup>29</sup> მეორე მხრივ, სხვებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობას აქვს მსგავსება ამერიკის კონკურენციის კანონმდებლობასთან. პროფესორი მერი კრეინერ რამირესი<sup>30</sup> თავის ანგარიშში გამოყოფს სამ საკვანძო მსგავსებას: „პირველი არის ისეთი ცალმხრივი აქტების შეზღუდვა, რომელიც შესაბამის ბაზარზე წარმოშობს დომინირებულ მდგომარეობას ან, რომელიც მიისწრაფვის მონოპოლიზაციისაკენ, ამ ტერმინის აშშ-ის კანონმდებლობისეული გაგებით. მეორე, არის ჰორიზონტალური შეთანხმებების აკრძალვა, რაც შეერთებულ შტატებში ვაჭრობის შემზღუდავი შეთანხმებების სახელით არის ცნობილი. მესამე, მსგავსება აღსრულების მექანიზმი, არის კანონის პროექტით შემოთავაზებული თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც მსგავსია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ანტიმონოპოლიური განყოფილების შეწყალვის პროგრამისა.“<sup>31</sup>

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადგენს მხარეთა ვალდებულებას, კერძოდ კი, „მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.“<sup>32</sup> ამ რეგულაციის მიხედვით, მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ კონკურენციის კანონების ეფექტური აღსრულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოს მსგავსად, კონკურენციის კანონების აღსრულების მძლავრი მექანიზმების არსებობა, არის ბიზნეს გარემოს გაძლიერებისა და გაუმჯობესების, თავისუფალი ვაჭრობის გამჭვირვალობისა და გაჯანსაღების გარანტია.

- შესაბამისი ბაზრის, დომინირებული მდგომარეობის და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრებები

<sup>29</sup> ზუკაკიშვილი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 43

<sup>30</sup> პროფესორი უოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (აშშ, კანზასის შტატი, ტოპეკა) ანტიმონოპოლიურ სამართალს ასწავლის

<sup>31</sup> კრეინერ რამირესი მ., შეერთებული შტატებისა და საქართველოს კონკურენციის სამართლის შედარებითი ანალიზი: ცალმხრივი აქტებისა და ჰორიზონტალური შეთანხმებების რეგულირება პროგნოზირებადი წესებისა და ეფექტური აღსრულების მეშვეობით, ბიზნეს სამართლის მიმოხილვა-მესამე გამოცემა, გვ. 73, 2014, <http://bit.ly/2s8pIjw>

<sup>32</sup> ასოცირების შეთანხმების მუხლი 204, პუნქტი პირველი, <http://mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/Association-Agreement.aspx>

საქართველოს კონსტიტუციაში<sup>33</sup> გაცხადებულია, რომ „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა.“

კანონის მე-2 მუხლი აწესებს საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის პრინციპს, კონკრეტულად კი, მისი მიზანია:

- ✓ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;
- ✓ ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;
- ✓ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა;
- ✓ ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა;
- ✓ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა;
- ✓ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას;
- ✓ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

კანონში ასევე განსაზღვრულია „კონკურენცია“<sup>34</sup>, როგორც „შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“; „კონკურენტი ეკონომიკური აგენტი“<sup>35</sup> – შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, და „პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი“<sup>36</sup> – დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად.“ უნდა აღინიშნოს, რომ დომინირებული მდგომარეობა შეიძლება არსებობდეს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის.

<sup>33</sup> საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მიღებულია 24.08.1995 წელს

<sup>34</sup> მუხლი 3, პ. „ბ“

<sup>35</sup> მუხლი 3, პ. „გ“

<sup>36</sup> მუხლი 3, პ. „დ“

„კონკურენციისა“ და „ეკონომიკური აგენტის“ ცნებების ჩამოყალიბება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა „შესაბამისი ბაზრის“ განსასაზღვრად. საქართველოს კანონის თანახმად, „შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შექმნის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.“<sup>37</sup>

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების გამოყენების გზით:

- ✓ სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ✓ სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- ✓ სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“<sup>38</sup> განსაზღვრავს თითოეულ პარამეტრს:

*სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები.* შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები დგინდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით. ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმის განსაზღვრისას გამოიყენება პროდუქციის/მომსახურების მახასიათებლები, ფასები და მათი გამოყენების მიზნები, საქონლის პროდუქციული, ტერიტორიული საზღვრები; ეს კრიტერიუმი განხილულ უნდა იქნეს, როგორ მომხმარებლის, ასევე, მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისიდან.

- ✓ მომხმარებლის თვალსაზრისით, ურთიერთჩანაცვლება დამოკიდებულია მომხმარებლის არჩევანზე სამომხმარებლო თვისებების, სიახლის დონის, მომხმარებლის მიერ პროდუქტის მოხმარების (ექსპლუატაციის) პირობების, რეალიზაციის პირობების, შედარებითი ფასების დონის, ასევე, სხვა ნებისმიერი ისეთი მახასიათებლის გათვალისწინებით, რომელიც შესაძლოა შესაბამისი იყოს მომხმარებლის არჩევანის განსაზღვრის პროცესში. აღნიშნული შეიძლება იდენტიფიცირდეს სოციოლოგიური გამოკითხვების, ექსპერტთა დასკვნის, მომხმარებელთა ქცევაზე სოციოლოგიური დაკვირვების, ცდების ან სხვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც იძლევა ამ მახასიათებლების განსაზღვრის საშუალებას და ამავედროულად არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და ამ

<sup>37</sup> მუხლი 3, პ. “ფ“

<sup>38</sup> გამოქვეყნებულია 30.09.2014 წელს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523226>



მითითებებით განსაზღვრულ ბაზრის ანალიზის პრინციპებს. ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმი შესაძლოა განისაზღვროს ფასების ჯვარედინი ელასტიკურობის მაჩვენებლითაც.

- ✓ მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით, ურთიერთჩანაცვლების კრიტერიუმს წარმოადგენს ერთი განსახილველი პროდუქტის წარმოებიდან მეორის წარმოებაზე გადასვლის სიმარტივის ხარისხი. მწარმოებლის/მიმწოდებლის თვალსაზრისით, პროდუქტთა ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმი შესაძლებელია დადგინდეს დაკვირვებით, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, ექსპერიმენტით ან ადგილზე შემოწმებით. ასევე, სხვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

*სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები.*  
სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ მოცემული საქონელი/მომსახურება. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას გაითვალისწინება: ა) საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის, თავისუფალი გადაადგილების, ტრანსპორტირების შესაძლებლობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში; ბ) საქონლის გადატანის, გადაადგილების შესაძლებლობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში (მათ შორის, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების განსაკუთრებულობა, მოთხოვნისა და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები, საქმიანი ურთიერთობების წესებისა და ჩვევების განსაკუთრებულობა), გ) შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარში შემავალ ტერიტორიებზე ფასების ჰომოგენურობა, ერთგვაროვნება.<sup>39</sup> თუ ფასების ერთგვაროვნების დადგენისას გამოვლინდა, რომ გეოგრაფიულ სივრცეში საქონლის/მომსახურების ფასი 10%-ზე მეტად აღემატება კვლევის მიზნის ფარგლებში განსაზღვრული სასაქონლო ბაზრის საშუალო შეწონილ ფასს, მაშინ ასეთი გეოგრაფიული სივრცის ბაზრები არ შეიძლება ჩაითვალოს ჰომოგენურად. მოცემული პროდუქტის ერთიანი გეოგრაფიული ბაზარი დგინდება, როდესაც მომხმარებლები ერთ რეგიონში რეალიზებდნენ პროდუქტს თვლიან იმ საქონლის/მომსახურების ჩანაცვლებად, რომელიც იყიდება მეორე რეგიონში. განსხვავებულია შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა ბუნებრივი მონოპოლიების შემთხვევაში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში. ბაზრის პირობებში საქონლის/მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები დგინდება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის

<sup>39</sup> კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანების „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ (შემდგომში - ბრძანება) მე-11 მუხლი

(ქსელების) განლაგებისა და მყიდველების ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის /ქსელებზე მიერთების/ შესაძლებლობების გათვალისწინებით.

*სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.* შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. დროითი ჩარჩო შესაბამისი ბაზრისათვის შეიძლება იყოს სეზონი. აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, სეზონი არის დროის ნებისმიერი ურთიერთმონაცვლე პერიოდი, რომლის მონაცვლეობის სრული ციკლი არ აღემატება ორ წელიწადს და მეორდება მინიმუმ ორჯერ. დროითი ჩარჩო გამოიყენება გეოგრაფიულ საზღვრებში შესაძარებელი საქონლის/მომსახურების თანხვედრისას. შესაბამისი ბაზარი განისაზღვრება საქონლის ბაზრის, მისი გეოგრაფიული გავრცელებადობის და იმ დროის ერთობლიობით, როდესაც ბაზარი ფუნქციონირებს. ბაზრები, რომელთაც აქვთ ერთგვაროვანი საქონელი და გეოგრაფიული საზღვრები და ფუნქციონირებენ სხვადასხვა სეზონზე, წარმოადგენენ განსხვავებულ ბაზრებს. დროითი ჩარჩოების დადგენა ხდება ბაზრის დაკვირვების ან მასზე დაფიქსირებული ოფიციალური, მოძიებული ან წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, მონიტორინგის ან მოკვლევის მიზანშეწონილობიდან, ექსპერტთა დასკვნის, ბაზრის სუბიექტთა ინტერვიუების ან სხვა შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.

შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ მოთამაშეებად განიხილებიან ეკონომიკური აგენტები ან პოტენციური ეკონომიკური აგენტები, რომელთა განზრახვას წარმოადგენს ერთი და იგივე შესაბამის ბაზარზე მოქმედება. სამართლიანი კონკურენცია სამართლებრივად ნებადართული ქმედებაა, მაშინ როდესაც არასამართლიანი კონკურენცია ასეთად არ განიხილება. ანალოგიურად, დომინირებული მდგომარეობა სამართლებრივად შესაძლებელია, ხოლო ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონკურენციის შეზღუდვის გამოხატულებაა.

თანამედროვე ეკონომიკაში, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობით, დომინირებული მდგომარეობის ქონა შესაბამის ბაზარზე არ არის უკანონო. საქართველოს კანონის მიზნებისათვის დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე განიხილება ერთი და იგივე შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც ნებას აძლევს მათ იმოქმედონ სხვა კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისაგან, მიმწოდებლებისაგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და ამ მდგომარეობის გამო, არსებით გავლენას ახდენენ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის ზოგად პირობებზე და ზღუდავენ კონკურენციას.

თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად: არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია; არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.<sup>40</sup>

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს განსაზღვრავს სააგენტო ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით, რომლებსაც იგი ამტკიცებს შესაბამისი სამართლებრივი აქტით.“

კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ *„ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.“* მე-2 პუნქტი მიმოიხილავს იმ ქმედებებს, რაც შეიძლება ჩაითვალოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად:

- ✓ შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;
- ✓ წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;
- ✓ გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
- ✓ ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.<sup>41</sup>

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიღებული აქვს 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც პირველ ადგილზეა თავისუფალი ვაჭრობისა და

<sup>40</sup> მუხლი 3, პ. „ი“

<sup>41</sup> შეაღ.: კრეინერ რამირესი მ., დასახელებული ნაშრომი,

კონკურენციის განვითარებისა და დაცვის საკითხები. უფრო მეტიც, სამოქმედო გეგმაში გაცხადებულია, რომ სააგენტომ უნდა გამოავლინოს და ხელი შეუშალოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ქვემოთ ნათელი გახდება, რომ სააგენტოს მის წარმოებაში არსებულ არც ერთ საქმეზე არ დაუდგენია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესია მიმოხილულ იქნას და ხაზი გაესვას რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს. როგორც აღინიშნა, მეთოდოლოგიური მითითებების მიზანია, კონკურენციის კანონმდებლობით დარეგულირებული საკითხების შეფასების მეთოდური უზრუნველყოფა და გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) სასაქონლო/მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება, 2) კონცენტრაციის ხარისხის, დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ხვედრითი წილის, ჯგუფური დომინირების განსაზღვრისა და საბაზრო ძალაუფლების შეფასება, 3) კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა.<sup>42</sup>

მეთოდური მითითებების მიხედვით დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენის მიზნებისათვის, შესაბამისი ბაზრის ანალიზად მიიჩნევა სააგენტოს მიერ შესაბამისი სასაქონლო ბაზრის განსაზღვრა, სასაქონლო ბაზრის სტრუქტურის, კონცენტრაციის ხარისხის, დომინირებული მდგომარეობის, ჯგუფური დომინირებისა და კანონით განსაზღვრული ანტიკონკურენციული ქმედების გამოვლენა და შეფასება<sup>43</sup>, მაშინ როდესაც შესაბამისი ბაზრის მონიტორინგი განისაზღვრება, როგორც სააგენტოს მიერ შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ანალიზი/შეფასება, ბაზრის სტრუქტურის, საბაზრო კონცენტრაციის, საბაზრო ძალაუფლების, ბაზრის ბარიერების დადგენა ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა მდგომარეობის განსაზღვრა, შეფასების ცალკეული ნიშნის/ნიშნების მიხედვით.<sup>44</sup>

კანონი კრძალავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და ამისათვის შესაბამისი სანქციებს ითვალისწინებს. კანონის 33-ე მუხლი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის აწესებს პასუხისმგებლობას, რაც გულისხმობს, რომ ეკონომიკურ აგენტს (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 %-ს. დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 %-ს.

<sup>42</sup> ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>43</sup> ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი

<sup>44</sup> ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი

ამრიგად, ზემოხსენებული ანალიზით წარმოდგენილია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შეფასების და აღწერის თავისებურებები. შესაბამის ბაზარზე.

კანონის 33<sup>2</sup> მუხლის თანახმად, ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება. რამდენადაც სააგენტოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. თუ სააგენტო დაადგენს, რომ არ დარღვეულა კანონის მე-6 მუხლი, ეკონომიკურ აგენტებს და დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ აღნიშნული გაასაჩივრონ სასამართლოში. კვლევის პროცესში ვერ იქნა მოძიებული სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე.

რამდენადაც მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, მიმოხილული იქნება სააგენტოს გადაწყვეტილებები დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მათგანში არ დადგინდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე ეს მდგომარეობა არ არის ბოროტად გამოყენებული.

- **ჰიპოთეტური დომინირებული მდგომარეობა სს თბილისის თამბაქოს საქმეზე**

შპს დუთი ფრი ჯორჯიამ მიმართა სააგენტოს სს თბილისის თამბაქოს მხრიდან კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის საფუძვლით. საჩივარი შეეხებოდა სავარაუდო უთანასწორო/დისკრიმინაციულ მოპყრობას სს თბილისის თამბაქოს მხრიდან. შპს დუთი ფრი ჯორჯიას საჩივარი ეხებოდა მისი კონტრაქტის, სს თბილისის თამბაქოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასა და მის კონკურენტ კომპანიასთან, შპს დიუთი ფრი ალიანსთან ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმებას პროდუქტის მიწოდებაზე. აღნიშნული ეკონომიკური აგენტები საქმიანობენ ერთი და იგივე თავისუფალ სავაჭრო ზონაში (წითელი ხიდი, სადახლო და სარფი).

მოკვლევის ჯგუფმა გამოითხოვა შესაბამისი ეკონომიკური აგენტისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაცია, დაამუშავა და გააანალიზა შესაბამისი მასალები და დოკუმენტაცია, ჩაატარა ზეპირი სხდომა და დაამუშავა რელევანტური საერთაშორისო პრაქტიკა. მოკვლევის ჯგუფმა ასევე გამოკითხა მომხმარებლები თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში, რათა განესაზღვრა ჩანაცვლებადობის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა ქართული ფილტრიანი სიგარეტი ცალკე პროდუქციულ

ბაზარს და იყო თუ არა ბაზარზე სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული სხვა ჩამნაცვლებელი ფილტრიანი სიგარეტი.

სააგენტომ საბოლოო გადაწყვეტილებაში ზემოხსენებული თავისუფალი სავაჭრო ზონა მიიჩნია ცალკე გეოგრაფიულ ბაზრად, სადაც ეკონომიკური აგენტები საქმიანობენ. თითოეული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი დაკვალიფიცირდა, როგორც იზოლირებული გეოგრაფიული ბაზარი მისი ტერიტორიული შემოსაზღვრულობისა და ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერების გათვალისწინებით. თუმცა, ქართული ფილტრიანი სიგარეტი არ აყალიბებდა ცალკე პროდუქციულ ბაზარს და პროდუქციულ ბაზრად მიჩნეული იქნა ფილტრიანი სიგარეტის ბაზარი. საქმიანობის თავისებურებების და ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების გათვალისწინებით, სააგენტო დააჯამა მათი საბაზრო წილები. სააგენტომ მიიჩნია, რომ სს თბილისის თამბაქოს არ ჰქონდა დომინირებული მდგომარეობა ამ ბაზარზე.

მე-6 მუხლის თანახმად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დასადგენად საჭიროა ორი კუმულაციური პირობის არსებობა: 1) ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის არსებობა და 2) ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზარზე. მოცემულ შემთხვევაში, პირველი პირობა არ იყო დაკმაყოფილებული. ამიტომაც სააგენტომ ვერ დაადგინა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხი სს თბილისის თამბაქოს მხრიდან.

სააგენტომ პრევენციულად და ჰიპოთეტურად შეაფასა სს თბილისის თამბაქოს მოქმედება და განსაზღვრა, რომ დომინირებული მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში ზემოხსენებული გარემოებები შესაძლოა დაკვალიფიცირებულიყო პარტნიორის შერჩევად. კერძოდ, სს ,თბილისის თამბაქო ამარაგებდა თავისი პროდუქციით ვერტიკალურად დაკავშირებულ ბაზარზე მოქმედი ორი ეკონომიკური აგენტიდან ერთ-ერთს. აღნიშნული ქმედება აყალიბებდა დისკრიმინაციას ორ თანასწორ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებაში. ამგვარად, თუ სს თბილისის თამბაქოს ექნებოდა დომინირებული მდგომარეობა ეს ქმედება მიიჩნეოდა მე-6 მუხლის დარღვევად.

სააგენტომ აგრეთვე მიაქცია ყურადღება და გააანალიზა ექსკლუზიური ნასყიდობის ხელშეკრულება სს თბილისის თამბაქოსა და შპს დუთი ფრი ალიანსს შორის. ხელშეკრულების დანაწესებიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის გადმოსახედიდან და კონკურენციის სამართლის პრინციპებზე დაყრდობით, აღნიშნული შეთანხმება სააგენტომ მიიჩნია ვერტიკალურ შეთანხმებად. როგორც ზემოთ აღნიშნა, სს თბილისის თამბაქოს არ ეკავა დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და ხსენებული ექსკლუზიური ხელშეკრულებაც ვერ განიხილებოდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

- მზოჭავი რეკომენდაციები ეკონომიკურ აგენტსა და სახელმწიფო ორგანოებს

აღნიშნული საქმე შეეხება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის საკითხს. განმცხადებელმა სს ჯანმრთელობამ საჩივრით მიმართა სააგენტოს სს ბალნეო სერვისი“ მხრიდან წყალტუბოს მინერალურ-თერმული წყლების (წყალტუბო არის კურორტი, სადაც ეს წყლები გამოიყენება სამკურნალოდ) შესაძლო მონოპოლიცაზიის ფაქტზე. საჩივრის ავტორი მიიჩნევდა რომ სს ბალნეო სერვისმა დაარღვია კონკურენციის კანონი: იყო რა ერთადერთი ეკონომიკური აგენტი, რომელიც ფლობდა თერმულ-მინერალური წყლების მოპოვების ლიცენზიას წყალტუბოში, უარი განუცხადა სს ჯანმრთელობას წყლის ნაწილის მისთვის გადაცემაზე, როდესაც წყალი იღვრებოდა და იკარგებოდა და სს ბალნეო სერვისს არ შეეძლო მისი სრულად ათვისება. სააგენტომ შეისწავლა როგორც უშუალოდ კონკრეტული ფაქტი, ასევე, ლიცენზიანტის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების მდგომარეობა და ზოგადად, წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო.

სააგენტომ შეაფასა შესაბამისი ბაზარი და დაასკვნა, რომ თერმულ-მინერალურ წყალ არ ჰქონდა შემცველი პროდუქტი. სს ბალნეო სერვისს, რომელიც ოპერირებდა, ეკავა შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა. თუმცა სააგენტომ მიანიშნა, რომ სს ბალნეო სერვისმა უარყო იმ ეკონომიკური აგენტის შეთავაზება, რომელიც არათუ მის კონკურენტ, არამედ პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტსაც კი არ წარმოადგენდა. შესაბამისად, სახეზე არ იყო დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით. ასევე არ იყო სახეზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროს მხედველობაში მიღებით: 1) პოტენციურ დამრღვევს ჰყავს მინიმუმ ორი პარტნიორი და თითოეულისათვის დაწესებული აქვს განსხვავებული პირობები; 2) პოტენციური დამრღვევი აკეთებს საჯარო ოფერტს და აფორმებს ხელშეკრულებს მხოლოდ ერთ მხარესთან, იმ შესაძლებლობის ნაცვლად, რომ გააფორმოს კონტრაქტი სხვასთანაც. ეს წინაპირობები არ იყო წარმოდგენილი ამ საქმეში.

თუმცა, კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სააგენტომ ეკონომიკურ აგენტს (სს ბალნეო სერვისს) და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს შესთავაზა მბოჭავი რეკომენდაციები (გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, შემოსავლების სამსახური).

- მოკვლევა საქართველოს შავი ზღვის პორტების ნავთობტერმინალში განხორციელებული აქტივობების შესაბამისობაზე კონკურენციის კანონმდებლობასთან

ამ საქმეში სააგენტომ მოკვლევა დაიწყო შპს MG-ის, უცხოური საწარმოს ფილიალის ვიბრო დიაგნოსტიკ FZE-ს და შპს ლუკოილ საქართველოს ერთობლივი საჩივრის საფუძველზე შპს ბათუმის ნავთობტერმინალის მხრიდან მე-6 მუხლის დარღვევის სავარაუდო ფაქტის შესახებ. საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო

შემდეგი: შპს ლუკოილ საქართველოსა და შპს MG-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს MG-ს ბათუმის ნავთობის ტერმინალში უნდა შეეძინა საწვავის. ხელშეკრულების წესებისა და პირობების შესასრულებლად, შპს MG-ს სჭირდებოდა ბათუმის ნავთობტერმინალის ტერიტორიაზე არსებულ მისასვლელ ლიანდაგზე რკინიგზის ვაგონცისტერნაზე წვდომა და ამ მიზნით ტერმინალთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა. ამ მიზნით, ლუკოილ საქართველომ და უცხოური საწარმოს ფილიალმა ვიბრო დიაგნოსტიკ FZE-მ მიმართეს ბათუმის ნავთობის ტერმინალს და სთხოვეს MG-ს კონტრაქტობა, რაც უარყოფილ იქნა. შესაბამისად, განმცხადებელთა ინფორმაციით ბათუმის ნავთობის ტერმინალის მხრიდან რკინიგზის ვაგონცისტერნაზე წვდომაზე უარის თქმით სახეზე იყო კონტრაქტის შერჩევა. განმცხადებლებმა მიიჩნიეს, რომ ეს ქმედება იყო დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მე-6 მუხლის შესაბამისად.

აპლიკანტთა განცხადებების მიმოხილვით და საკუთარი ინიციატივით, სააგენტომ დაიწყო მოკვლევა ზოგადად საქართველოს შავი ზღვის პორტების მომსახურებების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. მოკვლევის პროცესში სააგენტომ ნაწილობრივ შეწყვიტა მოკვლევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ მიიღებს საჩივარს, თუ იმავე დავის საგანზე, იმავე მხარეთა შორის სასამართლო წარმოებაში არის საქმე. ამის გათვალისწინებით, სააგენტომ შეწყვიტა მოკვლევა უცხოური საწარმოს ფილიალის ვიბრო დიაგნოსტიკ FZE-ს და შპს ლუკოილ საქართველოს საჩივრების ნაწილში და გააგრძელა იმ ფარგლებში, რაც შეეხებოდა შავი ზღვის პორტების ტერიტორიაზე მოქმედ ტერმინალთა ფუნქციონირებას საქართველოში.

ამ საქმეში სააგენტომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მე-6 მუხლის შესაბამისად, შეაფასა ორი მიმართულებით: 1. დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა; 2. განსახილველი ქმედების შესაბამისობის დადგენა კანონის მოთხოვნებთან. სააგენტომ გააანალიზა, რომ ბათუმის ნავთობის ტერმინალს ჰქონდა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე (ნავთობის პროდუქტების ჩატვირთვის და ჩამოტვირთვის ბაზარი), თუმცა ვერ დამტკიცდა ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი.

- **შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია შპს ტრანს კავკასუს ტერმინალის (სს საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია) წინააღმდეგ**

შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიციამ მიმართა სააგენტოს შპს ტრანს კავკასუს ტერმინალის მხრიდან მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. საჩივრის თანახმად, საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია - ტრანს კავკასუს ტერმინალი ფლობს ტერმინალს, რომელიც არის ერთადერთი ტერმინალი დედაქალაქსა და მის შემოგარენში. ამასთან, კომპანია ახორციელებს საექსპედიტორო მომსახურებასაც, რომლისთვისაც გამოცხადებული ჰქონდა კომბინირებული ტარიფი



(სხვადასხვა სერვისებისთვის). ტარიფი მოიცავს რკინიგზის მომსახურებას (რომელიც სს საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის შესაბამისად, ყველა საწარმოსთვის უნდა იყოს ერთნაირი) და ტერმინალის მომსახურების ხარჯებს. აპლიკანტმა მიიჩნია, რომ ტრანს კავკასუს ტერმინალის მიერ გამოცხადებული ტარიფი არ ფარავდა საექსპედიტორო მომსახურებას. ამასთან, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თუ ეკონომიკურ აგენტს არ უნდა გამოიყენოს კომბინირებული ტარიფი და კონტეინერების გადაზიდვას შეუკვეთავს სს საქართველოს რკინიგზას, კონტეინერები აუცილებლად უნდა გაჩერდეს ტერმინალში, შესაბამისად, მან სატერმინალო მომსახურება უნდა მიიღოს შპს ტრანს კავკასუს ტერმინალისგან. საჩივრის ავტორი უთითებდა, რომ რკინიგზის მომსახურების ღირებულების და სატერმინალო მომსახურების ღირებულების ჯამი არის უფრო მეტი, ვიდრე შპს ტრანს კავკასუს ტერმინალის მიერ გამოცხადებული კომბინირებული ტარიფის ღირებულება.

მოკვლევის პროცესში, კონტეინერის გადაზიდვის ბაზარი განისაზღვრა შესაბამის სასაქონლო ბაზრად, რომელზეც ფუნქციონირებს რკინიგზა და საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციები. მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტოს გამოთვალა შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალის“ წილი კონტეინერების გადაზიდვის ბაზარზე, ასევე კონტეინერების სარკინიგზო გადაზიდვის ბაზარზე და დაადგინა, რომ სარკინიგზო გადაზიდვას არ უკავია დომინირებული მდგომარეობა კონტეინერების გადაზიდვის სასაქონლო ბაზარზე. ამავდროულად, სააგენტომ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს რკინიგზის გადაზიდვის მაჩვენებელი კონტეინერების გადაზიდვის მთლიან მოცულობასთან მიმართებაში იყო შემცირებული, რის მიზეზის შესაძლოა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ სს საქართველოს რკინიგზა სატარიფო პოლიტიკას ადგენს აშშ დოლარში.

სააგენტომ დაადგინა, რომ შპს ტრანს კავკასუს ტერმინალს არ ეკავა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე (2012- 16.2%, 2013 - 19.9%, 2014 16.8%, 2015 - 20.1%).

იმის მიუხედავად, რომ ტრანს კავკასუს ტერმინალის მიმართ არ დადგინდა შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა, სააგენტომ გააგრძელა საჩივრის ანალიზი და ქმედების შეფასება. ამით, სააგენტომ დაადგინა, რომ ტრანს კავკასუს ტერმინალი და საქართველოს რკინიგზა არ აწესებდნენ დისკრიმინაციულ პირობებს სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის (ფოთი-თბილისი და პირიქით, ბათუმი-თბილისი და პირიქით, „ბლოკ-მატარებლის“ კონტეინერის გადაზიდვის ჩათვლით). შესაბამისად, კომპანიის გადაწყვეტილების თანახმად, ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლო გამოეყენებინა ეს ტარიფი. სააგენტომ გადაწყვიტა, რომ ტრანს კავკასიის ტერმინალს არ დაურღვევია კანონის მე-6 მუხლი.

უფრო მეტიც, სააგენტომ წარუდგინა სავალდებულო რეკომენდაციები ტრანს კავკასიის ტერმინალს და საქართველოს მთავრობას. ტრანს კავკასუს ტერმინალის

რეკომენდაციებში სააგენტომ აღნიშნა, რომ კომპანიას, როგორც ბაზრის ძირითად მოთამაშეს, მიეცა რჩევა, რომ უზრუნველყო კომპანიის თავისუფალი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, რომელიც მუდმივად იქნებოდა განახლებადი. სააგენტომ რამდენიმე გაუმჯობესება შესთავაზა საქართველოს მთვრობას კონტეინერების გადაზიდვის სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

- **ასოციაცია გლობალაგრო აზერბაიჯანული კომპანია კარატ ჰოლდინგის წინააღმდეგ**

ქართული ხორბლის და ხორბლის პროდუქტების ასოციაცია გლობალაგრომ აზერბაიჯანული კომპანია კარატ ჰოლდინგის წინააღმდეგ მიმართა სააგენტოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. განმცხადებლის საჩივარი ეფუძნებოდა იმას, რომ 2009 წლიდან აზერბაიჯანულმა კომპანიამ კარატ ჰოლდინგმა დაიკავა პრივილეგირებული მდგომარეობა ბაზარზე შპს აგროსისტემების (წარმოების სიმძლავრე 600 ტონა/დღე; რეზერვის მოცულობა - 80 000 ტონა), ყოფილი მზეკაბანის (წარმოების სიმძლავრე 200 ტონა/დღე, რეზერვის მოცულობა - 50 000 ტონა), შპს კარმენის გორი ფორტის წისქვილის საწარმოს (წარმოების სიმძლავრე 350 ტონა/დღე, რეზერვის მოცულობა 42 000 ტონა) და შპს კარმენი K-ს კაჭრეთის წისქვილის საწარმოს (წარმოების სიმძლავრე 200 ტონა/დღე, რეზერვის მოცულობა - 120 000 ტონა) შერწყმა/შეძენის შემდეგ. ამასთან, განმცხადებელი ჩიოდა, რომ კომპანია კარატ ჰოლდინგი დრო და დრო აწესებდა არასამართლიან ფასებს. ამასთანავე, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ კარატ ჰოლდინგმა დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი და არსებობდა რისკი ერთ-ერთი რომელიმე კომპანიის ხელში მოქცეულიყო ხორბლის სტრატეგიული მარაგები, რაც შესაძლოა ასახულიყო ფქვილის ფასზე (ფქვილი შესაძლოა მოხვედრილიყო ბაზარზე გასაყიდად არასამართლიანად დაბალ ფასად). სააგენტომ დაიწყო მოკვლევა. მოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტები შპს აგროსისტემები, შპს კარმენი და შპს კარმენი K ჩაითვალებოდა ურთიერთდამოკიდებულ პირებად და სააგენტომ საბაზრო წილი და ძალაუფლება დაიანგარიშა, როგორც ერთი ეკონომიკური აგენტის.

სააგენტომ საქართველოს ტერიტორია განსაზღვრა შესაბამის ბაზრად იმის გათვალისწინებით, რომ ხორბლის ბაზარი იყო ძირითადი ბაზარი, ხოლო ფქვილის ბაზარი - მეორეული. სააგენტომ შეაფასა: 1) ხორბლის იმპორტი და ადგილობრივი წარმოება საქართველოში; 2) საქართველოში ფქვილის იმპორტი; 3) ფქვილის გაყიდვის სამართლიანობის ინდექსები; 4) ხორბლის ფქვილის მწარმოებელი მნიშვნელოვანი წილის მქონე პირების გასაყიდი ფასების შედარებითი ანალიზი; 5) წისქვილების და ელევატორების სიმძლავრე შიდა ბაზარზე და ეკონომიკური აგენტების ელევატორების და საწარმოო სიმძლავრის შედარებითი ანალიზი. მოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ 2013-2014 წლებში ურთიერთდაკავშირებული პირების საბაზრო წილი უახლოვდებოდა 40%-ს. თუმცა, მხოლოდ აღნიშნულის

გათვალისწინება იქნებოდა არაეფექტური დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისათვის, სააგენტომ დაასკვნა, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს ჰქონდათ საბაზრო ძალაუფლება შესაბამის ბაზარზე სხვა ინდიკატორების მხედველობაში მიღებით; კონკრეტულად, სააგენტომ აღნიშნა, რომ წარმოების შესაძლებლობებმა და ელევატორების სიმძლავრემ, ეკონომიკურ აგენტებს მისცა ძალაუფლება ემოქმედათ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისაგან, მიმწოდებლებისაგან, მომხმარებლებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შეეზღუდათ/დაემახინჯებინათ კონკურენცია. ამასთან, სააგენტომ გადაწყვიტა, რომ ურთიერთდაკავშირებულ პირებს ჰქონდათ დომინირებული მდგომარეობა ხორბლის ფქვილის სასაქონლო ბაზარზე.

დომინირებული მდგომარეობის დადგენის შემდეგ, სააგენტომ შეაფასა, რომ ამ გარემოებებმა ურთიერთდაკავშირებულ პირებს მისცა შესაძლებლობა, ეწარმოებინათ ფქვილი უფრო ნაკლები ხარჯით (ერთეულზე) და ამავდროულად, გაეყიდათ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით დაბალ ფასად; სააგენტომ მიუთითა, რომ აღნიშნული არ იყო მოგების მაქსიმიზაციის პრინციპთან შეუსაბამო, რომელიც შეიძლება სხვადასხვა პირობებში მიღწეულ იქნას, როგორც მცირე მარჟითა და დიდი ბრუნვით, ასავე მაღალი მარჟითა და მცირე ბრუნვით. სააგენტომ დააგინდა, რომ არსებობდნენ ეკონომიკური აგენტები, ვინც ფქვილს ყიდდა მოპასუხეებზე დაბალ ფასად და მოკვლევის თანახმად, ურთიერთდაკავშირებული პირების საბაზრო წილები დრამატულად იყო შემცირებული დაახლოებით 30%-ის ტოლად 2015 წლის მთლიანი საბაზრო წილიდან. სააგენტომ მიიჩნია, რომ აღნიშნულმა უფრო მეტად შეასუსტა იმის ვარაუდი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასით საქმიანობა ბაზარზე განპირობებული იყო დომინირებული მდგომარეობის განმტკიცებისკენ და ბაზრის კონცენტრაციის გამსხვილებისკენ.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სააგენტომ ვერ დაადგინა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა. ამ გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სარეკომენდაციო წერილი სუბიექტებთან, რომელთაც სამუშაო ჯგუფმა შესთავაზა ბაზრის გარკვეული გაუმჯობესებები და კონტროლის მექანიზმები, რომლებიც არ წაახალისებს მონოპოლიას. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველო არის ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა, რომელიც მიისწრაფვის, დააფუძნოს დემოკრატიული ღირებულებები და პრინციპები ყველა მიმართულებით და ცდილობს გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ამ გზაზე ძლიერი მონოტორინგის და კონტროლის მექანიზმები მნიშვნელოვანია, და კონკურენციის სააგენტოს როლი და უფლებამოცილებაც ხდება სულ უფრო საინტერესო და ღირებული.

### თავი III - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით

სოფიო ქურთაული  
ჰასმიკ ტიგრანიანი

ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებში კონკურენცია ეკონომიკის ძირითადი და არსებითი მახასიათებელია. კონკურენცია უზრუნველყოფს ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალ დონეს, მომხმარებელთა სარგებელსა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. კონკურენციის სამართალი და მისი მკაცრი რეგულირება საჭიროა იმისთვის, რომ ბაზარზე საბაზრო ეკონომიკის თანდაყოლილმა დესტრუქციულმა ტენდენციებმა არ იმძლავროს.

ბაზარზე თავისუფალი კონკურენციისა და მისი წარმატებით უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა კონკურენციული პოლიტიკის რეგლამენტირება განახორციელეს შემდეგი სახით:

- აკრძალეს კარტელები (მუხ. 101, 103, 106 TFEU)<sup>45</sup>;
- აკრძალეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (მუხ. 102 TFEU)<sup>46</sup>;
- მოახდინეს შერწყმის რეგულირება და იმ შერწყმათა აკრძალვა, რომელიც ხელს შეუშლის ან შეიძლება შეაფერხოს კონკურენცია (ევროკავშირის კონცენტრაციის რეგულაცია)<sup>47</sup>;
- დაარეგულირეს სახელმწიფო დახმარების საკითხები (მუხ. 107 TFEU)<sup>48</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, რომლის მიზანია მოახდინოს ეკონომიკური აგენტების მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პრევენცია იმ სექტორში, სადაც ისინი მოღვაწეობენ. აღსანიშნავია, რომ დომინირებული მდგომარეობის ქონა აკრძალული არაა: აკრძალულია მისი ბოროტად გამოყენება. ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობა ეხმიანება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებულ აღსრულების საკითხსაც, რომლის „...მიზანია, ხელი შეუშალოს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, ბოროტად გამოიყენონ თავიანთი მდგომარეობა მათივე ეკონომიკურ სექტორში და ამით დაამახინჯონ კონკურენცია საშიანო ბაზარზე ვაჭრობისას. ეს მიზანი მოითხოვს

<sup>45</sup> ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება (TFEU) <http://bit.ly/2rTeB2Y>

<sup>46</sup> TFEU, <http://bit.ly/2thl2kU>

<sup>47</sup> Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation), (hereinafter - EUMR), <http://bit.ly/2tMh7cM>

<sup>48</sup> TFEU, <http://bit.ly/2rTeB2Y>

გამოძიებულ იქნეს კომპანიების შერწყმის საკითხები, რომელმაც შესაძლოა დომინირებული მდგომარეობა წარმოშვას<sup>49</sup>.

TFEU-ს 102-ე მუხლი კრძალავს ერთი ან ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას საშინაო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე და აღნიშნულს საშინაო ბაზრისთვის შეუთავსებლად აცხადებს, ვინაიდან მას შეუძლია გავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე. EC Treaty-ის (ევროპული თანამეგობრობის შექმნის ხელშეკრულება) 82-ე მუხლი არ კრძალავს თავად დომინირებულ მდგომარეობას, არამედ კრძალავს შესაბამის ბაზარზე მის ბოროტად გამოყენებას, რადგან შესაძლოა მან გავლენა მოახდინოს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე<sup>50</sup>. ამდენად, კანონმდებლობა კრძალავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და არა თავად დომინირებულ მდგომარეობას და აცხადებს, რომ აკრძალვა ეხება მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას საშინაო ბაზარს ან ამ ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, რაც ხშირ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს; ქვემოთ აღვწერთ რამდენიმე ინსტრუმენტს, რომლებიც აადვილებენ იმის გაგებას, ფლობს თუ არა ეკონომიკური აგენტი დომინირებულ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე, რასაც მოყვება ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შეფასება.

### შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა

ბაზრის მნიშვნელობა განმარტებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ (შემდგომში - CJEU). CJEU-მ *“შილო შესაბამისი ბაზრის განმარტება, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი ბაზარი შედგება პროდუქტებისაგან, რომლებიც არიან ერთმანეთის პირდაპირი ჩამნაცვლებელი, მაგრამ არა ჩამნაცვლებელი (ან შეზღუდული ოდენობით) ამ ბაზრის გარეთ ხელმისაწვდომი პროდუქტებით”*<sup>51</sup>. ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით, შესაბამის ბაზრად მიიჩნევა ევროკავშირის საშინაო ბაზარი, სადაც პროდუქციასა და საშინაო ბაზარს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთთავსებადობა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პროდუქციასა და მომსახურებას. შესაბამისი პროდუქციული ბაზარი და ურთიერთთავსებადობის საკითხი CJEU-მ განიხილა საქმეში *Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities*<sup>52</sup>, სადაც განაცხადა, რომ „შესაბამისი ბაზრის განმარტება უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან კონკურენციის შესაძლებლობები შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ იმ პროდუქტის მახასიათებლიდან გამომდინარე, რომლებსაც აქვთ უნარი,

<sup>49</sup> European Parliament Fact Sheets on Abuse of a dominant position and investigation of mergers, <http://bit.ly/2sddP03>

<sup>50</sup> Ibid.

<sup>51</sup> Jones/ Sufirin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 57

<sup>52</sup> Case 6/72, *Europemballage Corporation and Continental Can Company v Commission*, [1973], para 32

დააკმაყოფილონ არაელასტიკური საჭიროებები და სხვა პროდუქტთან შედარებით შეზღუდული ურთიერთჩანაცვლების უნარი გააჩნიათ.“

CJEU-ს კიდევ ერთი საქმე, სადაც ასევე დადასტურდა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მნიშვნელობა იყო „*Hoffmann-La Roche & Co. v Commission*“, სადაც კომისიამ დაადგინა, რომ La Roche-მ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა A, B2, B3, B6, C, E და H ვიტამინების ბაზარზე. Roche კომისიის გადაწყვეტილების რამდენიმე პუნქტს არ ეთანხმებოდა, მათ შორის იყო ბაზრის განმარტება.<sup>53</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ „რეალურად, შესაბამისი ბაზრის კონცეფცია გულისხმობს, რომ შესაძლოა არსებობდეს ეფექტიანი კონკურენცია პროდუქციასა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის, რაც სავარაუდოს ხდის მოცემულობას, რომ არსებობს საკმარისი ურთიერთჩანაცვლების ხარისხი იმ ყველა პროდუქციას შორის, რომელიც ერთი და იმავე ბაზარს აყალიბებს ასეთი სპეციფიკური პროდუქციის მოხმარების გათვალისწინებით.“<sup>54</sup>

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მნიშვნელობა ასევე გასაჩივრდა საქმეში *NV NederlandscheBandenIndustrie Michelin v Commission of the European Communities*, სადაც CJEU-მ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ „მოცემულ ბაზარზე, ეკონომიკური აგენტის მიერ შესაძლო დომინირებული მდგომარეობის გამოკვლევის მიზნებისთვის, კონკურენციის შესაძლებლობები აუცილებლად უნდა შეფასდეს იმ ბაზრის კონტექსტიდან გამომდინარე, რომელიც პროდუქციის სრულ რაოდენობას მოიცავს, პროდუქციის მახასიათებლებიდან გამომდინარე საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის ჩათვლით და სადაც შესაძლოა, ურთიერთჩანაცვლება სხვა პროდუქტით ძალიან შეზღუდულ ფარგლებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრება მნიშვნელოვანია, რათა შევავსოთ, აქვს თუ არა ეკონომიკურ აგენტს შესაძლებლობა, შეაფერხოს ეფექტიანი კონკურენცია და იმოქმედოს თავისი კონკურენტებისგან, კლიენტებისა თუ მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად“.<sup>55</sup>

კომისიის მიდგომა ბაზრის განმარტებასთან დაკავშირებით ნათელია კომისიის დასკვნაში შესაბამისი ბაზრის განმარტება საზოგადოებრივი კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის (შემდგომში - „დასკვნა“), რომელიც „ეკონომიკური პრინციპების გზამკვლევა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ბაზარი ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიზნებისთვის“.<sup>56</sup> ასევე, აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა აღწერს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის პროცესს, რაც კომისიის დასკვნებსა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებში მანამდე წარმოდგენილი არ ყოფილა.<sup>57</sup>

დასკვნის მეორე პარაგრაფში ნათქვამია, რომ „ბაზრის განმარტება არის ინსტრუმენტი იდენტიფიცირება მოხდეს და განისაზღვროს კონკურენციის საზღვრები ფირმებს შორის. ბაზრის განმარტების მთავარი მიზანია, იმ კონკურენციული შემზღუდველების სისტემური გზით იდენტიფიცირება, რომლებსაც

<sup>53</sup> *Ezrachi*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, p. 38

<sup>54</sup> Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission*, [1979], para 28

<sup>55</sup> C-322/81 - *Michelin v Commission*, [1983], para37

<sup>56</sup> *Weatherill*: Cases and Materials on EU Law, 2010, p. 529

<sup>57</sup> *Szyszczak/ Cygan*: Understanding EU Law, 2<sup>nd</sup> edition, London, 2008, p. 226

ეკონომიკური აგენტები იყენებენ. ბაზრის განსაზღვრის მიზანი, როგორც პროდუქციის ისე გეოგრაფიული სიდიდის თვალსაზრისით, ემსახურება ეკონომიკური აგენტების იმ მოქმედი კონკურენტების იდენტიფიცირებასაც, რომლებსაც შეუძლიათ ეკონომიკური აგენტების ქცევის შეზღუდვა ან ეფექტიანი კონკურენციული ზეწოლით ეკონომიკური აგენტების დამოუკიდებლობის ხელის შეშლა. ეს თვალსაზრისი ეყრდნობა აზრს, რომ ბაზრის განმარტება შესაძლებელს ხდის *inter alia* განხორციელდეს საბაზრო წილების დათვლა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდოს დომინირების შესაფასებლად საბაზრო ძალაუფლებასთან დაკავშირებით“.<sup>58</sup>

ამის მთავარი მიზანი კი შემდეგია: „განისაზღვროს, რომელი პროდუქტია ისე ახლოს ერთმანეთთან, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენციული ზეწოლა მოახდინონ მიმწოდებლის ქცევაზე“<sup>59</sup>. დასკვნა განასხვავებს შესაბამის პროდუქციულ ბაზარს<sup>60</sup> შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრისგან.<sup>61</sup>

შესაბამისი პროდუქციული ბაზრის განსაზღვრისას, დასკვნაში ნათქვამია, რომ იგი „მოიცავს ყველა პროდუქტს ან/და მომსახურებას, რომელიც მიიჩნევა ურთიერთჩანაცვლებადად ან შეიძლება მისი შენაცვლება მოხდეს მომხმარებლის მიერ, პროდუქციის მახასიათებლების, ფასებისა და მათი მიზნობრივი გამოყენების გამო.“ ცხადია, ურთიერთჩანაცვლება შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამასთან, ყოველთვის მარტივი არ არის განისაზღვროს, თუ რომელ პროდუქტს/მომსახურებას გააჩნია შემცვლელი, ვინაიდან „ხშირად რთულია იმის გადაწყვეტა, რომელი პროდუქტი ან მომსახურებაა ერთსა და იმავე ბაზარზე.“<sup>62</sup>

კომისიამ შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისას აღნიშნა, რომ ეს არის „სივრცე, სადაც ეკონომიკური აგენტები ჩართულები არიან პროდუქტის ან მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების ისეთ პროცესში, სადაც კონკურენციის პირობები საკმარისად ერთგვაროვანია და რომელიც გამოირჩევა მეზობელი სივრცეებისგან ამ უკანასკნელში მოქმედი კონკურენციის პირობების გამო“. ამრიგად, შესაბამისი ბაზარი განისაზღვრება შესაბამისი პროდუქციული და გეოგრაფიული ბაზრებით.

ბაზრის განსაზღვრისას, დასკვნა „გამოკვეთს სამ კონკურენციულ შეზღუდვას, რომელსაც ექვემდებარებიან ეკონომიკური აგენტები: მიწოდების ჩანაცვლებადობა (პროდუქტის მომხმარებლების შესაძლებლობა გადაერთონ სხვა შემცვლელ პროდუქტზე), მოთხოვნის ჩანაცვლებადობა (მსგავსი პროდუქტის მწარმოებლების შესაძლებლობა აწარმოონ აღნიშნული პროდუქცია) და პოტენციური კონკურენცია. ბაზრის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია როგორც მოთხოვნის, ისე, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობაც. პოტენციური კონკურენცია მნიშვნელოვანია მაშინ, როცა მხედველობაში მიიღება ეკონომიკური

<sup>58</sup> Official Journal of the European Communities, para 2, <http://bit.ly/2tbz51a>

<sup>59</sup> Jones/ Sufirin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 56

<sup>60</sup> Official Journal of the European Communities, para 7, <http://bit.ly/2tbz51a>

<sup>61</sup> *Ibid.* para 8

<sup>62</sup> Jones/ Sufirin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 56

აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის სავარაუდო ქონა შესაბამის ბაზარზე.“<sup>63</sup>

აშკარაა, რომ ჩანაცვლებადობა განისაზღვრება ორი კრიტერიუმით: მიწოდებითა და მოთხოვნით. მიუხედავად ამისა, დასკვნა ყურადღებას ძირითადად მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობაზე ამახვილებს.<sup>64</sup> მოთხოვნის ჩანაცვლებადობის გაზომვა ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: პროდუქტის ერთგვაროვნება (სრულყოფილი და არასრულყოფილი ჩანაცვლება), მომხმარებლის ქცევა (როგორ ეგუებიან ისინი პროდუქტს) და პროდუქტის გამოყენებადობა (ასიმეტრიული ჩანაცვლება<sup>65</sup>).

ურთიერთჩანაცვლება განისაზღვრება მოთხოვნის „ჯვარედინი ელასტიკურობის“ გაზომვითა და გათვალისწინებით. დასკვნა მიიჩნევს, რომ კომისიამ „ჯვარედინი ელასტიკურობის“ გასაზომად პირველ ჯერზე გამოიყენა ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტი (HMT) (როგორც SSNIP<sup>66</sup> ტესტი)<sup>67</sup>.

SSNIP ტესტი პროდუქციული ბაზრის განსაზღვრისთვის გამოიყენება, სადაც „პროდუქციის მინიმალური შესაძლებელი ქვე-შემადგენლობაა მნიშვნელოვანი შესაბამისი პროდუქციული ბაზრის აღმოჩენის ანალიზისთვის“<sup>68</sup>. აღნიშნული ტესტი კონკურენციის სააგენტოებმა მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენეს (აშშ, ახალი ზელანდია, კანადა, ავსტრალია..). ეს ტესტი ბაზრის განსაზღვრის ეკონომიკური მიდგომის ნაწილია და მისი ვარაუდის მიხედვით: შესაძლებელია პროდუქციის/მომსახურების ფასის 5-10 %-იანი (მცირე %), მაგრამ არაგარდამავალი ზრდა (A) ფასი მოჩვენებითა. ამის შემდეგ, გასარკვევია, ფასის ზრდა გამოწვეულია A პროდუქციის მომხმარებლის მიერ B პროდუქტის შეძენით თუ A პროდუქტის შეძენით სხვა სივრცეში. ამ მხრივ ფასის ზრდა არამომგებიანია. ამ ტესტის პრაქტიკული მაგალითი მოყვანილია დასკვნაში (დანართი 2, ნაწილი 18), რომელიც ტესტის გამოყენების უკეთ გაგებას ემსახურება: „... გამაგრებელი სასმელების ბოთლების საქმეში განხილულია საკითხი, აღნიშნული ტიპის სასმელები განსხვავებული გემოებით მიეკუთვნება თუ არა ერთი და იმავე ბაზარს. პრაქტიკული თვალსაზრისით, კითხვა მიმართულია მომხმარებლებისკენ, A გემოს მომხმარებელი გადაერთვება თუ არა სხვა გემოზე თუ A გემოს მქონე პროდუქციის ფასი მუდმივად გაიზრდება 5-10%-ით. თუ მაგალითად, საკმარისი რაოდენობის მომხმარებელი გადაერთვება B გემოზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ A გემოზე ფასის მომატება არ იქნება მომგებიანი და გამოიწვევს ნაკლებ გაყიდვებს, რის შედეგადაც, ბაზარზე წარმოდგენილი იქნება სულ მცირე A და B გემოს მქონე პროდუქცია. პროცესი გრძელდება მანამ, სანამ სხვა

<sup>63</sup> *Ibid.* 291

<sup>64</sup> *Ibid.* 60

<sup>65</sup> *Ibid.* 61

<sup>66</sup> მცირე მაგრამ მნიშვნელოვანი, არაგარდამავალი ფასების ზრდა

<sup>67</sup> *Jones/Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials*, 2016, p. 61

<sup>68</sup> *Sharma: A Useful Tool, Not A Panacea*, <http://bit.ly/2tcOliO>



არსეული გემოების დამატება არ განსაზღვრავს, რომ ფასების ზრდა არასაკმარისია მოთხოვნის ჩასანაცვლებლად.<sup>69</sup>

SSNIP ტესტის მთავარი პრობლემაა ცელოფნის პარადოქსი/ცდუნება<sup>70</sup>, რადგან ის შეიძლება შეუსაბამო იყოს კონკურენციის არარსებობის დროს და მაშინ, როცა ეკონომიკური აგენტი ფლობს საბაზრო ძალაუფლებას. ამ ტესტის მიღმა, კომისია ბაზრის განსაზღვრისთვის ასევე იყენებს სხვა რაოდენობრივ ტესტებსაც, ისეთებს, როგორცაა ელასტიკურობის განსაზღვრა, ფასთა კორელაციის ანალიზი, ფასთა კონვერგენციის ანალიზი და კაუზალური გამოთვლები (დანართი 2, ნაწილი 39). კომისია ბაზრის განსაზღვრის დროს მხედველობაში იღებს მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობის საკითხსაც, რაც გულისხმობს შემდეგი სიტუაციის შეფასებას: შემოვა თუ არა A პროდუქციულ ბაზარზე B პროდუქციის მწარმოებელი, თუ A პროდუქციის ფასი გაიზრდება. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ გასათვალისწინებელია ხელმისაწვდომობის ალბათობა (რისკები, ხარჯები) და დროულობა (დანართი 2, ნაწილი 20-23).

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მოითხოვს სხვადასხვა რეგიონის ბაზრის ყველა მონაწილის საბაზრო წილების, გადაზიდვის ხარჯების ანალიზს, მომხმარებელთა და კონკურენტთა შეხედულებებს, სადისტრიბუციო/მომსახურების სისტემის ანალიზს, ძირითად მოთხოვნათა მახასიათებლებს, მანამდე არსებული შეკვეთების დივერსიის მტკიცებულებებს სხვადასხვა სივრცეში, რეგულირების შემაფერხებელ ფაქტორებს (ტარიფები, რეგულაციები, ტექნიკური სტანდარტები, გარემოს დაცვის სამართალი, სადისტრიბუციო ქსელებზე ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა და სხვ.), ისევე როგორც არსებული შესყიდვების გეოგრაფიულ სქემას (დანართი 2, ნაწილი 44-52).

შესაბამისი ბაზარი განიხილება ორი განზომილებით: შესაბამისი პროდუქციული და შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის მიხედვით.

აკადემიური ლიტერატურის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მესამე განზომილება დროებითობას შეიძლება უკავშირდებოდეს და განისაზღვრებოდეს დროის მითითებით.<sup>71</sup> „*დროებითი განზომილება იმ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, როცა საქმე ეხება სატრანსპორტო ბაზარს*“.<sup>72</sup> ამის გათვალისწინებით, სასამართლომ *European Night Services and Others v Commission* საქმეში პირველი ინსტანციით გააბათილა კომისიის გადაწყვეტილება სადაც „*კომისიის განცხადება თავის დაცვის სიტყვაში ეფუძნება, რომ ENS-ის საბაზრო წილი უნდა გაზომილიყო დილით ადრე და გვიან საღამოს ფრენებთან კავშირში და არა მითითებით ყველა ფრენაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მოცემულ მარშრუტზე საათის ირგვლივ,*

<sup>69</sup> *Jones/ Sufirin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 62

<sup>70</sup> „ცელოფნის პარადოქსი/ცდომილება“ მთავარი განხილვის საკითხი იყო საქმეში *United States v El Du Pont de Nemours*, სადაც აშშ-ს უზენაესი სასამართლო დაეთანხმა Du Pont-ს, რომ ცელოფანი არ წარმოშობს ცალკე ბაზარს, ვინაიდან ის პირდაპირ და მჭიდროდ უწევს კონკურენციას სხვა შესაფუთ მასალებს. ამის მიუხედავად SSNIP ტესტმა მიიჩნია, რომ ის ფლობდა ცალკე ბაზარს.

<sup>71</sup> *Dabbah*: EC and UK Competition Law, Commentary, Cases and Materials, 2004, p. 59

<sup>72</sup> *Jones/ Sufirin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 79

როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებენ, რაც წარმოადგენს, შესაბამისი ბაზრის ხელახალ განსაზღვრებას ყველანაირი მტკიცებულების მხარდაჭერის გარეშე”.<sup>73</sup>

### დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა

შესაბამისი ბაზრის განმარტების შემდგომი ნაბიჯია იმის გამორკვევა, ეკონომიკურ აგენტს (აგენტებს) უკავია(თ) თუ არა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე. ევროკავშირის კონკურენციის სამართალი დომინირებას განსაზღვრავს, როგორც „ეკონომიკურად ძლიერ პოზიციას, რომელიც გააჩნია ეკონომიკურ აგენტს და მას შესაძლებლობას აძლევს ხელი შეუშალოს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, თავისი ძალაუფლების გამოყენებით კონკურენტებისგან და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად. დომინირების კონცეფცია ასახავს საბაზრო ძალაუფლებას და მოითხოვს შესაბამისი ბაზრისა და მისი მახასიათებლების წინასწარ მხედველობაში მიღებას.“ როგორც ჩანს, დომინირებული მდგომარეობა ასახავს ეკონომიკური აგენტების ეკონომიკურ და საბაზრო ძალაუფლებას შესაბამის ბაზარზე, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს კონკურენციაში ბაზრის სხვა მონაწილეებს.

დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება საბაზრო ძალაუფლების შეფასებით. ეკონომიკურ ლიტერატურაში, საბაზრო ძალაუფლება კონკურენციის სამართლის ძირითადი კონცეფციაა და მისი მიზანია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად შეზღუდოს წარმოების მოცულობა, ფასები კონკურენტულ დონეზე მაღლა აწიოს და მოიპოვოს მონოპოლიური უპირატესობები.<sup>74</sup> პოსნერისა და ლენდესის კვლევაში, საბაზრო ძალაუფლების განმტკიცების სტანდარტულ მეთოდად პირველ რიგში მიჩნეულია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, ამის შემდგომ - საბაზრო წილის გამოთვლა და ბოლოს, იმის განსაზღვრა, რამდენად მოცულობითი იყო მოთხოვნილი საბაზრო წილი ვარაუდის მხარდასაჭერად . *Id.* at 938

დღესდღეობით, საბაზრო ძალაუფლების გაზომვის ორი გზა არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი.

- „პირდაპირი მეთოდი მოიცავს საბაზრო ძალაუფლების შეფასებას ეკონომეტრიკული მეთოდებით, კერძოდ, რეზიდუალური მოთხოვნის მრუდი (მოთხოვნის მრუდი, რომელიც ერთი ფირმის წინაშეა )<sup>75</sup> მოითხოვს ინფორმაციასა და მონაცემებს, რომლებიც ხშირად ხელმისაწვდომი არაა თუმცა, ამის მიუხედავად, ეკონომიკური თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანია.
- არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტრუქტურირებულ მიდგომას. ის მოითხოვს შეფასდეს როგორც საბაზრო წილები (რაოდენობრივი ინდიკატორი) და დომინანტი საწარმოსა და მისი კონკურენტების სტრუქტურულ-საბაზრო

<sup>73</sup> T-374/94, *European Night Services and Others v Commission*, [1998] para 84

<sup>74</sup> Compare: *Jones/ Sufirin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 937, <http://bit.ly/2sh56tX>

<sup>75</sup> *Jones/ Sufirin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 55

პოზიცია, ისე ბაზარზე შესვლის ან გაფართოების შესაძლებლობა მსყიდველობითი ძალაუფლების საპირისპიროდ (ხარისხობრივი ინდიკატორი).<sup>76</sup> აღნიშნული მეთოდი აფასებს შესაბამის ბაზარსა და შემდგომ ძალაუფლებას ამ ბაზარზე, საბაზრო წილებისა და „ბაზარზე შესვლისას დაბრკოლებების“ ანალიზის დახმარებით.<sup>77</sup> „ბაზარზე შესვლისას არსებული დაბრკოლებები უმნიშვნელოვანესია ამ მეთოდით საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისთვის, ვინაიდან ეს არის ის, რაც ფირმას შესაძლებლობას აძლევს შევიდეს ბაზარზე“.<sup>78</sup> მსოფლიოში, ევროკავშირის ქვეყნების ჩათვლით, კონკურენციის სააგენტოების მიერ სწორედ „არაპირდაპირი“ მეთოდი გამოიყენება.

ევროკავშირში არ არსებობს არცერთი რეგულაცია ან აქტი რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს, როდის შეიძლება ფლობდეს დომინირებულ მდგომარეობას ეკონომიკური აგენტი. დომინირებული მდგომარეობა ნათლად არის განმარტებული როგორც პრეცედენტულ სამართალში (CJEU და ზოგადი სასამართლოები), ასევე ევროპული თანამეგობრობის შექმნის ხელშეკრულების 82-ე მუხლის გამოყენების გზამკვლევაში ევროკომისიის აღსრულების პრიორიტეტების ნაწილში *დომინანტი საწარმოების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე* [C (2009) 864 final, [2009] OJ C45/7] (შემდგომში - გზამკვლევი).

დომინირებული მდგომარეობა არის პროცესი, როცა ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური სიძლიერე განისაზღვრება ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორებით. ამ მხრივ, სასამართლოს პრაქტიკას განმარტების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია თითოეულ საქმეში. *United Brands v Commission* საქმეზე მსჯელობისას, UBC ფლობდა თუ არა დომინირებულ მდგომარეობას ბანანებზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ „დომინირებული მდგომარეობა აუცილებლად უნდა განისაზღვროს ბაზარზე არსებულ კონკურენტთა რაოდენობისა და სიძლიერის გათვალისწინებით (ამ საქმეში, UBC -ს ჰყავდა ორი კონკურენტი Castle და Cooke). ...საწარმოს მიერ არ უნდა მოხდეს კონკურენციის ყველა შესაძლებლობის აღმოფხვრა იმ მიზნით, რომ დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა. ამასთან, საწარმოს ეკონომიკური სიძლიერე არ განისაზღვრება მისი მოგების მიღების უნარით; შემცირებული მოგების მარჟა ან ზარალი რაღაც დროის განმავლობაში არ შეესაბამება დომინირებულ მდგომარეობას, ისევე როგორც დიდი მოგება შეიძლება ეფექტიანი კონკურენციის პირობებშიც მივიღოთ. ... უმნიშვნელოვანესია იმის აღმოჩენა, რომ UBC-მ რაც არ უნდა გააკეთოს, მომხმარებლები გააგრძელებენ მისგან მეტი საქონლის შესყიდვას, ვინაიდან მათთვის UBC ყველაზე ძვირფასი გამყიდველია. და ეს ფაქტი დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელია და აღნიშნულ საქმეში ამის დამტკიცება, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.“<sup>79</sup>

<sup>76</sup> *Bilal/ Ollareaga*: Regionalism, Competition Policy and Abuse of Dominant Position, 1998

<sup>77</sup> *Jones/ Sufirin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 55

<sup>78</sup> *Ibid.*

<sup>79</sup> C-27/76, *United Brands v Commission*[1978], para 126, 128

ზემოაღნიშნული მიგნების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო მომხმარებელთა ქცევა, რომლებიც აგრძელებდნენ მეტი და მეტი საქონლის შესყიდვას UBC-სგან, რაც ბანანის ბაზარზე ძალაუფლების განმსაზღვრელი აღმოჩნდა - UBC ჩააყენა დომინირებულ მდგომარეობაში.

ამ საქმეში CJEU-მ ვრცლად განიხილა, რომ ეკონომიკურ აგენტს არ ევალება აღმოფხვრას დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნის ყველა შესაძლებლობა. საქმეში *Hoffmann-La Roche & Co. v Commission* დამატებით განიმარტა, რომ „ისეთი მდგომარეობა, სადაც მონოპოლია ან კვაზი-მონოპოლია, არ გამოირიცხავს კონკურენციას, განსხვავებით მდგომარეობისგან, რომელიც საწარმოსთვის მომგებიანი ხდება და მას შესაძლებლობას აძლევს, იმ შემთხვევაში თუ არ გააკონტროლებს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მაინც მოახდინოს პირობებზე, რომელიც კონკურენციას ავითარებს და ნებისმიერ შემთხვევაში, იმოქმედოს იმის საწინააღმდეგოდ, რომ არ მიიღოს დანაკარგი.<sup>80</sup>

გზამკვლევი ამ საკითხზე ასევე ამბობს, რომ „.. დამოუკიდებლობის ცნება დაკავშირებულია კონკურენციული შეზღუდვის ხარისხთან, რომელიც ხორციელდება საექვო ეკონომიკური აგენტის მიერ. დომინირებული მდგომარეობა გულისხმობს, რომ ასეთი კონკურენციული შეზღუდვები არ არის საკმარისად ეფექტიანი და აქედან გამომდინარე, საექვო ეკონომიკური აგენტი სარგებლობს არსებითი საბაზრო ძალაუფლებით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებები მეტწილად არ ითვალისწინებს კონკურენტების, მყიდველისა და მომხმარებლის ქმედებებსა და რეაქციებს. კომისიამ შეიძლება მხედველობაში მიიღოს, რომ ეფექტიანი კონკურენციული შეზღუდვები არ არსებობს იმის მიუხედავად, რომ შეიძლება რაღაც დონეზე მოქმედი ან პოტენციური კონკურენცია რჩებოდეს.<sup>81</sup> ზოგადად, დომინირებული მდგომარეობა გამომდინარეობს რამდენიმე ფაქტორის კომბინაციით, რომლებიც, დამოუკიდებლად განხილვის შემთხვევაში, განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება არც მიიჩნეოდეს..“<sup>82</sup> ამის შემდგომ, კომისია გზამკვლევაში აღნიშნავს, რომ ზოგადად, ეკონომიკურ აგენტს, შეუძლია ფლობდეს დომინირებულ პოზიციას, თუ ის არ ეჯახება კონკურენციის საკმარისად ეფექტიან შეზღუდვებს და მომგებიანად შეუძლია ფასის აწევა<sup>83</sup> კონკურენციის დონეზე მაღლა დროის მნიშვნელოვან მონაკვეთში.

<sup>80</sup> Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission* [1979], para 39

<sup>81</sup> Case 27/76 *United Brands v Commission*, [1978], paragraphs 113 to 121; Case T-395/94 *Atlantic Container Line and Others v Commission* [2002], para 330

<sup>82</sup> Case 27/76 *United Brands v Commission* [1978], para 65, 66; C-250/92 *Gøttrup-Klim and Others Grovwareforeninger v Dansk LandbrugsGrovvareselskab* [1994], para 47; T-30/89 *Hilti v Commission* [1991], para 90

<sup>83</sup> გზამკვლევის მიხედვით, „გაზრდილი ფასები“ მოიცავს ძალაუფლებას, კონკურენციულ დონეზე მაღალი ფასების დაწესების შესაძლებლობის მხრივ და გამოიყენება სხვადასხვა გზით, რომლის მიხედვითაც, ზოგიერთი კონკურენციის პარამეტრი - როგორცაა ფასები, გასავალი, ინოვაცია, საქონლისა და მომსახურების ნაირსახეობები - შესაძლოა დომინირებული ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ იმოქმედოს და მომხმარებლებისთვის საზიანო იყოს.

გზამკვლევის მიხედვით, კომისიამ დომინირებულობის განსასაზღვრად მხედველობაში უნდა მიიღოს ბაზრის კონკურენციის სტრუქტურა. კერძოდ, შემდეგი ფაქტორები:

- შეზღუდვები, რომლებიც გამოწვეულია ბაზარზე არსებული მიმწოდებლებისგან და ბაზარზე არსებული მოქმედი კონკურენტებისგან (დომინანტი საწარმოსა და მისი კონკურენტების საბაზრო პოზიციონირება);
- შეზღუდვები, რომლებიც გამოწვეულია არსებული კონკურენტების სამომავლო გაფართოების საფრთხიდან ან პოტენციური კონკურენტების ბაზარზე შესვლისგან (გაფართოება და ბაზარზე შესვლა);
- შეზღუდვები, რომლებიც გამოწვეულია საწარმოს კლიენტების სავაჭრო ძალაუფლებიდან (მსყიდველობითი ძალაუფლების საპირისპიროდ).<sup>84</sup>

საბაზრო ძალაუფლების შეფასების შესახებ გზამკვლევის მიხედვით, ასევე მხედველობაში მისაღებია:

- დომინანტი საწარმოსა და მისი კონკურენტების საბაზრო მდგომარეობა. ამ კუთხით, კომისიის პირველი და მოწინავე ინდიკატორია საბაზრო წილები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საბაზრო სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. კომისია მიიჩნევს, რომ „*მცირე საბაზრო წილები, ზოგადად, კარგი მტკიცებულებაა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება. საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის კუთხით, კომისია თავისი გამოცდილებიდან აღნიშნავს, რომ საქმე არ გვაქვს დომინირებულ მდგომარეობასთან, თუ ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილები შესაბამის ბაზარზე 40%-ზე ნაკლებია. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს კონკრეტული საქმეები, რომლებიც ზღვარს ავლებენ, თუ როდის არ არიან იმ პოზიციაში კონკურენტები, რომ ეფექტიანად შეზღუდონ დომინანტი ეკონომიკური აგენტის ქმედებები და სად შეიძლება შევეჩვახოთ შესაძლებლობების სერიოზულ შეზღუდვებს. ასეთმა საქმეებმა შეიძლება მიიქციონ კომისიის მხრიდან ყურადღება*“.<sup>85</sup>

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საკითხია მაღალი საბაზრო წილების მნიშვნელობა და დროის ხანგრძლივობის საკითხიც. კომისია აცხადებს, რომ „*რაც უფრო მაღალია საბაზრო წილი და რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში ხდება მისი ფლობა, მით უფრო სავარაუდოა, რომ ის წარმოშობს მნიშვნელოვან საწყის დომინირებულ მდგომარეობის არსებობისთვის და, კონკრეტულ შემთხვევებში, ბოროტად გამოყენების შესაძლო სერიოზულ შემთხვევებს (ეფექტს), რაც ამართლებს კომისიის მხრიდან 102 (82)-ე მუხლის მიხედვით ჩარევას*“.<sup>86</sup>

<sup>84</sup> ევროკავშირის შეთანხმების 82-ე მუხლის გამოყენების გზამკვლევი ევროკომისიის აღსრულების პრიორიტეტებზე დომინანტი საწარმოების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე [C (2009) 864 final, [2009] OJ C45/7] [C (2009) 864 final, [2009] OJ C45/7]

<sup>85</sup> *Ibid.* p. 14. ავტორის შენიშვნა: ამ ანალიზისთვის “გვ.” გამოხატავს გზამკვლევი გათვალისწინებულ ნუმერაციას

<sup>86</sup> *Ibid.* p. 15.

- გაფართოება ან ბაზარზე შესვლა. გზამკვლევაში აღნიშნულია, რომ „კონკურენცია დინამიკური პროცესია და ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შეზღუდვის შეფასება არ შეიძლება მხოლოდ არსებული საბაზრო სიტუაციის შეფასებით მოხდეს.“<sup>87</sup> გასათვალისწინებელია, ასევე, გაფართოებისა და ბაზარზე შესვლის პოტენციური ზეგავლენაც. ამ მხრივ, ეკონომიკური აგენტი შესაძლოა შეფერხდეს ფასების გაზრდის გამო იმ პირობებში, თუ ბაზარზე შესვლა დროული და საჭიროა. საჭიროების შესაფასებლად, ყურადსაღებია შემდეგი საკითხები: გაფართოების ან ბაზარზე შესვლის წინააღობები, სავარაუდო დომინანტი აგენტებისა და სხვა კონკურენტების რეაქციები, დანახარჯები და რისკები, და არამარტო შეზღუდულად შესვლა ბაზარზე. ბაზარზე შესვლა ან გაფართოება აუცილებლად საკმარისად სწრაფად უნდა მოხდეს, რათა არ შეიზღუდოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.<sup>88</sup> გზამკვლევაში ასევე საუბარია იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც შეიძლება სამართლებრივ ხასიათს ატარებდნენ (მაგალითად: ტარიფები ან კვოტები, ის უპირატესობები, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიძლება სარგებლობდნენ დომინანტი ეკონომიკური აგენტები (მასშტაბის ეკონომია და მიზანი), ბუნებრივ რესურსებზე წვდომის ან მნიშვნელოვან შენატანებზე წვდომის პრივილეგია, მოწინავე ტექნოლოგიები ან ცნობილი სადისტრიბუციო და სავაჭრო ქსელები და ა.შ. ამ მხრივ, კომისია ხაზს უსვამს, რომ ბაზარზე შესვლისას ბარიერები შეიძლება თავად დომინანტმა ეკონომიკურმა აგენტმა წარმოშვას. უწყვეტად მაღალი საბაზრო წილის ფლობა შესაძლოა ბაზარზე შესვლისა და გაფართოების დროს არსებული ბარიერების განმსაზღვრელიც იყოს.<sup>89</sup>
- მყიდველის ძალაუფლების საპირისპიროდ. „დომინირების არსი განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებლობა, *inter alia*, თავისი მომხმარებლებისგან<sup>90</sup>, ვისაც საკმარისი ვაჭრობის შესაძლებლობა აქვთ. კომისია განსაზღვრავს, რომ „თუ საპირისპირო ძალა ანალოგიური სიძლიერისაა, მას შეუძლია შეაჩეროს ან უგულვებელყოფს ეკონომიკური აგენტის მცდელობა მომგებიანად გაზარდოს ფასები. მყიდველის ძალაუფლება, ამის მიუხედავად, შეიძლება არ ჩაითვალოს საკმარისად ეფექტიან ბარიერად, თუ ის მხოლოდ კონკრეტული ან შეზღუდული მომხმარებლების სეგმენტის დაცვას უზრუნველყოფს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლებისგან;“<sup>91</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იმის განსაზღვრა, ეკონომიკური აგენტი ფლობს თუ არა დომინირებულ მდგომარეობას, სხვადასხვა ელემენტების კომპლექსურ შეფასებას მოითხოვს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საბაზრო

<sup>87</sup> *Ibid.* p. 16.

<sup>88</sup> *Ibid.* p. 16.

<sup>89</sup> *Ibid.* p.17.

<sup>90</sup> Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission* [1979], para 38

<sup>91</sup> *Ibid.* p.18

პოზიციის, ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ბარიერების, მყიდველის ძალაუფლების საპირისპიროდ ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლების ჩათვლით. ევროკავშირის პრეცედენტული სამართალი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა ზემოაღნიშნული სამი ელემენტის შესაფასებლად:<sup>92</sup>

(ა) შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საბაზრო პოზიციის განსაზღვრისთვის შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთის ან რამდენიმეს გათვალისწინება ხდება:

ფაქტორები: საბაზრო წილი, რესურსები.

- კრიტერიუმი: (1) მოწინავე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე, წილთა კორელაცია; (2) საფინანსო ძალაუფლება; (3) ღრმა ჯიბის არსებობა; (4) ჯვარედინი სუბსიდირება; (5) საინჟინრო შესაძლებლობები; კვლევისა და განვითარების (R&D) შესაძლებლობები; (6) კაპიტალის ბაზარზე დაშვება.

ფაქტორები: მოხმარებლებზე/მიმწოდებლებზე/შენატანებზე წვდომა

- კრიტერიუმი: (1) უსაფრთხო ან ინტეგრირებული წვდომა შენატანებზე; (2) წვდომა ხელსაწყოებზე; (3) წვდომა ლოჯისტიკაზე/ტრანსპორტზე; (4) წვდომა გაყიდვების/ადგილობრივ სადისტრიბუციო ქსელებზე; (5) პროდუქციის ასორტიმენტის/სისტემების მიწოდება მაღალი რეპუტაციის/ძლიერი ბრენდების/რეკლამირების/პროდუქციის დიფერენციაციით; (6) ქონების გამოსყიდვის სტრატეგიები; (7) ინტეგრაცია/ეფექტურობა (ჰორიზონტალური ინტეგრაცია კონკურენტებთან); (8) ხარჯების შემცირება; (9) ვერტიკალური ფაბულა (ვერტიკალური ინტეგრაცია მიმწოდებლებთან/კლიენტებთან);

(ბ) ბაზარზე შესვლისა და გაფართოების წინააღობების შფასებისას ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი მიიღება მხედველობაში:

- კრიტერიუმი: (1) ძირითად შენატანებზე წვდომა; (2) ტექნოლოგიაზე წვდომა; (3) მოხმარებლებზე წვდომა; (4) სათადარიგო შესაძლებლობების ქონა; (5) დროული დაშვება; (6) გასული პერიოდის ხარჯები/შექცევადობა; (7) საბაზრო ფაზა.

ფაქტორები: მოხმარებლებზე/მიმწოდებლებზე/შენატანებზე დაშვება

- კრიტერიუმი: (1) უსაფრთხო ან ინტეგრირებული წვდომა შენატანებზე; (2) წვდომა ხელსაწყოებზე; (3) წვდომა ლოჯისტიკაზე/ტრანსპორტზე; (4) წვდომა გაყიდვების/ადგილობრივ სადისტრიბუციო ქსელებზე; (5) პროდუქციის ასორტიმენტის/სისტემების მიწოდება მაღალი რეპუტაციის/ძლიერი ბრენდების/რეკლამირების/პროდუქციის დიფერენციაციით; (6) ქონების გამოსყიდვის სტრატეგიები; (7) ინტეგრაცია/ეფექტიანობა (ჰორიზონტალური ინტეგრაცია კონკურენტებთან); (8) ხარჯების შემცირება; (9) ვერტიკალური ფაბულა (ვერტიკალური ინტეგრაცია მიმწოდებლებთან/კლიენტებთან);

<sup>92</sup> Jones/ Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 319-346

(გ) მყიდველის ძალაუფლების საწინააღმდეგოდ ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი მიიღება მხედველობაში:

- კრიტერიუმი: (1) მომხმარებელთა რაოდენობა; (2) დამოკიდებულება მყიდველებზე; (3) გაყიდვების სიდიდე და სიხშირე; (4) ბაზრის გამჭირვალობა; (5) სტრატეგიული მყიდველის ქცევა.

სასამართლო და კომისია ასევე მხედველობაში იღებს იმ ფაქტორებს, რომლებიც დომინირებაზე მიუთითებს, ასეთია, მაგალითად, ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარი მდგომარეობის შეფასება (საქმე: *Tomra Systems v. Commission*<sup>93</sup>, სადაც კომპანიის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც მოპოვებულ იქნა კომისიის მხრიდან შემოწმებისას, მიუთითებდა კომპანიის დომინირებულ მდგომარეობაზე, მოგება (საქმეები *United Brands* და *Michelin*, სადაც, სასამართლომ კომპანიების მხრიდან როგორც დროებითი დანაკარგების შთანთქმის შესაძლებლობა მიიღო მხედველობაში), საერთო მოცულობა და სიძლიერე და პროდუქციის ასორტიმენტი (პორტფელური ძალაუფლება) (საქმეები *Hoffman-La Roche* და *Michelin*, სადაც CJEU-მ განიხილა Michelin-ის უპირატესობები, რომლებიც გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის მიეკუთვნებოდა ისეთ ეკონომიკურ საწარმოს, რომელიც ოპერირებს ევროპასა და მსოფლიოში)<sup>94</sup>, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (საქმეები: *Hilti AG v Commission, Tetra Pak I, Volvo v Veng*)<sup>95</sup>, მეორადი ბაზრები, სადაც ფირმა ფლობს დომინირებულ მდგომარეობას სხვა ბაზრებზე (*Hilti-ს საქმე, და სხვ.*)<sup>96</sup>

ეს საქმეები ასევე გვაჩვენებს იმ გზებს, რომლითაც შეფასდა თითოეული ზემოაღნიშნული ფაქტორი. ამასთან, ზოგადი წესიდან გამომდინარე, მაღალი საბაზრო წილების დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფლობა მიჩნეულ იქნა დომინირებული მდგომარეობის ფლობის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებლად.<sup>97</sup>

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი დომინირებას ვარაუდობს მაშინაც, როცა ეკონომიკური აგენტი ფლობს საბაზრო წილის 50%-ს ან მეტს, თუმცა, ზოგადი წესის მიხედვით, კომისია საბოლოო დასკვნას მანამ არ დებს, სანამ ყველა იმ ფაქტორს არ გამოიკვლევს, რომელიც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ შეზღუდოს ეკონომიკური აგენტის ქმედება.<sup>98</sup>

საქმეში *British Airways v Commission* დამტკიცდა, რომ ეკონომიური აგენტი ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას ყველაზე მცირე საბაზრო წილით (39.7%). ამ საქმეში, სასამართლომ გაითვალისწინა ყველა გარემოება, კონკრეტულად კი შემდეგი ფაქტორები: 1. ბრიტანული ავიახაზების საბაზრო წილი ორჯერ მეტია (39.7%), ვიდრე დანარჩენი 5 ძირითადი კონკურენტის ერთად (ერთიანად ამ ხუთ კომპანიას დიდი ბრიტანეთის საჰაერო ტურისტულ სააგენტოთა მომსახურების ბაზარზე აქვს 17.9%); 2.

<sup>93</sup> T-155/06, *Tomra Systems v. Commission* [2010]

<sup>94</sup> *Jones/Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 332-336

<sup>95</sup> *Anderman/Schmidt*: EU Competition Law and Intellectual Property Rights: The Regulation of Innovation, 2011, pp. 58-64

<sup>96</sup> *Jones/Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 302

<sup>97</sup> *Chalmers/Davies/Monti*: European Union Law, Cases and Materials, 2010, p. 999

<sup>98</sup> *Jones/Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 327



ტურისტული აგენტები დიდ ბრიტანეთში ძირითადად დამოკიდებულნი არიან ბრიტანეთის ავიახაზებიდან მიღებულ შემოსავლებზე თავიანთი საკაერო ტურისტული სააგენტოს მომსახურების გათვალისწინებით; ტურისტული აგენტებისთვის, რომლებიც დაფუძნებულნი არიან დიდ ბრიტანეთში, ბრიტანეთის ავიახაზები სავალდებულო ბიზნეს პარტნიორია; 4. სხვა მთავარ ხუთ კონკურენტთან შედარებით, ბრიტანეთის ავიახაზები სთავაზობს ბევრად ხშირ ფრენასა და მიმართულებების ფართო არჩევანს; 5. ბრიტანეთის ავიახაზების ეკონომიკური სიძლიერიდან გამომდინარე, ის იკავებს მსოფლიო რეიტინგში მოწინავე ადგილს საერთაშორისო მიმოსვლის-კილომეტრაჟის გავლის მიხედვით მისი ქსელისა და სატრანსპორტო მომსახურების გათვალისწინებით; 6. ბრიტანეთის ავიახაზები ფლობს ისეთ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს ტურისტული სააგენტოები დიდ ბრიტანეთში.<sup>99</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების ფორმის მიუხედავად, კონკურენციაზე სავარაუდო ეფექტის შეფასება დამოკიდებული იქნება კონკრეტულ გარემოებასა და კონკრეტულ შემთხვევაზე.

დღესდღეობით, თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, დომინირებული მდგომარეობა ძირითადად დროებითი და მსუბუქია<sup>100</sup> და „საბაზრო ძალაუფლების უკეთესი ტესტია შეჯიბრებითობა. თუ ბაზარი შეჯიბრებითია, როგორცაა ხშირ შემთხვევაში ახალი ეკონომიკური ბაზრები, ფირმა, რომელიც ფლობს მაღალ საბაზრო წილებს, არ ფლობს დომინირებულ მდგომარეობას, ვინაიდან პოტენციურად ბაზარზე შესვლა წარმოშობს მისი ქმედებების ეფექტიან კონკურენციულ შეზღუდვას; რაც გულისხმობს, რომ მას არ შეეძლება დამოუკიდებლად ზემოქმედება მის (პოტენციურ) კონკურენტებზე.“<sup>101</sup>

Microsoft-ის საქმეში, Microsoft ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას კომპიუტერული ოპერირების სისტემის ბაზარზე. ამ საქმეში, დომინირება ხასიათდებოდა საბაზრო წილებით (1996 წლიდან (90% + მიმდინარე წლები)) და ბაზარზე შესვლის ძალიან მაღალი ბარიერებით. აღნიშნულ საქმეში, კომისიამ მიიჩნია, რომ ევროპული თანამეგობრობის შექმნის ხელშეკრულების 82-ე მუხლისა და EEA Agreement-ის (ევროპული ეკონომიკური სივრცის შეთანხმება) 54-ე მუხლის სერიოზული დარღვევა მოხდა; კომისიამ დაადგინა, რომ „Microsoft-მა დაარღვია ხელშეკრულების 82-ე მუხლი, WMP-ს Windows PC ოპერაციულ სისტემაზე (ვინდოუსზე) მიზნით. კომისიამ თავისი მოსაზრებები მიზმის გამოყენებით მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე, დააყრდნო ოთხ ელემენტს: (i) Microsoft ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას კომპიუტერების ოპერაციული სისტემების ბაზარზე; (ii) Windows PC ოპერაციული სისტემა და WMP ორი დამოუკიდებელი პროდუქციაა; (iii) Microsoft არ აძლევდა მომხმარებელს არჩევანის საშუალებას შეეძინა Windows WMP-ს გარეშე; და (iv) აღნიშნული მიზმა გამოიციხავდა კონკურენციას.

<sup>99</sup> C-95/04 P, *British Airways v Commission* [2007]

<sup>100</sup> *Jones/ Suftrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 344

<sup>101</sup> *Ibid.* 345

დამატებით, გადაწყვეტილება უარყოფს Microsoft-ის არგუმენტებს WMP-ს მიზმის გამართლებასთან დაკავშირებით.<sup>102</sup>

### ჯგუფური დომინირების განსაზღვრა

TFEU-ს 102-ე მუხლი კრძალავს ერთი ან ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტის დომინირებას. როცა ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს აქვთ ეკონომიკური ან დოკუმენტური კავშირები, ჩვენ შეიძლება შევეჯახოთ ჯგუფურ დომინირებას. პრაქტიკა ნათელიყოფს, რომ TFEU-ს 102-ე მუხლი აწესრიგებს ოლიგოპოლიურ და არაოლიგოპოლიურ კოლექტიურ დომინირებას. ჯგუფური დომინირება შემდგომი სამი ფაქტორის მხედველობაში მიღებით შეიძლება განისაზღვროს, კონკრეტულად როცა : (1) თითოეულმა ფირმამ იცოდა, როგორ იქცეოდნენ სხვა წევრები (ისინი შეიძლება აკვირდებოდნენ ბაზარს, საერთო პოლიტიკის განსაზღვრა თუ სურთ); (2) მსგავსი სიტუაციის შენარჩუნება შესაძლებელი უნდა იყოს ხანგრძლივად, ე.ი. ჯგუფის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ ბაზრის ერთობლივი პოლიტიკიდან გადახვევის მოტივაცია; (3) საერთო პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებზე ზეგავლენას ვერ უნდა ახდენდეს არსებული და პოტენციური კონკურენტების (ისევე როგორც მომხმარებლების) მოსალოდნელი რეაქცია.<sup>103</sup>

პრაქტიკაში „მათი შეთანხმებული პოლიტიკა ან ქმედებები სამომავლოდ შესაძლებელს ხდის, იმოქმედონ გარკვეულ ფარგლებში თავიანთი კონკურენტების, მყიდველებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად.“<sup>104</sup> სასამართლომ საქმის *Società Italiana Vetro SpA, Fabbrica Pisana SpA and PPG Vernante Pennitalia SpA v Commission of the European Communities* განხილვისას აღნიშნა, რომ: „პრინციპში, არ არსებობს რაიმე, რაც ხელს შეუშლის ორ ან მეტ დამოუკიდებელ ეკონომიკურ საწარმოს, რომლებსაც აერთიანებს ისეთი ეკონომიკური კავშირები, რომლებიც სხვა ოპერატორთან მიმართებით იგივე ბაზარზე მათ აძლევს დომინირებული მდგომარეობის ქონის შესაძლებლობას, იარსებონ ამ კონკრეტულ ბაზარზე. ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, მაგალითად, როცა ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი ერთობლივად ხელშეკრულებით ან ლიცენზიების მეშვეობით ფლობს ტექნოლოგიურად წამყვან პოზიციას, რაც მათ აძლევს საშუალებას თავიანთი კონკურენტებისგან, მყიდველებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად იმოქმედონ (სასამართლოს გადაწყვეტილება *Hoffmann-La Roche* საქმეზე, პარაგრაფი 38 და 48)“<sup>105</sup>.

ამასთან, კომისიის უფრო წინა გადაწყვეტილებები *Flat Glass*-ის მსგავსად ითვალისწინებს არაოლიგოპოლიურ ჯგუფურ დომინირებას (სადაც ეკონომიკური აგენტები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ექსპრეს-შეთანხმებებით), თუმცა თვითონ ჯგუფური დომინირების კონცეფცია განვითარდა უფრო ფართოდ ევროკავშირის

<sup>102</sup> Case COMP/C-3/37.792 — Microsoft [2004], para 24

<sup>103</sup> *Jones/ Suftrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 704; Cases: T-193/02 - *Piau v Commission*, T-342/99 - *Airtours v Commission*;

<sup>104</sup> *Ezrachi*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, p. 315

<sup>105</sup> T-68/89 - *SIV and Others v Commission* [1992], para 358

პრეცედენტული სამართლით ევროკავშირის შერწყმის რეგულაციისა (EUMR) და TFEU-ს 102-ე მუხლზე დაყრდნობით.<sup>106</sup>

CJEU-მ საქმეში *Compagnie Maritime Belge Transports and Others v Commission* აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების 86-ე მუხლში ნახსენები „ერთი ან ერთზე მეტი ეკონომიკური აგენტი“ გულისხმობს, რომ დომინირებულ მდგომარეობას შესაძლოა ფლობდეს ორი ან მეტი ეკონომიკური საწარმო, რომლებიც იურიდიულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სუბიექტებს წარმოადგენენ, იმ პირობით, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ თავიანთ თავს ან მოქმედებენ ერთად რომელიმე კონკრეტულ ბაზარზე როგორც ჯგუფური საწარმო. სწორედ ესაა „ჯგუფური დომინირებული მდგომარეობის“ ტერმინოლოგიური განმარტებაც.“<sup>107</sup> აღნიშნული განცხადება ეკუთვნის იმ ეკონომიკურ აგენტს, რომელმაც გარკვეული საბაზრო პირობების გამო შესაძლოა წარმოშვას ჯგუფური დომინირების შემთხვევა თუნდაც არ ჰქონდეს ეკონომიკურ აგენტებთან სტრუქტურული კავშირები.“<sup>108</sup>

ამ საქმეში სასამართლო მხედველობაში იღებს „ეკონომიკური კავშირების ან ფაქტორების, რომლებიც ეკონომიკური ანგეტიებს შორის კავშირს აყალიბებენ“, გადასინჯვას<sup>109</sup>. ამ გადაწყვეტილებაში, სასამართლო მკაფიოდ ასაბუთებს, რომ ჯგუფური დომინირების არსებობა მოიცავს ორეტაპიან პროცესს: პირველია ჯგუფური დომინირების არსებობის დასაბუთება და შემდგომ კოლექტიური საწარმოს მიერ დომინირებული მდგომარეობის ფლობის გადასინჯვა.<sup>110</sup>

აღსანიშნავია, რომ ჯგუფური დომინირების კონცეფცია პირველად განვითარდა ევროკავშირის შერწყმის რეგულაციით.<sup>111</sup> „ჯგუფური დომინირების კონტექსტში, აღნიშნული განსხვავება ანალიზის მხრივ გულისხმობს, რომ ის საქმეები, რომლებიც უკავშირდება ევროკავშირის შერწყმის რეგულაციის შესაბამისად ჯგუფურ დომინირებას, პირველ რიგში ითვალისწინებს ბაზრის მახასიათებლების განსაზღვრას, რომელსაც მოყვება შერწყმის ტრანზაქცია, რაც უკვე იწვევს ჯგუფური დომინირების მდგომარეობის წარმოშობას.“<sup>112</sup> როგორც ზემოაღნიშნულ საქმეებში გამოჩნდა, ჯგუფური დომინირების განსაზღვრა დამოკიდებულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ეკონომიკური კავშირებზე. ამ მხრივ, *Bertelsmann and Sony Corporation of America v Impala* საქმეში CJEU-მ განაცხადა, რომ ჯგუფური დომინირებული მდგომარეობის არსებობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „დადგენილი ფაქტების ჩამონათვალი წარსულსა თუ აწმყოში, რომელიც გვაჩვენებს, რომ არსებობს კონკურენციის მნიშვნელოვანი დაბრკოლება ბაზარზე კონკრეტული ეკონომიკური აგენტების მხრიდან ძალაუფლების ფლობის შედეგად ბაზარზე

<sup>106</sup> *Jones/Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 703

<sup>107</sup> C-395/96 P - *Compagnie Maritime Belge Transports and Others v Commission* [2000], para 36

<sup>108</sup> *Ezrachi*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, p. 315

<sup>109</sup> *Ibid.* para 41

<sup>110</sup> *Jones/Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 705

<sup>111</sup> Council Regulation (EC) No 139/2004, <http://bit.ly/2tLHXBJ>

<sup>112</sup> *Ezrachi*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, p. 316

ერთიანი კურსის შემუშავების მხრიდან, მნიშვნელოვანწილად თავიანთი კონკურენტებისგან, მყიდველებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად“<sup>113</sup>.

ოლიგოპოლიურ ბაზრებზე, საწარმოები ცდილობენ შეინარჩუნონ ჯგუფური დომინირება შეთანხმებული პოლიტიკითა და ქმედებებით, რომელსაც ეწოდება „უხმო შეთანხმება“ ან „ცნობიერი პარალელიზმი“.<sup>114</sup>

### **დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენა და აკრძალვა**

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა TFEU -ს 102-ე მუხლით განისაზღვრება, რომლის მიხედვითაც „*აკრძალვა ნებისმიერი ქმედება ერთი ან ერთზე მეტი დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან საშინაო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, თუ ის შეუთავსებელია საშინაო ბაზრისთვის, ვინაიდან ასეთმა ქმედებამ შეიძლება გავლენა იქონიოს წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე*“. ამავე მუხლში ჩამოთვლილია ქმედებები, რომელიც ეკრძალებათ დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს: ა) *შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;* ბ) *წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების შეზღუდვა მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ;* გ) *გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებით დისკრიმინაციული პირობების დაწესება იდენტურ ტრანზაქციებზე, რითაც მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება ხდება;* დ) *ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს დამატებით ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან*". ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სია არ არის საბოლოო: დომინირებული მდგომარეობის გამოაშკარავების მეთოდები პრეცედენტული სამართლით გაფართოებულია.

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის განვითარების მხრივ ფუნდამენტური საქმეა *Continental Can (1972)*<sup>115</sup>, რომელიც ეხება ლითონის შეფუთვის მწარმოებელი Continental Can Inc.-ის მიერ გერმანული ლითონის ქილების მწარმოებლის წილების 85%-ის შეძენას; შემდგომ, მისი შვილობილი კომპანიის მეშვეობით, ბელგიაში, მან კიდევ ერთი ლითონის ქილების მწარმოებელი ბელგიური კომპანია - TDV შეიძინა. კომისიამ დაადგინა, რომ Continental Can Inc.-მა ბოროტად გამოიყენა დომინირებული მდგომარეობა ლითონის ქილების წარმოების ბაზარზე, სრულად შეიძინა რა TDV თავისი შვილობილი კომპანიის მეშვეობით. შედეგად, ამ ტრანზაქციით, შესაბამის ბაზარზე კონკურენცია აღმოიფხვრა. აღნიშნულ საქმეში, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება თავისებურებებით ხასიათდება; კონკრეტულად, დომინირებულმა საწარმომ არ გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა, არამედ, მის მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნეულ იქნა

<sup>113</sup> C-413/06 P, *Bertelsmann and Sony Corporation of America v Impala* [2008], para 104

<sup>114</sup> *Ezrachi*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, p. 317

<sup>115</sup> Case 6/72, *Europemballage Corporation and Continental Can Company v Commission*, [1973]

თავისი დომინირებული მდგომარეობის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ Continental Can Inc.-ის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები 102-ე მუხლის მიხედვით პირდაპირ არ განისაზღვრება, როგორც მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კომისიამ და შემდეგ ევროსასამართლომ, ისინი მაინც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიიჩნია. ეს საქმე 102-ე მუხლთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად მიიჩნევა, ვინაიდან ის აჩვენებს, რომ 102-ე მუხლში ჩამოთვლილი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ქმედებათა სია არასრულია.

ევროკავშირის კონკურენციის სამართლისთვის კიდევ ერთ ფუნდამენტური საქმედ მიიჩნევა *Hoffman La-Roche Co AG v Commission*<sup>116</sup>, სადაც CJEU-მ წარმოადგინა კონკურენციის გამომრიცხავი ქმედების განმარტება. CJEU-მ კონკრეტულად აღნიშნა, რომ „... დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ დასკვნის უარსაყოფად, აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ შეიძლება იქნეს მიღებული. ეს წინადადება განმარტავს, თითქოს (ტერმინი) ბოროტად გამოყენება გულისხმობს დომინანტური მდგომარეობით მინიჭებული ეკონომიკური ძალაუფლებით სარგებლობას, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგეს ეს შედეგი (ბოროტად გამოყენება). მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონცეფცია უკავშირდება დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური აგენტის ქცევის კონცეფციას, რომელსაც შეუძლია იმ ბაზრის სტრუქტურაზე მოახდინოს ზეგავლენა, სადაც ეკონომიკური აგენტების არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაა, კონკურენციის ხარისხი შესუსტებულია და სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შედეგად, პროდუქციისა და მომსახურების მხრივ არსებული ნორმალური დონის კონკურენცია კომერციული ოპერატორების ტრანზაქციის გამოყენებით კონკურენციის იმ ხარისხს აგდება, რომელიც არსებობს ბაზარზე ან, შესაძლოა გაზარდოს.“ CJEU-მ აღნიშნა, რომ „ბაზარზე, სადაც, დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ქმედების შედეგად კონკურენცია შესუსტებულია, მიზანშეწონილია 86-ე მუხლის (ახლანდელი 102-ე მუხლი) გამოყენება, ვინაიდან კონკურენციის სტრუქტურის კიდევ უფრო მეტ შესუსტებას შეუძლია გამოიწვიოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“.<sup>117</sup>

საქმეში *Post Danmark v Konkurrencerådet II*<sup>118</sup>, CJEU-მ განაცხადა: "ვინაიდან საბაზრო კონკურენციის სტრუქტურა დომინანტი ეკონომიკური აგენტის არსებობის გამო უკვე შესუსტებულია, კონკურენციის სტრუქტურის უფრო მეტად შესუსტება უკვე წარმოშობს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევას."<sup>119</sup>

კიდევ ერთ საქმეში, *Football World Cup (IV/36.888/1998)*, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსასაზღვრად, ის ვარიანტიც კი იქნა გათვალისწინებული, როცა დომინირებულმა ეკონომიკურმა აგენტმა მისი

<sup>116</sup> Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission*, [1979]

<sup>117</sup> *Ibid.*

<sup>118</sup> C- 23/14, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet*, [2015]

<sup>119</sup> *Ibid.*

მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პირობებშიც კი ვერ მიიღო რაიმე სახის უპირატესობა<sup>120</sup>.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სასამართლოები ბევრ საქმეში ხაზს უსვამენ იმ საკითხს, რომ ბაზარზე, სადაც ეკონომიკურ აგენტები დომინირებულ მდგომარეობას ფლობენ, კონკურენციის პროცესის მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ და ეს, თავის მხრივ, გულისხმობს იმ მდგომარეობას, რომ თავიანთი ქმედებით არ დაამახინჯონ კონკურენცია<sup>121</sup>.

ასეთ საქმეთა სია გადატვირთული არ არის და ყველა ზემოაღნიშნულ საქმეს თავისი ნიშა უკავია ევროკავშირის კონკურენციის სამართალში და აყალიბებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ისეთ ფორმებს, რომლებიც აქამდე რომის ხელშეკრულების 82-ე მუხლით (ამჟამინდელი TFEU 102-ე მუხლი) არ იყო გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის პრეცედენტულმა სამართალმა არამარტო გააფართოვა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენის პრაქტიკა, არამედ მისი განსაზღვრის სტანდარტებიც შემოგვთავაზა. კერძოდ, მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ლეგიტიმურობის განსასაზღვრად, CJEU შემდეგ ორ კრიტერიუმს იყენებს: „ანტი-კონკურენციულ ქცევას“ (როგორცაა „მტაცებლური ფასები“) და „კონკურენციას წარმომადგენლობის საფუძვლით“. თითოეული ამ კრიტერიუმის შეფასება მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისათვის, რათა *per se* დადგინდეს დომინირებული მდგომარეობის გამოყენება (მაშინ როცა დარღვევა დგინდება ქმედების არსებობის ფაქტით) ან ეფექტის ანალიზით (როცა კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა განისაზღვრება მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და ბაზრის სტრუქტურა გათვალისწინებულია.“<sup>122</sup> რა თქმა უნდა, დომინანტ ეკონომიკურ საწარმოებს შეუძლიათ დაასაბუთონ თავიანთი ქმედება, თუმცა პრეცედენტული სამართლის კვლევა ცხადჰყოფს, რომ ისეთი დასაბუთებები, რომლებიც კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება, აუცილებლად ობიექტური უნდა იყოს და პროპორციულობის პრინციპს იცავდეს. ამის მიუხედავად, ხშირად, ევროკავშირის სასამართლოებისთვის ზემოაღნიშნული წინაპირობები საკმარისი არაა. მაგალითისთვის, CJEU-მ შედარებით მკაცრი კრიტერიუმები დააწესა საქმეში *Post Danmark s v Konkurrencerådet I*<sup>123</sup>, სადაც აღნიშნა, რომ დომინირებულ ეკონომიკურ აგენტს შეუძლია ორი სახის დასაბუთება წარმოადგინოს: (ა) ობიექტური საჭიროება (როგორცაა საჯარო პოლიტიკის საკითხები) და (ბ) ეფექტიანობა. კერძოდ, CJEU-მ საჯარო პოლიტიკის მიმართულებით მხედველობაში მიიღო ობიექტური საჭიროების საკითხი და განაცხადა, რომ ისეთი დასაბუთება, რომელიც მისაღები იქნება მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გასამართლებლად, შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგი ტესტის პირობებს

<sup>120</sup> Case IV/36.888 - 1998 Football World Cup, [1999], where French relevant authority distributed the tickets in discriminatory manner.

<sup>121</sup> Jones/ Suftrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 357-358.

<sup>122</sup> *Ibid*, 361-373.

<sup>123</sup> C-209/10, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet*, [2012]

დააკმაყოფილებს: (ა) სავარაუდო ეფექტიანობა ეწინააღმდეგება კონკურენციისა და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე მოქმედ სავარაუდო ნეგატიურ ეფექტებს; (ბ) მიზნის მიღწევა ქმედების შედეგია/იქნება; (გ) ეფექტიანობის მიღწევისთვის საჭიროა შესაბამისი ქმედება; (დ) ქმედება არ გამორიცხავს კონკურენციას არსებული თუ პოტენციური კონკურენციის სრულად ან უმეტესწილად აღმოფხვრით.“<sup>124</sup> ამ მიმართულებით, CJEU-ს ბევრ საქმეში აღნიშნულია, რომ საჯარო პოლიტიკის დაცვაზე პასუხიმგებლობა არა ეკონომიკური აგენტებს, არამედ საჯარო დაწესებულებებს ეკისრებათ,<sup>125</sup> რაც ამცირებს ობიექტური აუცილებლობის მნიშვნელობას. მოგვიანებით, კომისიის 2009 წლის ევროპული თანამეგობრობის შექმნის ხელშეკრულების 82-ე მუხლის გამოყენების გზამკვლევაში ევროკომისიის აღსრულების პრიორიტეტებზე დომინანტი საწარმოების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე (შემდგომში - „გზამკვლევი“)<sup>126</sup>, კომისიამ CJEU-ს მსგავსი ტესტი გამოიყენა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ TFEU-ს 102-ე მუხლი არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს და ისინია შემამსუბუქებელი ფაქტორები, რომლებიც კომისიისა და სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმეებში.

102-ე მუხლთან დაკავშირებულმა პრეცედენტული სამართლის განვითარებამ დომინირებული ეკონომიკური აგენტების მიერ ორი კატეგორიის დარღვევა (მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კუთხით) გამოავლინა: გამომრიცხავი (კონკურენტების მიმართ) და ექსპლუატაციური (მომხმარებლებისა თუ მიმწოდებლების მიმართ). გამომრიცხავ დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა ეფექტურ კონკურენციას შეიძლება წინააღმდეგობები შეექმნას დომინანტი ეკონომიკური აგენტის გამომრიცხავი ქმედებებით, რომლის შედეგადაც შესაძლოა ბაზრიდან კონკურენტების გარიცხვა მოხდეს.<sup>127</sup> ექსპლუატაციური დარღვევა კი შეიძლება განხორციელდეს, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი თავის სასიკეთოდ იყენებს საბაზრო ძალაუფლებას მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ექსპლუატაციის გზით.<sup>128</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მუხლი 102 (გ) კრძალავს კონკურენციის დამახინჯებას დისკრიმინაციის გამოყენებით: ეს კი ისეთი დარღვევაა, როცა ეკონომიკური აგენტი დისკრიმინაციულ პირობებს ან ფასებს სთავაზობს მის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს და ამით მათ კონკურენციულად წამგებ სიტუაციაში აყენებს.<sup>129</sup>

იმისთვის, რომ სრულად მიმოვიხილოთ რას მიიჩნევს ევროკავშირის კონკურენციის სამართალი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში,

<sup>124</sup> Jones/ Suftrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 372-373

<sup>125</sup> T-30/89 Hilti v Commission [1991] and C-333/94 P, Tetra Pak International SA v Commission of the European Communities, [1996]

<sup>126</sup> Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings (2009), <http://bit.ly/29Ohnx0>

<sup>127</sup> Lorenz: An Introduction to EU Competition Law, 2013, p. 9.1. (Cambridge University Press, 2013)

<sup>128</sup> Jones/ Suftrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp.351-380

<sup>129</sup> Jones/ Suftrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 351-352.

ნაშრომის შემდეგ თავში გავაანალიზებთ ყველა იმ ქმედების ფორმას, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დარღვევად, როგორც 102-ე მუხლიდან გამომდინარე, ასევე, პრეცედენტული სამართლის მხრივაც.

### ფასისმიერი დისკრიმინაცია

ზოგადად, ფასისმიერი დისკრიმინაციის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა სიტუაცია, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი სხვადასხვა მომხმარებელს ერთი და იმავე პროდუქციას სხვადასხვა ფასად ყიდის. საქმეში *Post Danmark I*, CJEU-მ მკაფიოდ განსაზღვრა, რომ მხოლოდ ფასისმიერი დისკრიმინაცია არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ დომინანტი ეკონომიკური აგენტი ამ ქმედების განხორციელებით ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ ტიპის დარღვევა იშვიათად გვხვდება. ძირითადად, მრავალფეროვანი პრაქტიკიდან გამომდინარე, ის თან ახლავს მტაცებლურ ფასებს, ფასდათმობის პოლიტიკას და სხვა.

ფასისმიერი დისკრიმინაციის ზემოაღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ქმედება არ არის *per se* დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება: საქმის ყველა გარემოების გათვალისწინება ნათელს ხდის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თვალსაზრისით განხორციელდა თუ არა ანტიკონკურენციული ქმედება.

ფასისმიერ დისკრიმინაციას, თავის მხრივ, გააჩნია ორდონიანი დაზიანება: (ა) პირველადი ხაზის დაზიანება და (ბ) მეორადი ხაზის დაზიანება. პირველადი ხაზის დაზიანება ეწოდება სიტუაციას, როდესაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტებს ასუსტებს. ასეთი სახის დაზიანების მაგალითი გამოაშკარავდა საქმეში *Irish Sugar v Commission*, სადაც შერჩეულად (დისკრიმინაციულად) დაბალმა საფასო პოლიტიკამ დომინანტი ეკონომიკური აგენტის მხრიდან შესაბამისი ბაზრიდან გარიცხა მისი კონკურენტები.<sup>130</sup> როგორც აღინიშნა, დაზიანების მეორე დონეა მეორადი ხაზის დაზიანება, როცა ფასისმიერი დისკრიმინაცია ეკონომიკური აგენტის მხრიდან ზიანს აყენებს მის სავაჭრო პარტნიორებს; კონკრეტულად ეს ის სიტუაციაა, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი ყიდის იმავე საქონელს/მომსახურებას კომპანია „L“-ს უფრო იაფად ვიდრე „L“-ის კონკურენტებს, რაც კომპანია „L“-ს ანიჭებს ეკონომიკურ უპირატესობას მის კონკურენტებთან შედარებით და ამით ამახინჯებს კონკურენციას. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი საქმეა *British Airways plc. v Commission*<sup>131</sup>, სადაც დისკრიმინაციულმა ფასისმიერმა პოლიტიკამ *British Airways*-ის მხრიდან გამოიწვია პირველადი და მეორადი დონის დაზიანებები.

კიდევ ერთი საქმე, სადაც ფასისმიერი დისკრიმინაციით დომინირებული მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა დომინანტმა ეკონომიკურმა აგენტმა მეორადი

<sup>130</sup> Case T-228/97, *Irish Sugar v Commission* [1999] and Commission decision on a case IV/34.621, 35.059/F-3 - *Irish Sugar plc* [1997]

<sup>131</sup> Case C-95/04 P, *British Airways v Commission* [2007]



ხაზის დაზიანების მხრივ იყო *United Brands Continental B.V. v Commission* (1978)<sup>132</sup>; ამ საქმეში კომპანია ბანანს ყიდდა მის მომხმარებლებზე (სავაჭრო პარტნიორებს) როტერდამსა და ბრემერჰევენში 2.38 ჯერ უფრო იაფად ვიდრე, თავის დანიელ სავაჭრო პარტნიორებზე. ამ საქმეში, კომისიამ კომპანია დაადანაშაულა ბანანის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში. კერძოდ, ერთნაირი ტრანზაქციის პირობებში, არაერთგვაროვანი პირობების გამო კომპანია სხვა სავაჭრო პარტნიორებს კონკურენციულად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა.<sup>133</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში 102(გ) მუხლი უკავშირდება კონკურენციულად არახელსაყრელ პირობებს სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით, როდესაც სხვა სავაჭრო პარტნიორებად მოიაზრებიან კონკურენტები, თუმცა, ზემოაღნიშნულ საქმეში დისტრიბუტორები (სხვა სავაჭრო პარტნიორები) არ იყვნენ ერთმანეთის კონკურენტები: მიუხედავად ამისა, კომისიამ და CJEU-მ დაადგინეს, რომ *United Brands Company* -ს დისკრიმინაციულმა საფასო პოლიტიკამ წარმოქმნა დაბრკოლებები საქონლის თავისუფალი მიმოსვლის მხრივ.<sup>134</sup>

საქმეში *Clearstream Banking AG and Clearstream International SA v Commission* (2009)<sup>135</sup>, კომისიამ დაადგინა, რომ *Clearstream Banking AG*-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე დისკრიმინაციული ფასების დაწესებით და *Euroclear Bank SA*-სთვის მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმით. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე საქმეში, კომისიამ გამოიყენა 102-ე მუხლის „გ“ ნაწილი თუმცა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ დადგინდა კონკურენციულად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება.

საქმეში *Aéroports de Paris v Commission case*<sup>136</sup> (2000), კომისიამ ბრალი დასდო *Aéroports de Paris* -ს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში თავისი მენეჯმენტისთვის უფრო დაბალი ფასის შეთავაზებისთვის, ვიდრე სხვა კომპანიებისთვის შესაბამის ბაზარზე ჩატვირთვა-ჩამოტვირთვის მომსახურებისთვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ ძალიან დაბალი ფასების დაწესებას ADG-ს მენეჯერული მომსახურებისთვის შესაძლოა ბიძგი მიეცა ავიახაზებისთვის არ გამოეყენებინათ მესამე მხარის მომსახურება და თავად ეწარმოებინათ ჩატვირთვა-ჩამოტვირთვის მომსახურება.

ზემოაღნიშნული სამი საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კომისია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების 102-ე მუხლში მოცემულ გამოვლინებებზე შორს წავიდა და გაითვალისწინა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებიც.

<sup>132</sup> C-27/76, *United Brands v Commission*[1978]

<sup>133</sup> Frenz: Handbook of EU Competition Law, 2015, pp. 699-700

<sup>134</sup> *Ibid.*

<sup>135</sup> Case T-301/04, *Clearstream Banking AG and Clearstream International SA v Commission of the European Communities* [2009]

<sup>136</sup> Case T-128/98, *Aéroports de Paris v Commission case*, [2000]

## მტაცებლური ფასების დაწესება

მტაცებლური ფასის დაწესება გულისხმობს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ კლიენტებისთვის საქონლის კონკრეტულ ფასზე უფრო დაბალ ფასად შეთავაზებას. შესაბამისად, კონკურენტების არაპირდაპირ გაძევებას შესაბამისი ბაზრიდან. როდესაც ეკონომიკური აგენტი კონკურენტებს გააძევებს შესაბამისი ბაზრიდან, ის აძლიერებს თავის მონოპოლიურ მდგომარეობას და ზრდის ფასებს თავისი დანაკარგის კომპენსაციისთვის. მტაცებლური ფასების შედეგი იქნება ბაზრიდან გაძევება, თუნდაც დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტები ანალოგიურად ეფექტიანები იყვნენ, როგორცაა დომინანტი ეკონომიკური აგენტი. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მტაცებლური ფასების დაწესება მიიჩნევა არაკონკურენტულად, შესაბამისად, როგორც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას *per se*, ისე მტაცებლური ფასების გამოყენებას არანაირი გამართლება აქვს.<sup>137</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მტაცებლური ფასების დაწესება შეიძლება იყოს შესაბამის ბაზარზე შესვლის დამაბრკოლებელიც, რადგან ის ახალი ეკონომიკური აგენტებისთვის ეკონომიკურად არაეფექტიანს გახდის ბაზარზე შესვლას. შესაბამისად, მტაცებლური ფასების სტრატეგია გულისხმობს მოკლევადიანად მოგების გაწირვას კონკურენტთა თავიდან მოშორების, მონოპოლიური მდგომარეობის სანაცვლოდ და გრძელვადიანად მოაქვს დიდი მოგება.

ამ მიმართულებით, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა *AKZO v Commission*<sup>138</sup>, სადაც კომისიამ გამოიყენა ტესტი მტაცებლური ფასების არსებობის განსაზღვრისათვის. მრავალეროვანმა ქიმიკატების მწარმოებელმა კომპანია AKZO-მ, რომელიც სპეციალიზებული იყო ბენზანოლი პეროქსიდის წარმოებაში პლასტმასის სექტორში, ბენზანოლ პეროქსიდის ფასი დაწია და შესთავაზა დიდი ფასდაკლება თავისი ერთადერთი კონკურენტის ECS-ის საუკეთესო კლიენტებს, პლასტმასის სექტორში. კომისიამ დაადგინა, რომ AKZO-მ დაარღვია TFEU-ს 102-ე მუხლი სხვადასხვა მტაცებლური აქტივობების განხორციელებით თავისი კონკურენტის, ECS-ის პლასტმასის სექტორიდან გასაძევებლად.<sup>139</sup>

კომისიამ ასევე დაადგინა, რომ კონკრეტული ფასის დაწევა მიიჩნევა მტაცებლური ფასის დაწესებად, როცა; (ა) ფასი საშუალო ცვლად დანახარჯზე ნაკლებია; და (ბ) როდესაც ფასი საშუალო მთლიან დანახარჯზე ნაკლებია, მაგრამ საშუალო ცვლად დანახარჯზე მეტია და თუ ფასის დაწესება კონკურენტის ბაზრიდან გაძევების ნაწილია (საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით).<sup>140</sup>

<sup>137</sup> *Jones/Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials*, 2016, pp. 385-386; *O'Donoghue/Padilla: The Law and Economics of Article 102, TFEU*, 2014, 6.1.- 6.6.

<sup>138</sup> Case C-62/86, *AKZO v Commission* [1991]

<sup>139</sup> *O'Donoghue/Padilla: The Law and Economics of Article 102, TFEU*, 2014, 6.3

<sup>140</sup> *Ibid.*

*France Télécom SA v Commission* (2009)<sup>141</sup> France Télécom group-ის წევრს Wanadoo Interactive SA-ს, რომელიც ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერია, ბრალი დასდეს მის რამდენიმე მომსახურებაში მტაცებლური ფასების დაწესებაში. France Télécom SA-მა თავი იმართლა იმით, რომ Wanadoo Interactive SA იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რათა ფასები გაეთანაბრებინა თავისი კონკურენტების ფასებთან. კომისიამ, ასევე გაითვალისწინა France Télécom group- ის მიერ დომინირებული მდგომარეობის ფლობა შესაბამის ბაზარზე და დაადგინა, რომ დომინანტ ეკონომიკურ აგენტს - Wanadoo Interactive SA-ს არ ჰქონდა უფლება გაეთანაბრებინა ფასები.<sup>142</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან აშკარაა, რომ კომპენსირების შესაძლებლობის საკითხი მტაცებლური ფასების განსაზღვრისთვის არ გამოიყენება; თუმცა, იგივე არ შეიძლება ითქვას *Tetra Pak II* საქმეზე<sup>143</sup>. ამ საქმეში CJEU-მ განაცხადა, რომ კომპენსაციის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესი ელემენტია მტაცებლური ფასების განსაზღვრისთვის. CJEU-მ ხაზი გაუსვა იმას, რომ კონკურენტების გარიცხვის შესაძლებლობა საგულისხმო ფაქტორია მტაცებლური ფასების განსაზღვრისთვის.

გზამკვლევში აღნიშნულია, რომ „კომისია ძირითადად კომპანიის საქმიანობაში ერევა მაშინ, როდესაც არსებობს იმის მტკიცებულება, რომ დომინირებული ეკონომიკური აგენტი ჩართულია მტაცებლურ ქმედებაში განზრახ მიყენებული ზიანის ან სამომავლო მოგების მოკლე ვადაში მიღების მხრივ. შესაბამისად, ქმედების მიზანი, მოქმედი ან პოტენციური კონკურენტების სავარაუდო გარიცხვა, რათა ამით გაიძლიეროს ან შეინარჩუნოს თავისი საბაზრო ძალაუფლება, ზიანის მომტანია მომხმარებლისთვის. აღსანიშნავია, რომ გზამკვლევში მითითებულია, კომისია კომპანიის საქმიანობაში არ ერევა მანამ, სანამ დომინანტი ეკონომიკური აგენტის ქმედება მოიცავს ფასების ზრდას, ან როცა შეიძლება ეკონომიკური აგენტის ქმედებამ ფასების დაწვეის შესაძლებლობა გამორიცხოს ან დროში გადადოს. ამასთან, კომისია თვალს ადევნებს მდგომარეობას, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი იყენებს თავის სამართლებრივ მონოპოლიას ერთ ბაზარზე, რათა დააბრკოლოს კონკურენცია სხვა დაკავშირებულ ბაზრებზე მტაცებლური ფასების დაწესებით.

ზემოაღნიშნული საქმეების ანალიზი, ზოგადად, გვაჩვენებს, რომ მტაცებლური ფასები *per se* მიიჩნევა დარღვევად.

## მარჯის შეზღუდვა

მარჯის შეზღუდვის დარღვევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ისეთ ფორმას, როცა ვერტიკალურად ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ფლობენ დომინირებულ მდგომარეობას ზედა დონის ბაზარზე, იყენებენ თავის მდგომარეობას, რათა ისეთი ფასები დააწესონ, რომლებიც მათ კონკურენტებს ქვედა დონის ბაზარზე არ მისცემს შესაძლებლობას

<sup>141</sup> C-202/07 P, *France Télécom SA vs Commission* [2009]

<sup>142</sup> *Ibid.*

<sup>143</sup> C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]

კონკურენცია გაუწიონ მომხმარებლისთვის მომსახურების ან საქონლის მიწოდებისას.<sup>144</sup> მარჟის შეზღუდვა ვლინდება ფასების აწევასა ან დაწევაში, ან ამ ორი ქმედების კომბინაციაში. მარჟის შეზღუდვა შესაძლოა ნებისმიერ ბაზარზე მოგვევლინოს, რეგულირებადი ბაზრის ჩათვლით.<sup>145</sup> თუმცა, ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის კვლევა ცხადჰყოფს, რომ მარჟის შეზღუდვასთან დაკავშირებული დარღვევები ძირითადად რეგულირებად სფეროებში ხდება.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომისიის გადაწყვეტილება მარჟის შეზღუდვასთან დაკავშირებით იყო საქმე *British Sugar SA v Commission*.<sup>146</sup> ამ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ კომპანია British Sugar Company-მ, რომელიც შაქრის წარმოების დარგშია და ამავე დროს საცალო გამყიდველია შაქრის წარმოების ბაზარზე, ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შაქრის წარმოების ბაზარზე შაქარზე დაბალი ფასის დაწესებით: მის კონკურენტს საცალო ვაჭრობის ბაზარზე Napier Brown-ს, რომელიც დამოკიდებული იყოს British Sugar-ის მიწოდებაზე, არ შესწევდა ძალა ჯანსაღი კონკურენცია გაეწია British Sugar-ისთვის, ვინაიდან შაქრის ფასი, რომელიც დაწესებული იყო საცალო ბაზარზე British Sugar-ის მიერ, იმდენად დაბალი იყო, რომ ის არ მოიცავდა შეფუთვისა და რეალიზაციის ფასებს.

მარჟის შეზღუდვის თვალსაზრისით, ასევე უმნიშვნელოვანესი საქმეა *Deutsche Telecom v Commission* (2003)<sup>147</sup>. ამ საქმეში, კომისიამ დაადგინა, რომ Deutsche Telecom-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა მარჟის შეზღუდვით, ვინაიდან ის მაღალ ფასს ახდევინებდა თავის კონკურენტებს, რათა წვდომა ჰქონოდათ საცალო ბაზარზე არსებულ ადგილობრივ სააბონენტო ხაზებზე, რაც წარმოადგენდა აღჭურვილობასა და ქსელის მაკავშირებელ სისტემას. ამით თავის კონკურენტებს საშუალებას აძლევდა ფიქსირებული საჯარო სატელეფონო ქსელით მომსახურებით უზრუნველყოფა მოეხდინათ. პრობლემა იყო ის, რომ Deutsche Telecom თვითონ სთავაზობდა ფიქსირებულ საჯარო სატელეფონო ქსელს საცალო ბაზარზე და მაღალი გადასახადის დაწესებით კონკურენტებს აძლევდა შესაძლებლობას, გაეწიათ Deutsche Telecom-თვის კონკურენცია კონკურენციული ფასების შეთავაზებით. ამით კი კონკურენციას ამახინჯებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ის ფასი, რომელიც Deutsche Telecom-მა დააწესა, გერმანიის მარეგულირებელი დაწესებულების მიერ იყო დადასტურებული. ამ საქმეში, კომისიამ აღწერა მარჟის შეზღუდვა, და აღნიშნა, რომ „განსხვავება საცალო ფასებს, რომელიც დომინანტი ეკონომიკური საწარმოს მიერაა დაწესებული, და საბითუმო ფასებს შორის, რომელსაც ის ახდევინებს კონკურენტებს შესაბამისი მომსახურებისთვის, ნეგატიურია ან არასაკმარისია პროდუქციის კონკრეტული ხარჯების დასაფარად დომინანტი ოპერატორისთვის, რომელიც აწვდის

<sup>144</sup> Østerud: Identifying Exclusionary Abuses by Dominant Undertakings Under EU Competition Law, 2010, p. 103-105

<sup>145</sup> Jones/ Sufirin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 407-408; Østerud: Identifying Exclusionary Abuses by Dominant Undertakings Under EU Competition Law, 2010, pp. 106-107

<sup>146</sup> Case No IV/30.178 Napier Brown — British Sugar [1988]

<sup>147</sup> Ezrachi: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, pp. 264-266

თავის საცალო მომსახურებას დაქვემდებარებულ ბაზარზე.“<sup>148</sup>ამავე დროს, კომისიამ განაცხადა, რომ არ არის საჭიროება შეფასდეს კონკურენციის ეფექტი, თუ მარჟის შეზღუდვა დადგინდა, ვინაიდან ამ უკანასკნელის დადგენა კომისიისთვის საკმარისია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრისთვის. ამ საქმეში, ევროკავშირის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მარჟის შეზღუდვა მიჩნეულ იქნა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განცალკევებულ ფორმად, რომელიც მტაცებლური ფასებისგან დამოუკიდებლად დგას. თუმცა, ამავე საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ კომისიას არ შეუძლია დაადგინოს ბოროტად გამოყენების საკითხი მხოლოდ მარჟის შეზღუდვით: კომისიამ უნდა მოახდინოს კონკურენციული ეფექტების დემონსტრირება. CJEU<sup>149</sup>-მ აღნიშნულ საქმეზე დაადასტურა, რომ მარჟის შეზღუდვა 102-ე მუხლის დარღვევის დამოუკიდებელი ფორმაა; მან ასევე დაადგინა, რომ საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების შეფასება მარჟის შეზღუდვის დასადგენად: (ა) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასზე თანხმობა არ ნიშნავს, რომ ასეთი ფასები არ წარმოშობს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას; (ბ) მარჟის შეზღუდვა დგინდება AEC-ის ტესტით: დომინირებული აგენტის მიერ წარმოების ბოლო ეტაპზე საქმიანობა დაქვემდებარებულ ბაზარზე იქნება თუ არა ვაჭრობის კუთხით მომგებიანი იმ შემთხვევაში, თუ საფასო რეჟიმი მისთვის და მისი კონკურენტებისთვის ერთი და იგივე იქნება; (გ) კონკურენტებზე ანტიკონკურენციული გამომრიცხავი ეფექტები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კერძოდ, მსგავსმა საფასო პოლიტიკამ შეიძლება თუ არა წარმოშვას სირთულეები და შეუძლებელი გახადოს შესაბამის ბაზარზე შესვლა და, ასევე, შეიძლება თუ არა ის გამოყენებულ იქნეს საბაზრო ძალაუფლების გასაძლიერებლად, რომელიც, თავის მხრივ, დააზიანებს მომხმარებელთა ინტერესებს. CJEU-მ ამ საქმეში ასევე დაადგინა, რომ Deutsche Telecom-ს არ უნდა დაეწესებინა მარჟის შეზღუდვა, მაშინაც კი, თუ ის უკანასკნელ მომხმარებლებს ფასებს გაუზრდიდა.

მოგვიანებით, საქმეში *Konkurrensverket v Telia Sonera Sverige AB*<sup>150</sup>, CJEU-მ განაცხადა, რომ დომინანტი ეკონომიკური აგენტისთვის „დაზიანებული“ კონკურენტების ან ახალი მომხმარებლების არსებობა არაა მნიშვნელოვანი: ანტიკონკურენციული ეფექტის არსებობის შესაძლებლობასაც კი შეუძლია გამოიწვიოს ანტიკონკურენციული ეფექტი.<sup>151</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ მარჟის შეზღუდვა ყოველთვის არ მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, ვინაიდან, ანტიკონკურენციული ეფექტი შეძლებისდაგვარად ყოველთვის უნდა ჩანდეს. ამას გარდა, ეკონომიკური აგენტების მხრიდან, მათი ამგვარი საქციელი შეიძლება გახდეს საკუთარი ეფექტიანობის გამამართლებელი. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს,

<sup>148</sup> Case C-280/08 P, *Deutsche Telecom v Commission*[2010]

<sup>149</sup> *Jones/ Suftrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 409-416

<sup>150</sup> C-52/09, *Konkurrensverket v Telia Sonera Sverige AB*[2011]

<sup>151</sup> *Ibid.*

რომ მარჯის შეზღუდვა ყოველთვის არ მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

## დაწყვილება და მიბმა

მიბმა და დაწყვილება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმებია და მიიჩნევა ამგვარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ცალკე ფორმად. 102-ე მუხლის (დ) პუნქტი კონკრეტულად კრძალავს ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს: *"ხელშეკრულებების წინაპირობად მეორე მხარისათვის ისეთი დამატებითი ვალდებულებების დაწესებას, რომლებსაც კომერციული თვალსაზრისით, არ გააჩნიათ რაიმე კავშირი ამგვარ ხელშეკრულებებთან"*<sup>152</sup>. ალისონ ჯონსმა და ბრენდა საფრინმა თავიანთ წიგნში „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: თეორია, საქმეები და მასალები“ (2016), აღწერეს დაწყვილება/მიბმა, როგორც საქმიანობა, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი აწვდის ორ საგანს ერთად, ან აწარმოებს იმგვარად, რომ ორი ან მეტი პროდუქცია ერთიანად მუშაობს, ან დომინანტი ეკონომიკური აგენტი აწვდის პროდუქციას მომხმარებელს იმგვარად, რომ (მომხმარებლებმა) შეიძინონ ამ ეკონომიკური აგენტის სხვა პროდუქციაც. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დაწყვილება/მიბმა ყოველთვის როდია ცუდი მომხმარებლებისთვის: ხშირად, ეკონომიკური აგენტის მიერ ერთიანი შეთავაზება უფრო მომხიბვლელია, ვიდრე პროდუქციის ცალ-ცალკე ყიდვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროკავშირის სასამართლოები და კომისია მიიჩნევენ, რომ მიბმა/დაწყვილება დომინანტი ეკონომიკური აგენტების მიერ გამოყენებულია, რათა ერთ ბაზარზე არსებული თავისი მდგომარეობით გააძლიერონ სხვა ბაზარზე თავიანთი საბაზრო ძალაუფლება.

დაწყვილება და მიბმა ასევე განიხილება და ახსნილია გზამკვლევაში, სადაც კომისია განმარტავს, რომ „მიბმა ძირითადად ისეთ სიტუაციას ეწოდება, როცა მომხმარებლებს, ვინც პროდუქტს ყიდულობს, სთხოვენ შეიძინონ სხვა პროდუქციაც დომინანტი ეკონომიკური აგენტისგან (მიბმული პროდუქტი). მიბმა შეიძლება ტექნიკურ და სახელშეკრულებო საფუძველზეც განხორციელდეს. დაწყვილება ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, როცა პროდუქცია შეთავაზებულია და შეფასებულია (ფასი ედება) დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ. დაწყვილების შემთხვევაში, პროდუქცია მხოლოდ ფიქსირებული პროპორციით და ერთობლივად იყიდება. მრავალპროფილიანი ფასდაკლების სახელით ცნობილი შერეული დაწყვილების შემთხვევაში, პროდუქცია ასევე ხელმისაწვდომია ცალობით, მაგრამ ცალობით შესყიდვის შემთხვევაში, ფასები უფრო მაღალია, ვიდრე ერთიანი კომპლექტით გათვალისწინების დროს“ (იხ. პარ. 48). შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ კომისია განასხვავებს მიბმისა და დაწყვილების შემდეგ სახეებს:

---

<sup>152</sup> მუხლი 102, TFEU

✓ სახელშეკრულებო მიზმა: ამ ტიპის მიზმა გვხდება მაშინ, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი ყიდის პროდუქტს მხოლოდ მაშინ, როცა მის სხვა პროდუქციაზეცაა მოთხოვნა, სხვა შემთხვევაში, უარს ამბობს პროდუქციის გაყიდვაზე ან გარანტიის მიწოდებაზე. მაგალითად, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტი უარს ამბობს x-ს მიაწოდოს პროდუქტი, თუ “a” პროდუქტთან ერთად არ შეიძენს “b” პროდუქტს იმავე კომპანიისგან, ან არ აწვდის გარანტიას “a” პროდუქტზე, თუ არ იქნება “b” პროდუქტიც შესყიდული და ა.შ. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი საქმეებია *Hilti Aktiengesellschaft v Commission*<sup>153</sup> და *Tetra Pak International SA v Commission*<sup>154</sup>, სადაც კომისიამ გამოიკვლია, რომ Hilti-მ და Tetra Pak-მა ბოროტად გამოიყენეს თავიანთი დომინირებული მდგომარეობა პირველადი პროდუქტის მიზმით შესაბამის ბაზარზე. კერძოდ, Hilti-ს საქმეში, Hilti ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას ლურსმნების დასაჭედებელ ბაზარზე (Hilti-ს პატენტი), რომელიც გამოიყენება სამშენებლო ინდუსტრიაში, კარტრიჯების ვაზნების (Hilti-ს პატენტი) და ლურსმნების ბაზარზე. ლურსმნების ბაზარზე Hilti-ს ჰყავდა კონკურენტი. კარტრიჯების მომხმარებლებს რომ შეეძინათ მისი ლურსმნები სხვების ლურსმნების მაგივრად, Hilti-მ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკა: (1) კარტრიჯების ვაზნების შესაძენად ლურსმნების შეფუთვის შესყიდვის პირობა დააყენა; (2) ლურსმნების შეკვეთის გარეშე, კარტრიჯებზე ფასდაკლება არ იმოქმედებდა; (3) აიძულა თავისი დისტრიბუტორები არ მიეწოდებინათ კარტრიჯები დამოუკიდებელი გამყიდველებისთვის; (4) უარი თქვეს კარტრიჯების გაყიდვაზე იმ მიმწოდებლებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ გაეყიდათ ისინი დამოუკიდებელ ლურსმნების გამყიდველებზე; (5) უარი თქვეს გარანტიის მიწოდებაზე იმ ლურსმნის სტეპლერებზე, რომლებისთვისაც არ გამოიყენებდნენ მათ ლურსმნებს; (6) მიზანმიმართულად გაახანგრძლივეს ვაზნების ტექნოლოგიის სალიცენზიო უფლებების საკითხი კარტრიჯებისთვის. კომისიამ დაადგინა, რომ Hilti-მ, რომელიც ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას ლურსმნების სტეპლერების ბაზარზე, კარტრიჯების ვაზნების ბაზარსა და ლურსმნების ბაზარზე, ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა ლურსმნების მიზმით თავის კარტრიჯებზე და შესაბამისად ახალ, დამოუკიდებელ მწარმოებლებს შეუზღუდა ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა. შემდეგი მნიშვნელოვანი საქმე სახელშეკრულებო მიზმის თვალსაზრისით იყო Tetra Pak-ის საქმე, სადაც შვეიცარიაში დაფუძნებული კომპანია Tetra Pak-ი, მსოფლიოში უდიდეს სითხის შემფუთავი მანქანებისა და მუყაოს მწარმოებელი, ფლობდა თითქმის მონოპოლიურ მდგომარეობას ასეპტური სითხეების და მნიშვნელოვან წილს არაასეპტური დაფასობის ბაზრებზე. Tetra Pak International SA ჯგუფმა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზრებზე, სადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთერთი სახე მუყაოსა და სითხეების და ნახევრად-სითხეების შეფუთვის ბაზრებზე Tetra Pak-ის მხრიდან იყო

<sup>153</sup> Case IV/30.787and31.488—*Eurofix-Bauco v. Hilti* [1987], T-30/89 - *Hilti v Commission* [1991]

<sup>154</sup> C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]

არასექტორული მანქანების მიზმა მუყაოზე, რაც საჭირო იყო მანქანების შესავსებად. მოხმარებლები, არამხოლოდ ვალდებულები იყვნენ შეეძინათ მუყაო Tetra Pak-ისგან, არამედ უნდა გამოეყენებინათ მისი შეკეთების მომსახურებაც და მისგან შეესყიდათ სათადარიგო ნაწილებიც. Tetra Pak-მა თავის გასასამართლებლად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული პრაქტიკა გამოყენებული იყო საჯარო ჯანდაცვის უსაფრთხოების მიზნებისთვის და ტექნიკური მიზეზებით. კომისიამ მიუხედავად ამისა დაადგინა, რომ Tetra Pak-მა დაარღვია 102-ე მუხლი. აღნიშნული საქმეების განხილვის შემდეგ შესაძლოა დავასკვნათ, რომ მიზმის დადგენილ ფაქტს, არანაირი გამართლება არ აქვს.

✓ ტექნიკური მიზმა: ეს არის მიზმით მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, როცა პროდუქტი "a" დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ისეთი დიზაინითაა შექმნილი, რომ მისი გამოყენება "b" პროდუქტის გარეშე ვერ ხერხდება, ან "a" და "b" პროდუქტები ფიზიკურად ინტეგრირებულია. ამ მხრივ, ერთ-ერთი ფუნდამენტური საქმეა *Microsoft v Commission*<sup>155</sup>, სადაც კომისიამ დაასკვნა, რომ Microsoft Corporation-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა (საბაზრო წილის 90%) კომპიუტერის ოპერაციული სისტემების ბაზარზე. კერძოდ, კომისიამ დაადგინა, რომ Windows Operating Systems და Windows Media Player განსხვავებული პროდუქტებია განსხვავებულ ბაზრებზე და აღნიშნული პროდუქტის ერთად მიზმით (Windows Media Player წინასწარ ინსტალირდებოდა Windows-ის ოპერაციულ სისტემაში), Microsoft Corporation ბოროტად იყენებდა თავის დომინირებულ მდგომარეობას: Windows Operating Systems-ის ბაზარზე თავისი მონოპოლიური მდგომარეობით Microsoft Corporation-ს სურდა გაეძლიერებინა საბაზრო ძალაუფლება Windows Media Player-ის ბაზარზე, რომელსაც საკმაოდ კონკურენციული ბაზარი ჰქონდა ბევრი მონაწილით. კომისიამ Microsoft Corporation დააჯარიმა 147 მილიონი ევროთი და დაავალა, შეთავაზებოდა მოეხდინა Windows Operating Systems-ის ისეთი ვერსიით, რომელშიც არ იქნებოდა Windows Media Player დაყენებული. Microsoft Corporation აცხადებდა, რომ მომხმარებლები არ იყვნენ ვალდებულები გამოეყენებინათ Windows Media Player; მათ შეეძლოთ სხვა მწარმოებლის სხვა პროგრამა გადმოეწერათ და ის გამოეყენებინათ. თუმცა, როგორც კომისიამ ისე ევროკავშირის სასამართლომ, აღნიშნული არგუმენტი არარელევანტურად მიიჩნია, ვინაიდან ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა Microsoft Corporation-ის მხრიდან გამოიწვია მნიშვნელოვანი დარღვევები ბაზარზე არსებულ კონკურენციის სტრუქტურაში.

✓ აუცილებელი დაწყვილება: ასეთი ტიპის ბოროტად გამოყენება გვხვდება, როცა "a" და "b" პროდუქტები ერთიან შეფუთვაში ერთად იყიდება ან "a" და "b" პროდუქტი და მომსახურება ერთიანად იყიდება ფიქსირებული პროპორციებით.

<sup>155</sup> T-201/04 *Microsoft v Commission* [2004]



✓ შერეული დაწყვილება: აღნიშნული ტიპის დაწყვილება სახეზეა, როდესაც დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ შემოთავაზებულია ორი ან მეტი პროდუქტის შესყიდვა მთავარ პროდუქტთან ერთად, რათა მთავარ პროდუქტზე გავრცელდეს ფასდაკლება: მაგალითად, თუ "a" პროდუქტი ღირს 7 ევრო და "b" პროდუქტი ღირს 12 ევრო, თუ მყიდველი ორივე პროდუქტას ერთად შეისყიდის, მას შესთავაზებენ გადაიხადოს ორივე პროდუქტისთვის 14 ევრო. ამ მიმართულებით ცნობილი საქმეა *Coca Cola Company Italia*<sup>156</sup> სადაც, კომისიამ დაადგინა, რომ კოკა-კოლამ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, პირობიანი ფასდაკლების შეთავაზებით გამყიდველებზე/სხვა პროდუქციის გამსაღებლებზე, რითიც აიძულებდა მათ ეყიდათ კოლა ან გაეყიდათ მხოლოდ კოკა-კოლას პროდუქცია.<sup>157</sup> კიდევ ერთი ცნობილი საქმე შერეულ დაწყვილებასთან დაკავშირებით იყო ციფრულ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე, სადაც მათ კომპიუტერის მწარმოებლებს წარუდგინეს საკმაოდ მომხიბვლელი შეთავაზება, იმ პირობით, თუ ისინი შეიძენდნენ პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის მომსახურებას კომპიუტერებთან ერთად. კომისიამ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ქმედება იყო დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ვინაიდან დომინანტი ეკონომიკური აგენტების ქმედება აფერხებდა კონკურენციას ტექნიკური მომსახურების პერიფერიულ ბაზრებზე, ვინაიდან, მიმწოდებლებისთვის ეკონომიკურად მისაღები აღარ იყო მესამე პირებისგან მომსახურების შექმნა.<sup>158</sup>

აქვე, აღსანიშნავია, რომ მიზმისა და დაწყვილების მეშვეობით მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში კომისია განასხვავებს ბაზრებს, სადაც ეკონომიკურ აგენტს შეიძლება ეკავოს დომინირებული მდგომარეობა. კონკრეტულად, თუ დაწყვილება განხორციელდა, ეკონომიკური აგენტი დომინირებულ მდგომარეობას უნდა ფლობდეს დაწყვილებულ ბაზარზე და თუ ქმედება მოიცავს მიზმის მეშვეობით მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ეკონომიკურ აგენტს უნდა ეკავოს დომინირებული მდგომარეობა მიზმული პროდუქციულ ბაზარზე (მიზმული პროდუქციულ ბაზარზე დომინირების არსებობა არ არის მნიშვნელოვანი). თუმცა, საქმეებში, სადაც ბოროტად გამოყენება დგინდება, დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისთვის ასევე მხედველობაში მიიღება პერიფერიული ბაზრებიც.

ევროკავშირის პრეცედენტული სამართლისა და გზამკვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწყვილება/მიზმა მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შემდეგი ელემენტების გამოაშკარავების შემთხვევაში : (ა) დაწყვილებული და მიზმული პროდუქცია განსხვავებული და განცალკევებული პროდუქტებია; (ბ) დომინანტ ეკონომიკურ აგენტს დომინირებული მდგომარეობა უკავია მიზმული პროდუქციულ ბაზარზე, ან დაწყვილებული და მიზმული პროდუქციულ ბაზრებზე; (გ) მომხმარებლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას

<sup>156</sup> *Jones/ Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials*, 2016, pp. 480

<sup>157</sup> *Ibid.*

<sup>158</sup> *Ibid.*

შეიძინონ პროდუქცია მიზნული პროდუქციის გარეშე; (დ) კონკურენცია აღმოფხვრილია მიზმის განხორციელებით (პრაქტიკით).

### მიწოდებაზე უარი

მიწოდებაზე უარი ან უარი დომინანტი ეკონომიკური აგენტის მატერიალურ შესაძლებლობაზე დაშვებაზე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კიდევ ერთი ფორმაა და შესაბამისად TFEU-ს 102-ე მუხლის დარღვევაა. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ უარი არის „კონტრუქციული“ თუ: დომინანტი ეკონომიკური აგენტი ისეთ შეთავაზებას აკეთებს, რომელსაც იცის, რომ მომხმარებლები არ დათანხმდებიან, ან როცა არაკანონიერად აჭიანურებს მიწოდებას<sup>159</sup>. დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს ყოველთვის არ აქვთ მიწოდების ვალდებულება ყველა მიმწოდებელზე. თუმცა, ბაზარზე მათი დომინირებული მდგომარეობა ავალდებულებს მათ არ დაამახინჯონ კონკურენცია; სწორედ ამიტომ, კონკრეტულ სიტუაციებში მიწოდებაზე უარი შეიძლება ხელს უწყობდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობით კონკრეტულად ის სიტუაციებია გათვალისწინებული, როცა აღმავალ ბაზრებზე არსებული დომინირებული ეკონომიკური აგენტები უარს ამბობენ მიწოდებაზე იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, ვინც პერიფერიულ დაღმავალ ბაზრებზეა. შესაბამისად, კონკურენციის დამახინჯება ხდება პერიფერიულ ბაზრებზე.

მიწოდებაზე უარის გზით დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა ძირითადად ეწინააღმდეგება საკუთრებისა და გარიგების დადების უფლებას, რომელიც განუსაზღვრავს ეკონომიკურ აგენტებს იმ უფლებას, რომ გარიგება დადონ ნებისმიერთან, ვისთანაც სურთ და გამოიყენონ თავიანთი საკუთრება სურვილისამებრ. მიწოდებაზე უარის გზით მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა ხანდახან ეწინააღმდეგება ინტელექტუალური საკუთრების უფლებასაც (შემდგომში - IPR). კომისიას და ევროკავშირის სასამართლოებს შეზღუდული რაოდენობის საქმეები აქვთ განხილული, როცა მიწოდებაზე უარი უკავშირდება IPR-ს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიწოდებაზე უარი და მიზმა ერთმანეთთან კავშირშია და ძირითადად ერთმანეთთან თანხვედრაში გვხვდება. მსგავსი პრაქტიკა წარმოდგენილი იყო *Centre Berge*-ს საქმეში, სადაც ეს კომპანია სატელევიზიო სარეკლამო დროს იმ პირობით აწვდიდა, თუ მომხმარებლები იყიდდნენ ამავე ტელევიზიის გაყიდვების სააგენტოს მომსახურებასაც<sup>160</sup>. ეს საქმე მოიცავდა როგორც მიზმას, ისე მიწოდებაზე უარის მხრივ დარღვევებს.

მიწოდებაზე უართან დაკავშირებული პირველი საქმე იყო *Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission*<sup>161</sup>. ამ საქმეში, Commercial

<sup>159</sup> *Jones/ Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 496 497

<sup>160</sup> *Ibid*, p. 497

<sup>161</sup> *Cases 6 and 7/73, Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission* [1974]

Solvent-ი მის შვილობილი კომპანია Italian Institutio-ს აწვდიდა ამინობათანოლს (ნედლეული, რისგანაც შესაძლოა ეთამბუტოლის წარმოება), რომელიც ამ ნედლეულს, თავის მხრივ, ყიდდა Zoja-ზე (ფარმაცევტულ კომპანიას, რომელიც აწარმოებდა ეთამბუტოლზე დაფუძნებულ წამლებს). როდესაც Zoja-მ უარი გნაცხადა Institutio-სგან შესყიდვაზე, ვინაიდან Institutio-სგან განსხვავებით, სხვა დისტრიბუტორი უფრო იაფად აწვდიდა ამინობათანოლის, Commercial Solvents-მა გაუმჯობესებული პროდუქტი დექსტროამინობათანოლი მიაწოდა Institutio –ს, რომელიც, თავის მხრივ, ეთანბუტოლად გარდაიქმნებოდა, რათა თავად ეწარმოებინა ეთანოლის საფუძველზე დამზადებული წამლები. Commercial Solvents- მა, იმავდროულად უარი გნაცხადა ამინობათანოლი მიეწოდებინა რომელიმე კომპანიისთვის ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამ სიტუაციაში, Zoja-მ ვერ შეძლო სხვა ამინობათანოლის მიმწოდებლის მოძიება და კომისიაში გნაცხადება შეიტანა Commercial Solvents Corporation and Institutio-ს წინააღმდეგ <sup>162</sup>. კომისიამ თავის მხრივ დაადგინა, რომ Commercial Solvents Corporation-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა ნედლეულის ბაზარზე.<sup>163</sup> ამასთან, აღნიშნა, რომ შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტები ადასტურებდა კომპანიის მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას: (1) Commercial Solvents Corporation იყენებდა მის დომინირებულ მდგომარეობას ნედლეულის ბაზარზე, რათა მოეხდინა კონკურენციაზე ზეგავლენა გადამამუშავებელ ბაზარზე; (2) Commercial Solvents Corporation-მა უარი თქვა არსებული მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებაზე იმ მიზნით, რომ პერიფერიულ ბაზარზე მისი კონკურენტისთვის გაეწია კონკურენცია; (3) მიწოდებაზე უარმა წარმოშვა რისკი Zoja გაძევებულიყო პერიფერიული ბაზრიდან.

აღსანიშნავია, რომ Commercial Solvents Corporation - ის საქმეში მიწოდებაზე უარი ყველა პროდუქციას ეხებოდა. თუმცა, არსებობს საქმეები, სადაც დომინანტმა ეკონომიკურმა აგენტებმა უარი თქვეს პროდუქციის ფუნდამენტური ნაწილის მიწოდებაზე ან უარი თქვეს მის უმნიშვნელოვანეს აქტივებზე დაშვებაზე. ერთ-ერთი ესეთი ასეთი საქმე იყო **Hugin Kassaregister AB and Hugin Cash Registers Ltd v Commission case**<sup>164</sup>. ამ საქმეში, კომისიამ დაადგინა, რომ Hugin - მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა, ვინაიდან უარი თქვა მიეწოდებინა თავის პროდუქციის სათადარიგო ნაწილები და მომსახურება<sup>165</sup>. საქმეში Sea Containers v. Stena Sealink <sup>166</sup> კომისიამ უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობების განსაზღვრა მოახდინა, რომლის მიხედვითაც: „შესაძლებლობები ან ინფრასტრუქტურული წვდომა, რომლითაც კონკურენტებს არ შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება თავიანთ მომხმარებლებს“. დომინირებული მდგომარეობის აკრძალვას უმნიშვნელოვანეს აქტივებზე დაშვებაზე უარის გამო რეგულირებადი ბაზრების ლიბერალიზაციის

<sup>162</sup> *Ibid.*

<sup>163</sup> Jones/ Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 498-499

<sup>164</sup> Case 22/78, **Hugin Kassaregister AB and Hugin Cash Registers Ltd v Commission**[1979]

<sup>165</sup> *Ibid.*

<sup>166</sup> **IV/34.689 - Sea Containers v. Stena Sealink - Interim measures** [1993]

შემდგომ მიენიჭა მნიშვნელობა, სადაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის გზით ხდებოდა მომსახურების მიწოდება, რომელიც იმართებოდა სახელმწიფო ბიუჯეტით/საჯარო ფინანსებით. კონკრეტულად, ბუნებრივი მონოპოლისტები, რომლებიც ლიბერალიზაციის შემდგომ გახდნენ დომინანტი ეკონომიკური აგენტები, იყენებდნენ განსხვავებულ მეთოდებს, რათა უარი ეთქვათ უმნიშვნელოვანეს აქტივებზე დაშვებაზე და შედეგად, შეენარჩუნებინათ და გაემლიერებინათ თავიანთი საბაზრო ძალაუფლება. საქმეში *Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprin tZeitungscase*<sup>167</sup> CJEU-მ გამოიყენა ტესტი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრისთვის მიწოდებაზე უარის მხრივ. კერძოდ, CJEU-მ აღნიშნა, რომ შემდგომი ფაქტორები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რათა დადგინდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მიწოდებაზე უარით: (ა) პერიფერიულ ბაზარზე კონკურენცია უნდა იყოს აღმოფხვრილი მიწოდებაზე უარის გამო; (ბ) არ უნდა არსებობდეს მიწოდებაზე უარის ობიექტური გამართლება; (გ) სამომხმარებლო საქმიანობა შეუძლებელი უნდა იყოს დაშვებების გარეშე; (დ) არ არსებობს პოტენციური ან არსებული აქტივების ჩამნაცვლებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, მიწოდებაზე უარის ერთ-ერთი ფორმა მოიცავს IPR - ს. უმნიშვნელოვანესი აქტივების ტესტი ასეთ საქმეებზე არ შეიძლება გავრცელდეს, ვინაიდან თავად ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა უკვე უმნიშვნელოვანესია. ამ მიზნით, ზოგადად, IPR-ის ლიცენზიის მიწოდებაზე უარი არ არის დარღვევა, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში ის მაინც შეიძლება მიიჩნეოდეს დარღვევად. მაგალითად, საქმეში *Volvo v Veng*<sup>168</sup>, CJEU -მ დაადგინა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ IPR ლიცენზიას ბოროტად იყენებენ ან შეიძლება გამოიყენონ ბოროტად, აღნიშნული სიტუაცია/ები შესაძლოა მიჩნეულ იქნას დარღვევად<sup>169</sup>. თუმცა, CJEU-ს მიერ გამოყენებულ იქნა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად განსაზღვრის ტესტი საქმეში *IMS Health GmbH & Co. OHG v NDC Health GmbH & Co. KG case*<sup>170</sup>, რათა დადგენილიყო დელიკატური ბალანსი IPR -სა და კონკურენციის სამართალს შორის. კონკრეტულად, CJEU-მ დაადგინა, რომ შემდეგი სამი კუმულაციური პირობა უნდა არსებობდეს: (1) ახალი პროდუქცია; (2) IPR-ებზე დაშვება იმ გზით, რომ კონკურენცია სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება დამახინჯდეს მეორად ბაზარზე; (3) უარი არაა დასაბუთებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ CJEU-მ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ ლიცენზიაზე უარი არ შეიძლება თავისთავად გულისხმობდეს დარღვევას.

<sup>167</sup> Case C-7/97, *Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprint Zeitungs- und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG, Mediaprint ZeitungsvertriebsgesellschaftmbH& Co. KG and Mediaprint AnzeigengesellschaftmbH& Co. KG* [1998]

<sup>168</sup> Case 238/87, *AB Volvo v Erik Veng (UK) Ltd* [1988]

<sup>169</sup> *Anderman/Schmidt*: EU Competition Law and Intellectual Property Rights: The Regulation of Innovation, 2011, pp. 111-119

<sup>170</sup> C-418/01 - *IMS Health* [2004]

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საქმეა *Microsoft Corporation v Commission*, სადაც ერთ-ერთ დარღვევად მიჩნეულ იქნა მიწოდებაზე უარი<sup>171</sup>. კონკრეტულად, ამ საქმეში, Microsoft Corporation-მა შესაბამის ბაზარზე შესვლის შემდგომ, უარი განაცხადა ინტერფეისთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია მიეწოდებინა სხვა სერვერების მწარმოებლებისთვის, რაც ამ მწარმოებლებს უფლებას მისცემდა შეექმნათ სამუშაო სერვერი ოპერაციული სისტემებისთვის. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ Microsoft Corporation-მა მანამდე მიაწოდა გარკვეული ინფორმაცია სერვერის მწარმოებლებს. კომისიამ ამ საქმეში დაადგინა, რომ Microsoft ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას ორ ბაზარზე - კომპიუტერული ოპერაციის სისტემებისა და სამუშაო სერვერების ოპერაციული სისტემების ბაზრებზე და ინტერფეისისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაზე უარით, ის ბოროტად იყენებდა თავის დომინირებულ მდგომარეობას. CJEU-მ ამ საქმეშიც გამოიყენა სამი კუმულაციური ელემენტის ტესტი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ და სამივე ელემენტი დეტალურად განიხილა.

გზამკვლევი ასევე განიხილავს მიწოდებაზე უარის გზით დარღვევას. კერძოდ, გზამკვლევით შემოთავაზებულია ტესტი სამი კუმულაციური პირობით, რომელსაც კომისია ითვალისწინებს ჩარევისას პრიორიტეტების განსაზღვრისთვის. ამ ტესტის ელემენტები შემდეგნაირია: (ა) დომინირებული ეკონომიკური აგენტის მიერ ისეთი პროდუქციის/მომსახურების მიწოდებაზე უარი, რომელიც ობიექტურად აუცილებელია სხვა ეკონომიკური საწარმოებისთვის, რათა კონკურენცია გაწიონ მეორად/პერიფერიულ ბაზრებზე; (ბ) შესაძლებელია კონკურენცია აღმოიფხვრას პერიფერიულ ბაზარზე სწორედ მიწოდებაზე უარის გამო; (გ) შესაძლებელია მიწოდებაზე უარი საზიანო იყოს მომხმარებლებისთვის.

### **ფასდათმობები და ფასდაკლებები**

ფასდათმობები და ფასდაკლებები ეკონომიკური საწარმოების მიერ ბაზარზე კონკურენციის მიღებული ფორმაა კომერციულ პრაქტიკაში. თუმცა, როდესაც ეკონომიკურ საწარმოებს უკავიათ დომინირებული მდგომარეობა, ფასდათმობებისა და ფასდაკლებების პრაქტიკა, მათი მხრიდან შეიძლება შეზღუდული იყოს TFEU- ს 102-ე მუხლით.

გზამკვლევით შემუშავებულია ეფექტიანი კონკურენტის ტესტი (AEC) ანტიკონკურენციული ეფექტის არსებობის განსაზღვრისთვის. შესაბამისად ფასდათმობებისა და ფასდაკლებების ბოროტად გამოყენების შემთხვევების განსაზღვრისთვისაც. თუმცა, პრეცედენტულ სამართალში ეს მიდგომა ჯერ ასახული არაა<sup>172</sup>. ფასდათმობები ძირითადად აღიქმება, როგორც რეტროსპექტულად ხარჯების ანაზღაურება და ფასდაკლება - როგორც განსაზღვრული ფასიდან გამოქვითვა.

<sup>171</sup> *Anderman/Schmidt*: EU Competition Law and Intellectual Property Rights: The Regulation of Innovation, 2011, pp. 111-119

<sup>172</sup> *Jones/ Sufirin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 434

კონკურენციული სამართლის ცნობილი იურისტები ალისონ ჯონსი და ბრენდა სარფინი თავიანთ წინგში „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: თეორია, საქმეები და მასალები“ (2016) გვთავაზობენ კონკრეტულ ტერმინოლოგიას სხვადასხვა ტიპის ფასდათმობებისთვის. კერძოდ, ავტორები აღწერენ შემდეგი სახის ფასდათმობებს:

✓ *რაოდენობრივი ფასდათმობა* (ფასდათმობა, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ ბითუმად შექმნილი პროდუქციის რაოდენობაზე);

✓ *ფასდაკლება ლოიალობისთვის* (ფასდათმობა, რომელიც გარკვეულწილად დამოკიდებულია პროდუქტის სრულად ან დიდწილად ერთი და იმავე მიმწოდებლისგან შექმნაზე);

✓ *მიზნობრივი ფასდათმობა* (ფასდათმობები, რომლებიც ეძლევათ მომხმარებლებს, როცა ისინი ყიდულობენ გარკვეულ მიზანზე მეტ (თამასა) საქონელს/მომსახურებას შემდეგი კატეგორიებით: *რეტროაქტიული ფასდათმობები* (მსგავსი ფასდათმობებით სარგებლობენ მომხმარებლები, თუ ისინი აღწევენ თამასას), *დამატებითი ფასდათმობა* (აღნიშნული ტიპის ფასდათმობა კეთდება მაშინ, თუ შესყიდვა თამასაზე მაღლაა), *ინდივიდუალური ფასდათმობები* (სიტუაცია, როცა ფასდათმობით სარგებლობს სხვადასხვა მომხმარებელი სხვადასხვა თამასით ერთი და იმავე პროდუქტიაზე), *სტანდარტული ფასდათმობა* (ფასდათმობა ყველასთვის ერთნაირი პირობებით);

✓ *დაჯამებული (მრავალპროდუქტიანი) ფასდათმობები* (მსგავსი ტიპის ფასდათმობებით სარგებლობენ მომხმარებლები, ვინც სხვადასხვა პროდუქციას ერთი მომხმარებლისგან ყიდულობს);

✓ *ფასდათმობა ერთგულებისთვის* (ფასდათმობით სარგებლობენ ის მომხმარებლები, ვინც პროდუქციის მიმართ ლოიალურები არიან);

✓ *შერჩეული ფასდათმობები* (ფასდათმობები, რომლებიც ემსახურება მომხმარებლების კონკრეტულ ჯგუფს ან კლასს, ძირითადად იმისთვის, რომ კონკურენტებისგან მიიზიდონ მყიდველები.

გზამკვლევეში კომისია განასხვავებს *მოთხოვნის სადაო ნაწილს* (მომხმარებლების/მყიდველების რაოდენობა, რომელიც პროდუქციას ნებისმიერ შემთხვევაში შეიძენს დომინანტი ეკონომიკური აგენტისგან) და *მოთხოვნის არასადაო ნაწილს* (მომხმარებელთა რაოდენობა, ვისაც შეიძლება ერჩიოს ჩამნაცვლებელი პროდუქციის პოვნის შემთხვევაში, შეიძინოს ეს უკანასკნელი).

ევროკავშირის პრეცედენტული სამართალი გვჩვენებს ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გზით მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მნიშვნელობის უკეთ გაგებაში. ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის კვლევამ და ანალიზმა აჩვენა, რომ ფასდათმობები ძირითადად 3 კატეგორიად იყოფა: (1) რაოდენობრივი ფასდათმობები; (2) ექსკლუზიური ფასდათმობები და (3) სხვა კატეგორიის

ფასდათმობები<sup>173</sup>. ნაშრომის შემდეგ ნაწილში განხილული იქნება ეს სამი კატეგორია შესაბამისი სასამართლო საქმეების თანხლებით.

• რაოდენობრივი ფასდათმობა: რაოდენობრივი ფასდათმობა ისეთი სახის ფასდაკლებაა, რომელიც ვრცელდება პროდუქციის რაოდენობაზე დაყრდნობით, რომელიც მყიდველმა უნდა შეიძინოს დომინანტი ეკონომიკური აგენტისგან. შესაბამისად, დესტრუქციულია შესყიდული პროდუქციის რაოდენობა. თუმცა, საქმეში, *Michelin II (Michelin v Commission (2003))*<sup>174</sup>, კომისიამ განაცხადა, რომ რაოდენობრივი ფასდათმობების შემთხვევაში, თუ მამოტივირებელია ლოიალობა, ფასდაკლებები შეიძლება გულისხმობდეს მიზნობრივ ფასდათმობასაც. მეორე საქმეში, *Post Danmark II*<sup>175</sup>, კომისიამ განაცხადა, რომ მაშინ როცა ფასდათმობები რეტროაქტიულია შეკვეთების ჯამური ოდენობის საფუძველზე, რომელიც მომხმარებელმა დროის რაღაც გარკვეულ პერიოდში განახორციელა, არ მიიჩნეოდეს უბრალო რაოდენობრივ ფასდათმობად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი ფასდათმობები ყველა საქმეში მიჩნეულია, როგორც, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება: საქმეში *Portugal v Commission*<sup>176</sup>, სასამართლომ განაცხადა, რომ როდესაც მარტივი რაოდენობრივი ფასდათმობა არადისკრიმინაციულია, 102-ე მუხლი შესაძლოა არ დაირღვეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის პრეცედენტული სამართალი განასხვავებს რაოდენობრივ ფასდათმობებს ლოიალური ფასდათმობისგან. ვინაიდან, ზოგადად, რაოდენობრივი ფასდათმობები ძირითადად სამართლიან ქმედებად მიიჩნევა<sup>177</sup>. თუმცა, რაოდენობრივი ფასდაკლება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად იმ პირობით, თუ ფასდაკლების რაოდენობა მტაცებლურია<sup>178</sup>.

ექსკლუზიური ფასდათმობა: ექსკლუზიური ფასდათმობა მოიაზრებს ფასდათმობას ლოიალობის ან ერთგულებისთვის. იმისთვის, რომ ამ ტიპის ფასდათმობით ისარგებლოს, მომხმარებელმა აუცილებლად უნდა შეასრულოს პირობა: იყიდოს ყველა ან უმრავლესი პროდუქცია დომინანტი ეკონომიკური აგენტისგან. ექსკლუზიურობისთვის მნიშვნელოვანია წერილობითი ფორმა: ზეპირი კომუნიკაცია და ქცევა შესაძლოა ექსკლუზიურობის მტკიცებულება იყოს. სხვაობა ლოიალურობისთვის ფასდათმობასა და რაოდენობრივ ფასდათმობას შორის ჩანს 1975 წლის *Suiker Uniev Commission* საქმეში, სადაც CJEU-მ განაცხადა, რომ რაოდენობრივი ფასდაკლებები უკავშირდება გაყიდვების მოცულობას დომინანტი ეკონომიკური აგენტისგან თუმცა საქმეებში, სადაც ფასდათმობები მომხმარებელს

<sup>173</sup> Jones/ Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 435- 437

<sup>174</sup> C-322/81 - *Michelin v Commission* [1983]

<sup>175</sup> C-23/14 - *Post Danmark* [2015]

<sup>176</sup> Case C-163/99, *Portugal v Commission*[2001]

<sup>177</sup> Jones/ Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, p. 437

<sup>178</sup> *Ibid.*

ფინანსურ უპირატესობას ანიჭებს, თუ ის პროდუქციას მხოლოდ დომინანტი ეკონომიკური აგენტისგან შეიძენს და არა მისი კონკურენტებისგან, ასეთი ფასდათმობები არის ფასდათმობა ერთგულებისთვისაც<sup>179</sup>.

ექსკლუზიური ფასდათმობის საკითხზე უმნიშვნელოვანესი საქმეა *Hoffman La Roche v Commission*, სადაც ექსკლუზიური ფასდათმობების საფუძვლების შეფასება მოხდა. კონკრეტულად, CJEU-მ განაცხადა, რომ დომინირებულ ეკონომიკურ საწარმოს არ შეუძლია ექსკლუზიური ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება და ექსკლუზიური ფასდათმობების შეთავაზება. იმის შეფასება, რამდენად არასამართლიანია ფასდათმობა, საჭირო არაა, ვინაიდან ექსკლუზიური ფასდათმობის შეთავაზება, გულისხმობს იმას, რომ მომხმარებლები არ შეიძენენ პროდუქციას მისი კონკურენტებისგან, რაც ზიანს აყენებს კონკურენტებსა და კონკურენციას. ეს მიდგომა შემდგომ ბევრ საქმეში გამოეორდა. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო *Tomra v Commission*<sup>180</sup>, რომელიც განიხილავდა რეტროაქტიულ მიზნობრივ ფასდათმობებს; შემდგომ, იგივე მიდგომა განვითარდა *Hoffman La Roche* საქმეშიც.

კიდევ ერთი ფუნდამენტური საქმე ექსკლუზიურ ფასდათმობაზე არის *Intel v Commission*<sup>181</sup>, სადაც შემოთავაზებულია ფასდათმობების სამეტაპიანი კატეგორიზაცია. ამ საქმეში კომისიამ დაასკვნა, რომ Intel-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე კომპიუტერის მწარმოებელი კომპანიებისთვის ფასდათმობების გზით. კერძოდ, Dell და HP კომპანიებს მისცა ფასდათმობები (მიკროჩიპებზე), თუმცა ეს კომპანიები დაავალდებულა შეესყიდათ მათი მოთხოვნების 80-100% Intel-ისგან. იმის მიუხედავად, რომ პრეცედენტული სამართლით არ არის შემოთავაზებული რაიმე მოთხოვნა ფასდათმობებისთვის, რათა დადგინდეს ანტიკონკურენციული ეფექტი, კომისიამ ამ საქმეში გამოიყენა AEC ტესტი, რათა შეეფასებინა Intel-ის მიერ პირობიანი ფასდათმობებს შეეძლო თუ არა, ან აძლევდა თუ არა შესაძლებლობას ანტიკონკურენციული შედეგი მოეტანა (ზიანი როგორც Intel-ის კონკურენტებისთვის ისე მომხმარებლებისთვის). ამ საქმეში, ევროკავშირის სასამართლომ, CJEU-ს პოზიციაზე მითითებითა *Tomra*-ს საქმეზე, სადაც არსებობს მოთხოვნა, რომ ნაჩვენები ყოფილიყო ნეგატიური ფასები მიზნობრივი ფასდათმობებისთვის, მიიჩნია, რომ არ იყო AEC ტესტის გამოყენების საჭიროება, ვინაიდან ეს ტესტი იმისთვის გამოიყენება, რომ დაადგინოს შეუძლიათ თუ არა ახალ კონკურენტებს შესაბამის ბაზარზე შესვლა. სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო საჭირო არსებული კავშირი ეჩვენებინა პრაქტიკასა და ზიანს შორის და არ იყო საჭიროება პირდაპირი ზიანი ან არსებული ანტიკონკურენციული ეფექტი ეჩვენებინა მომხმარებლებზე. სასამართლომ ამადროულად დაადგინა, რომ

---

<sup>179</sup> *Ibid*, 437

<sup>180</sup> Requires a reference

<sup>181</sup> T-286/09, *Intel v Commission* [2009]



ფასდათმობის სიდიდე არარელევანტური იყო: რაც მნიშვნელოვანია, არის ის, დადგინდეს ექსკლუზიურობა არსებობს თუ არა.<sup>182</sup>

- სხვა კატეგორიის ფასდათმობები: ასეთი ტიპის ფასდათმობები ისეთი ფასდათმობებია, რომლებიც არც რაოდენობრივია და არც ექსკლუზიური. შესაბამისი პრეცედენტული საქმეების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ასეთი ტიპის ფასდათმობებს ერთგულების (ლოიალობის) შექმნის ეფექტი აქვს. აღნიშნული სხვა კატეგორიის ფასდათმობები არ განხილულა საქმეში *Post Danmark*, სადაც CJEU-მ განაცხადა, რომ სტანდარტული ფასდათმობები არც რაოდენობრივია და არც ექსკლუზიური.<sup>183</sup> დასაბუთება, რომელიც CJEU-მ მოგვიანებით გამოიყენა ამ საქმეში იყო ის, რომ სხვა კატეგორიის ფასდათმობები ძირითადად მიზნობრივი ფასდათმობებია. კონკურენციული სამართლის იურისტები ალისონ ჯონსი და ბრენდა სარფინი თავიანთ წიგნში „ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: თეორია, საქმეები და მასალები“ (2016) აღწერენ ამ კატეგორიის ფასდათმობებს, როგორც ფასდათმობებს, რომლებიც მარწუხებში აქცევენ მომხმარებლებს, რათა მხოლოდ დომინანტ ეკონომიკურ აგენტთან ჰქონდეთ გარიგება და არწმუნებენ მომხმარებლებს, რომ დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტებს არ შეუძლიათ შესთავაზონ ამ პროდუქციასთან დაკავშირებული ისეთი მომგებიანი შეთავაზება, როგორც მათ. შესაბამისად, ექსკლუზიური ეფექტიც ჩნდება შესაბამის ბაზარზე.

**Michelin v Commission case (1983)**<sup>184</sup> იყო პირველი საქმე სადაც მიზნობრივი ფასდათმობები დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დასადგენად განიხილეს. ამ საქმეში, CJEU-მ განაცხადა, რომ Michelin-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე მყიდველების უფლების შეზღუდვით/აღმოფხვრით აერჩიათ მათთვის მისაღები მიწოდების წყარო. კონკრეტულად, Michelin, კომპანია, რომელიც სატვირთო მანქანებისთვის ახალ სათადარიგო საბურავებს აწვდიდა მიმწოდებლებს, რომლებიც არამხოლოდ მის, არამედ მისი კონკურენტის პროდუქციას ყიდდნენ, შესთავაზა ისეთი სახის ფასდათმობა, რომელიც, მისი მტკიცებით, წლიური გაყიდვების მიზნებს ითვალისწინებდა (რამდენსაც გაყიდდა Michelin-ის პროდუქტს). ამ საქმეში, CJEU-მ განიხილა ისეთი ფასდათმობები, რომლებიც ერთგულებას აყალიბებდა, ვინაიდან დილერებს უნდა გაეყიდათ Michelin-ის უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე მთლიანად წინა წელს. საქმეში *Michelin II (2003)*<sup>185</sup>, Michelin-მა გამოიყენა მსგავსი ფასდათმობები, რომელიც ითვალისწინებდა ფასდაკლებებს და, ასევე, შექმნა Michelin-ის კლუბი, რომლის წევრებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ უდიდესი მიმწოდებლები, რომლებსაც

<sup>182</sup> *Ibid.*

<sup>183</sup> C-23/14 - *Post Danmark* [2015]

<sup>184</sup> C-322/81 - *Michelin v Commission* [1983]

<sup>185</sup> Case T-203/01, *Michelin II*[2003]

შემდგომში უფრო ახლო ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა ექნებოდათ Michelin-თან. კომისიამ დაადგინა, რომ Michelin-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, ვინაიდან ასეთი ფასდათმობები დილერებს სრულად მასზე დამოკიდებულს ხდიდა.

მნიშვნელოვანია *British Airways v Commission*-ის საქმის განხილვა,<sup>186</sup> სადაც კომისიამ დაასკვნა, რომ ბრიტანეთის ავიახაზებმა ბოროტად გამოიყენა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე (ტურისტული სააგენტოების მომსახურების ბაზარი) საკომისიო სქემების მიწოდებით (დამატებითი გადასახადების დაწესებით ბრიტანეთის ავიახაზების ბილეთების წინა წლის გაყიდვების თანხვედრას ან გადამეტების შემთხვევაში) (რეტროაქტიული ფასდათმობები) ტურისტულ აგენტებთან მიმართებით. კომისიამ დაასკვნა, რომ ამ საქმეში, ბრიტანეთის ავიახაზების მიერ მიწოდებული ფასდათმობების სქემები, დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა. ევროკავშირის სასამართლომ განაცხადა, რომ ამ საქმეში TFEU-ს 102-ე მუხლის გამოყენების მიზანი არ იყო დაემტკიცებინა მომხმარებლისთვის ზიანის მიყენება, არამედ დაეცვა კონკურენციის სტრუქტურა. ბრიტანეთის ავიახაზებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა CJEU-ში<sup>187</sup>. CJEU დაეთანხმა იმ მიდგომას ფასდათმობებზე, რომ მიუხედავად ფასდათმობის ტიპისა (ექსკლუზიურია, პირობითი თუ სხვა ტიპის) არამართო საქმის ყველა გარემოება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, არამედ შემდეგი ორი კრიტერიუმიც; (1) ფასდათმობებს (ბონუსები, ა.შ.) შეუძლიათ თუ არა გამომრიცხავი ეფექტი ჰქონდეს შესაბამის ბაზარზე შესვლის დროს ბარიერების წარმოქმნის კუთხით და შესაძლოა თუ არა მომხმარებლებს სირთულე შეუქმნას მიწოდების სხვადასხვა წყაროს არჩევისას; და (2) დომინირებულ ეკონომიკურ აგენტს აქვს თუ არა ობიექტური ეკონომიკური გამართლება ფასდათმობისთვის<sup>188</sup>.

კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხება მიზნობრივ ფასდათმობებს არის *Tomrav Commission*<sup>189</sup>, სადაც CJEU-მ დამატებითი კრიტერიუმი შემოიტანა ფასდათმობის შეფასებისთვის, რომელიც გამოყენებული იყო *British Airways v Commission* საქმეში. კერძოდ, ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ფასდათმობის რაოდენობა (მაღალი თუ დაბალი) არ არის მნიშვნელოვანი და ფასდათმობებით იმის შესაძლებლობა, რომ გამოირიცხება კონკურენცია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ფასდათმობებს და ფასდაკლებებს ასევე მოიცავს გზამკვლევი დოკუმენტიც. თუმცა, კომისია საკმაოდ განსხვავებულ მიდგომას იყენებს ვიდრე პრეცედენტული სამართლითაა მოცემული. კონკრეტულად, გზამკვლევი დოკუმენტით მოცემულია, რომ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა პირობით ფასდათმობებად, მაგალითად, ისეთი ფასდათმობა, რომელსაც სთავაზობენ მოხმარებელს მაშინ, როცა მისგან რაღაც მოსალოდნელი მსყიდველობითი ქმედება უნდა განხორციელდეს. გზამკვლევი ასევე აცხადებს, რომ პირობით ფასდათმობებს

<sup>186</sup> Case T-219/99, *British Airways v Commission* case [2003]

<sup>187</sup> C-95/04 P, *British Airways v Commission* [2007]

<sup>188</sup> *Jones/ Suftrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 459-460

<sup>189</sup> T-155/06, *TomraSystems v. Commission* [2010]

შესაძლოა ჰქონდეს ანტიკონკურენციული ეფექტი. თუმცა ეს არ არის მისი სავალდებულო პირობა: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შეიძლება დადგინდეს მაშინაც, როცა საქმეში ფასდათმობა არ მოითხოვს დომინანტი ეკონომიკური აგენტის მხრიდან რაიმე დანაკარგს. ასეთ საქმეებში, კომისია მხედველობაში იღებს ფასებს, რომელსაც დომინანტი ეკონომიკური საწარმოს კონკურენტი გადაუხდოდა მომხმარებლებს, პირობითი ფასდათმობით გამოწვეული დანაკარგის კომპენსაციის სახით, მაშინ როცა მოხმარებლები შეწყვეტენ დომინანტი ეკონომიკური სააგენტოსგან პროდუქციის შესყიდვას. საქმეებში, სადაც ფასები შესაძლოა მაღალია და დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტებისთვის სირთულეს წარმოადგენს თანაბარი კონკურენციის ან ზოგადად, კონკურენციის გაწევა, კომისია ადგენს დარღვევას. თუმცა, საქმეებში, სადაც ფასები გონივრულია, კომისია მხედველობაში იღებს სხვა ფაქტობრივ გარემოებებსაც, რომელიც კონკურენციის პოტენციური შეზღუდვის ან ბაზარზე შესვლის შეფერხების მტკიცებულებაც შეიძლება იყოს.

ფასდათმობებისა და ფასდაკლებების ნაწილის შესაჯამებლად, შეიძლება ითქვას, რომ: (ა) რაოდენობრივი ფასდათმობები კანონიერია თუ ის ყველა მომხმარებლისთვის თანაბარია; (ბ) ექსკლუზიური ან ფასდათმობები ერთგულებისთვის მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად; (გ) მიზნობრივი ფასდათმობები მიიჩნევა ფასდათმობად ერთგულებისთვის და შესაძლოა გამომრიცხავი ეფექტის ტესტს ექვემდებარება; (დ) რეტროაქტიული ფასდათმობები (სტანდარტიზებული) ძირითადად არსებულ ან შესაძლო ანტიკონკურენციული ეფექტის დადგენის ტესტს ექვემდებარება ან განხილვისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი ფასდათმობის მეთოდები და მათი ბუნება.

### ექსკლუზიური ვალდებულებები და ექსკლუზიური გარიგებები

შეთანხმება, როცა მიმწოდებელი მომხმარებელს ავალდებულებს შესაბამისი პროდუქცია სრულად ან ამ პროდუქციის უდიდესი ნაწილი მხოლოდ მისგან შეიძინოს, ეს შემთხვევაც 102-ე მუხლით იფარება და მიიჩნევა, როგორც ექსკლუზიური გარიგება/ექსკლუზიური შესყიდვა. გზამკვლევი ზემოაღნიშნულ გარიგებებს ერთი ტერმინით მოიხსენიებს: ექსკლუზიური-ქცევითი გარიგებები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 102-ე მუხლი ფარავს არა მხოლოდ სახელშეკრულებო ექსკლუზიურობას, როცა ექსკლუზიური გარიგება გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, არამედ ასევე *de jure* ექსკლუზიურ გარიგებას, როცა ექსკლუზიურობის წერილობითი გათვალისწინება არ ხდება.

ექსკლუზიური გარიგებით მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევა საქმე *Van Den Bergh Foods Ltd v Commission* (2003).<sup>190</sup>. ამ საქმეში, ნაყინის მწარმოებელმა Van Den Bergh Foods Ltd, მაცივრებით მოამარაგა

<sup>190</sup> Case T-65/98, *Van Den Bergh Foods Ltd v Commission* [2003]

საცალო ვაჭრობის ობიექტები საცალო მოვაჭრეებისთვის, თუმცადა აუკრძალა სხვა პროდუქტების განთავსება თავისი პროდუქციის გარდა. კომისიამ დაადგინა, რომ Van Den Bergh Foods Ltd-მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა ექსკლუზიურობის მოთხოვნით, ვინაიდან ეს ექსკლუზიური გარიგებები კონკურენციის სიხშირეს ამცირებდა სხვა არსებულ ეკონომიკურ საწარმოებს შორის და ბარიერებს ქმნიდა შესაბამის ბაზარზე.

ექსკლუზიურ გარიგებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი საქმე, კერძოდ კი, ექსკლუზიურ შესყიდვასთან, იყო *Hoffman La-Roche Co AG v Commission*.<sup>191</sup> ამ საქმეში, კომისიამ დაადგინა, რომ თუ დომინანტი ეკონომიკური აგენტი ბოჭავს მყიდველებს, თუნდაც ეს „მათი მოთხოვნით იყოს, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს მათ მიერ მიცემული პირობიდან ან ვალდებულებიდან, რომ მოთხოვნები შესყიდვის კუთხით მხოლოდ აღნიშნულ დომინანტ ეკონომიკურ აგენტთან ექნებოდათ, ეს ნიშნავს 102-ე მუხლით გათვალისწინებულ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.“<sup>192</sup>

საქმეში *Coca Cola v Commission (2005)*<sup>193</sup> კომისიამ დაადგინა, რომ კოკა-კოლას კომპანიამ დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე ბოროტად გამოიყენა და ამაში იგულისხმება *de facto* და *de jure* ექსკლუზიურობასთან დაკავშირებული პრაქტიკა. კერძოდ, კოკა-კოლას კომპანიამ საცალო მოვაჭრეებთან დადო ექსკლუზიური ხელშეკრულებები და აწვდიდა მათ ტექნიკურ გასაყიდ ალჭურვილობას ექსკლუზიური პირობებით. კონკრეტულად, კოკა-კოლას კომპანია აწვდიდა ცივი სასმელების საყინულეებსა და ჩამოსასხმელ აპარატებს საცალო მოვაჭრეებს უფასოდ, თუმცა მათგან ითხოვდა მხოლოდ კოკა-კოლას კომპანიის პროდუქცია განეთავსებინათ ამ ალჭურვილობებში. კომისიამ დაადგინა, რომ ალჭურვილობის უფასო მიწოდებამ აღმოფხვრა ნებისმიერი სახის სურვილი საცალო მოვაჭრეებში, განეთავსებინათ სხვა საყინულეები. კომისიამ მოგვიანებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ზემოაღნიშნული ქმედება კოკა-კოლას მხრიდან საბოლოოდ უზღუდავდა მომხმარებლებს შესაძლებლობას შეეძინათ სხვა სასმელები და კოკა-კოლას კომპანიის კონკურენტები შესაბამისად მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას თავისი პროდუქციის დისტრიბუცია განეხორციელებინათ და გაეყიდათ, რომელმაც, თავის მხრივ, შეაფერხა კონკურენცია<sup>194</sup>. გზამკვლევი ასევე ფარავს ექსკლუზიურ შესყიდვასთან დაკავშირებულ დარღვევებს, კონკრეტულად კი აცხადებს, რომ ექსკლუზიური შესყიდვის ვალდებულების შედეგია ანტიკონკურენციული შედეგები მაშინ, როცა დომინანტი ეკონომიკური აგენტს, როგორც სავაჭრო პარტნიორს, ვერ აირიდებ ან დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ინდივიდუალური მომხმარებლის სრული მოთხოვნები ვინაიდან არსებობს წარმოების შეზღუდვა ექსკლუზიური გარიგებების შედეგად. კომისია ამავდროულად აცხადებს გზამკვლევ დოკუმენტში, რომ : „თუ კონკურენტებს

<sup>191</sup> Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission*, [1979]

<sup>192</sup> *Ibid*, para. 89

<sup>193</sup> Case COMP/A.39.116/B2 – *Coca-Cola* [2005]

<sup>194</sup> *Ibid*.

შეუძლიათ თანაბარი პირობებით იბრძოლონ თითოეული მომხმარებლის მთლიანი მოთხოვნისთვის, ექსკლუზიური შესყიდვის ვალდებულებებმა ნაკლებად სავარაუდოა შეაფერხოს ეფექტიანი კონკურენცია. ეს იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლა არ წარმოადგენს სირთულეს ასეთი ვალდებულების (შესყიდვის ექსკლუზიური ვალდებულების) ხანგრძლივობის გამო.“

<sup>195</sup>.

გზამკვლევ დოკუმენტში კომისია ხაზს უსვამს ექსკლუზიურობის ხანგრძლივობის როლს: რაც უფრო დიდხანს გრძელდება ექსკლუზიურობა, მით უფრო მეტად ანტიკონკურენციული ეფექტი აქვს მას. თუმცა, საქმეებში, სადაც დომინანტი ეკონომიკური აგენტი გარდაუვალი სავაჭრო პარტნიორი იყო ყველა მომხმარებლისთვის ან მომხმარებელთა უმეტესობისთვის, თუნდაც მცირე დროით ექსკლუზიური შესყიდვის ვალდებულებას შესაძლოა ჰქონდეს ანტიკონკურენციული ეფექტი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გზამკვლევმა აცხადებს, რომ ყველა საქმეში დომინანტმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა წარმოადგინოს დასაბუთება ექსკლუზიურობისთვის. მაგალითად, ძლიერი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, ექსკლუზიურობასთან კავშირში მყოფი კონკრეტული საინვესტიციო ურთიერთობა შესაძლოა მიიჩნეს დასაშვებად<sup>196</sup>.

#### **IPR-ების არასწორი გამოყენება ან სხვა მარეგულირებელი პროცედურები**

ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის კვლევა და ანალიზი ცხადყოფს, რომ მარეგულირებელი ორგანოების წინაშე, კონკურენტების შესახებ ფაქტების დამახინჯების და ამ გზით მათი გაძევების ან სხვა ნორმატიული პროცედურების განზრახი ბოროტად გამოყენებისკენ მიმართული სხვადასხვა ნაბიჯები, მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ ქმედებად 102-ე მუხლის მიხედვით. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო Astra Zeneca AB and Astra Zeneca plc v Commission<sup>197</sup>. ამ საქმეში, კომისიამ დაადგინა, რომ AstraZeneca-მ, ფარმაცევტულმა კომპანიამ, ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა პროტონის ტუმბო ინჰიბიტორებთან დაკავშირებით შემდეგნაირად: (1) წარმოადგინა მცდარი და არასწორი ინფორმაცია სასამართლოსა და პატენტის სამსახურში, რათა მიეღო დამატებით დამცველი სერტიფიკატები, რომლებიც დამატებითი დაცვა იქნებოდა თავისი IPR-ებისთვის (კაფსულა-წამალი); (2) გამოიყენა მარეგულირებელი პროცედურები Losec-ის კაფსულის ფორმების თავიდან დარეგისტრირებისთვის, რამაც შეაფერხა კონკურენცია. კონკრეტულად, განმეორებითმა რეგისტრაციამ Astra Zeneca-ს კონკურენტებს არ მისცა საშუალება გენერიკული წამლები მიეყიდათ Losec-ისთვის, ვინაიდან გვაროვნული წამლებით ბაზრებზე შესვლა კაფსულის ბაზარზე ავტორიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო და წინასარეგისტრაციო პროცედურა კონკურენტებისთვის ყოველთვის ახანგრძლივებდა ბაზარზე შესვლის პროცედურასა

<sup>195</sup> *Ibid.* para 36

<sup>196</sup> *Ibid.*

<sup>197</sup> C-457/10 P, *Astra Zeneca v Commission* [2012]

და წამლების გაყიდვას. Astra Zeneca-მ გაასაჩივრა ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ დააკმაყოფილა კომისიის გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ მიუხედავად დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა, რომელიც ობიექტური კონცეფციაა და არ გულისხმობს არაკეთილსინდისიერებას ან წინდახედულობას, IPR-ის საქმეებში, სადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ხდება, განზრახვა არის შესაბამისი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია, ბოროტად გამოყენების დასადგენად. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი საკითხია კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა (ანტიკონკურენციული ეფექტი), რომელიც დადგინდა კომისიის მიერ. ფაქტობრივი და სავარაუდო ეფექტები არარელევანტურია. სასამართლომ მიუთითა, მიუხედავად იმისა, რომ დომინანტი ეკონომიკური აგენტები არ არიან ვალდებული დაეხმარონ თავიანთ კონკურენტებს, მოცემულ საქმეში, AstraZeneca ვალდებული იყო არ მოეხდინა ხელახალი რეგისტრაცია და გაეგრძელებინათ საბაზრო ავტორიზაცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მის კონკურენტებს ბაზარზე შესულიყვნენ.

#### **აბსტრაქტული (უსაფუძვლო) შეზღუდვების ბოროტად გამოყენება**

აბსტრაქტული (უსაფუძვლო) შეზღუდვების ტერმინი კომისიამ პირველად გამოიყენა Intel - ის საქმეზე, სადაც განიხილავდა სფეროში მოწინავე წარმოების საქმიანობებს, მიმართულს მათი კონკურენტი ფირმების პროდუქტების მარკეტინგის პროცესის შეფერხებაზე, შეზღუდვასა და ჩაშლაზე.<sup>198</sup> ასეთი შეზღუდვები მსგავსია პირობიანი ფასდათმობებისა; განსხვავება არის ის, რომ აბსტრაქტული (უსაფუძვლო) შეზღუდვები მცირე ხანგრძლივობისაა და ასეთი ქმედებები მიმართულია კონკურენტების კონკრეტულ პროდუქციაზე/მომსახურებაზე. მსგავსი ქმედებები აღწერილია ასევე კომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტში, სადაც ნათქვამია: „შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთი გარემოებების არსებობას, რომელთა გათვალისწინებისას, კომისიას აღარ სჭირდება დეტალური შეფასების ჩატარება იმის დასადგენად, რომ ექვემდებარებული ქცევა (უსაფუძვლო შეზღუდვები) მომხმარებლებისთვის ზიანის მომტანი იქნება. თუ იკვეთება, რომ ამგვარი ქცევა სავარაუდოდ მხოლოდ წინააღმდეგობებს ქმნის კონკურენციისთვის და სახეზე არ არის ეფექტიანობა, უნდა დავასკვნათ მისი ანტიკონკურენციული შედეგები (ზეგავლენა) (იხ. პარ. 22). ამის შემდგომ, კომისიას მოჰყავს ზემოთხსენებული ქმედების მაგალითი: „დომინანტი ეკონომიკური აგენტი უზღუდავს თავის მომხმარებლებს კონკურენტების პროდუქტების ტესტირებას ან ახდენს მათ ფინანსურად სტიმულირებას, იმ პირობით, რომ ისინი არ გააკეთებენ ამას, ან გარიგებაში შედის დისტრიბუტორთან ან მომხმარებელთან იმ მიზნით, რომ კონკურენტის პროდუქტის პრეზენტაცია შეფერხდეს.“<sup>199</sup>

<sup>198</sup> Jones/ Sufirin: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 557-559

<sup>199</sup> Ibid.

## არასამართლიანი ფასები და არასამართლიანი სავაჭრო პირობები

არასამართლიანი ფასებისა და არასამართლიანი სავაჭრო პირობების ზოგადი აკრძალვა დაწესებულია 102(ა) მუხლით. იმის გათვალისწინებით, რომ დაბალი ფასების დაწესება ძირითადად მოიცავს მტაცებლური და გამომრიცხავი ფასების დაწესებას, რომელიც განხილულია ამ ნაშრომში, წინამდებარე ნაწილი ეძღვნება არასამართლიანად მაღალი ფასებსა და არასამართლიან სავაჭრო პირობებს.

ზოგადად აღიარებულია, რომ დომინანტი ეკონომიკური აგენტების მიერ მაღალი ფასების დაწესება შეიძლება იყოს იმ საჭიროებაზე მინიშნება, რომ ახალმა კონკურენტებმა დაბალი ფასების შეთავაზება დაიწყონ. თუმცა, იმ ბაზრებზე, სადაც ბაზარზე შესვლისას დაბრკოლებებია, მაღალი ფასები შესაძლოა პრობლემას წარმოადგენდეს და ზიანს აყენებდეს მომხმარებელს. როგორც ყოველთვის, მაღალი ფასი ბუნებრივი ან სამართლებრივი მონოპოლისტების მიერ წესდება რეგულირებად სექტორში. ორი საქმეა, სადაც მაღალი ფასის დაწესება მოხდა არაბუნებრივ მონოპოლიურ ბაზარზე. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო *United Brands v Commission*, სადაც კომისიამ განაცხადა, რომ კომპანია ბანანს ყიდდა იმაზე მაღალ ფასად, ვიდრე მისი კონკურენტი და რომ ფასები პროდუქციის ეკონომიკურ ღირებულებასთან შედარებით გადაჭარბებული იყო. თუმცა, CJEU-მ ამ ნაწილში გააუქმა კომისიის გადაწყვეტილება, ვინაიდან კომისიამ ვერ დაამტკიცა მაღალი ფასის დაწესების არასამართლიანი ბუნება. ამავე დროს, სასამართლოს მიერ შეთავაზებულ იქნა ტესტი, რომელიც კომისიას უნდა გამოეყენებინა არასამართლიანად მაღალი ფასების არსებობის განსაზღვრისთვის. CJEU-მ განაცხადა, რომ შემდეგი ორი ფაქტორი კუმულაციურად უნდა იქნეს გათვალისწინებული: (1) არის თუ არა ფასი გადაჭარბებული; (2) ფასი არასამართლიანია კონკურენტის პროდუქციის ფასთან შედარებით თუ ზოგადად, არასამართლიანია.<sup>200</sup>

IPR-ის საქმეებთან დაკავშირებულ არასამართლიან ფასებზე მიდგომა გარკვეულწილად განსხვავებულია. CJEU-მ რიგ საქმეებში დაიჭირა პოზიცია, რომ ყოველთვის არ არის დარღვევა, როცა დაპატენტებული პროდუქტის (ან სხვა IPR-ის) ფასი უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენტი პროდუქტების ფასი<sup>201</sup>. თუმცა, საქმეში *Maxicar v Renault*<sup>202</sup> კომისიამ დაადგინა, რომ ისეთ საქმეებში, სადაც დომინანტი ეკონომიკური საწარმო უარს ამბობს თავისი IPR-ების ან მათი ნაწილის ლიცენზიის მიწოდებაზე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დადგინდება, თუ არასამართლიან ფასებს დაადგენს მისი ნაწილებისთვის.

<sup>200</sup> *Ibid.*

<sup>201</sup> *Jones/Sufrin: EU Competition Law Text, Cases and Materials*, 2016, p. 570

<sup>202</sup> C-38/98 – Renault [1988]

როგორც უკვე აღინიშნა, 102-ე მუხლის „ა“ ნაწილით იკრძალება ისეთი პრაქტიკა, როცა დომინანტი ეკონომიკური საწარმო არასამართლიან სავაჭრო პირობებს ადგენს. ერთ-ერთი ასეთი საქმე კომისიამ გამოიძია 1994 წელს, კერძოდ, Microsoft-ის საქმე<sup>203</sup>, სადაც Novell-ი, მსოფლიოს უდიდესი კომუნიკაციების კომპანია ჩოდა, რომ Microsoft Corporation აგებდა მას კომპიუტერების ოპერაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრიდან სხვადასხვა ანტიკონკურენციული ქმედებებით. კომისიამ დაიწყო გამოძიება და დაადგინა, რომ Microsoft-ის სალიცენზიო შეთანხმებები მოიცავდა პირობით დათქმებს, რომელიც სთხოვდა ლიცენზიატ მწარმოებლებს გადაეხადათ Microsoft Corporation-ისთვის ჰონორარი გადახდილი კომპიუტერების რაოდენობის შესაბამისად (ჰონორარი თითოეული კომპიუტერისთვის) იმის მიუხედავად, კომპიუტერი მოიცავდა თუ არა Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფას, კონკურენტების პროგრამულ უზრუნველყოფას მოიცავდა თუ საერთოდ არცერთ პროგრამულ უზრუნველყოფას. კომისიამ ასევე გაითვალისწინა სალიცენზიო ხელშეკრულებების გადამეტებულად ხანგრძლივი პერიოდი, როგორც კონკურენციის დამამახინჯებელი ფაქტორი. ამავე დროს, კომისიამ აღნიშნა, რომ „მინიმალურ ვალდებულებებს“ მოიცავდა სალიცენზიო ხელშეკრულებები, რომლებითაც ლიცენზიანტებს ავალდებულებდა გადაეხადათ ფასი „პროდუქციის ასლების მინიმალური ფიქსირებული რაოდენობისთვის“, მიუხედავად იმ ფაქტისა, გამოიყენებდნენ პროდუქციას თუ არა. Microsoft Corporation დაეთანხმა კომისიის ყველა რეკომენდაციას, აღმოფხვრა არასამართლიანი სავაჭრო პირობები სალიცენზიო ხელშეკრულებებისგან, შეამცირა სალიცენზიო ხელშეკრულებების ვადა და აღმოფხვრა თითოეული პუნქტი რომელიც გადახედვას საჭიროებდა. ამ სიტუაციაში, კომისიამ აღარ დაიწყო ოფიციალური პროცედურა<sup>204</sup>.

კიდევ ერთი საქმე არასამართლიანი სავაჭრო პირობებისა და შემზღუდავი შეთანხმებების იყო Tetra Pak II<sup>205</sup> (რომელიც, ნაშრომში უკვე განვიხილეთ), სადაც Tetra Pak -მა ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა იმ მხრივ, რომ მყიდველებს შესთავაზა მხოლოდ პირობები, რომლის თანახმად, კლიენტებს შეკეთებისა და სარემონტო მომსახურება მხოლოდ Tetra Pak-ში უნდა მიეღოთ და ბოლოს, Tetra Pak-ი იტოვებდა უფლებას, ნებისმიერ დროს მოეხდინა შემოწმება და დაეჯარიმებინა ხელშეკრულების მხარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის დარღვევისთვის.

ამ მხრივ, საინტერესოა *Duales System Deutschland v Commission* საქმე<sup>206</sup>, სადაც კომისიამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა გერმანულმა კომპანიამ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა (IPR – ით) სალიცენზიო ფასების შეცვლით „Green Dot“-ის ლოგოზე, რომელსაც საერთოდ არ იყენებდა.

<sup>203</sup> Commission investigation in Microsoft case (1994), <http://bit.ly/2sWAIHl>

<sup>204</sup> *Ibid.*

<sup>205</sup> C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]

<sup>206</sup> C-385/07 P, *Der GrünePunkt - Duales System Deutschland GmbH v Commission* case [2009]



## წარმოების შეზღუდვა

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უკანასკნელი ფორმა, რომელსაც ამ ნაშრომში განვიხილავთ, არის წარმოების შეზღუდვა, აკრძალვა, რომელიც მოცემულია 102-ე მუხლის „ბ“ პუნქტში: „წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების შეზღუდვა მომხმარებელთა საზიანოდ“. ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა ცხადჰყოფს, რომ უმრავლეს საქმეში, ასეთი სახის დარღვევა საჯარო დაწესებულებების მიერ ხდება. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო *Merci convenzionaliporto di Genova SpA v Siderurgica Gabrielli SpA*<sup>207</sup>, სადაც კომისიამ დაადგინა, რომ Port of Genova-მ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა (დაკანონებული მონოპოლია) თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებაზე უარის თქმით და ამ მხრივ აწია ფასები და გამოიწვია დაყოვნებები (applying delays). თუმცა, ამ ტიპის ბოროტად გამოყენება ასევე შესაძლოა განხორციელდეს კერძო ეკონომიკური აგენტების მხრიდანაც. კონკრეტულად, ეს იყო პრობლემა საქმეში *P& I Clubs, IGA and No IV/D* (ეხება საზღვაო დაზღვევის ასოციაციებს)<sup>208</sup>, სადაც კომისიამ ვერ დაადგინა 86 (102)-ე მუხლის დარღვევის ფაქტი. თუმცა გამოიყენა ტესტი, რათა განესაზღვრა, როდის შეიძლება მიჩნეულ იქნეს მსგავსი ქმედება პროდუქციის შეზღუდვად. აღსანიშნავია, რომ გამოიძევა იწყება მაშინაც, როცა „არსებობს არაკონსტრუქციული და ამკარა მტკიცებულებები იმაზე, რომ მოთხოვნის უმნიშვნელოვანესი ნაწილი აღმოიფხვრება ისეთი მომსახურებით, რომელიც უდავოდ ესაჭიროება“.<sup>209</sup>

## დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ჯგუფური დომინირების საქმეებში

ჯგუფური დომინირება შესაძლოა განისაზღვროს არამხოლოდ ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტით, რომლებიც ერთმანეთთან ეკონომიკურად არიან დაკავშირებულნი, არამედ თითოეული ეკონომიკური აგენტიც (პირთა ჯგუფი, რომლებიც მიიჩნევიან ერთ ეკონომიკურ აგენტად). ამ მხრივ, რამდენიმე საქმე არსებობს, სადაც კოლექტიური დომინირება დაკავშირებულია კარტელებთან და განხილულია ამ კონტექსტში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ამ კონტექსტში ევროკავშირის შერწყმის რეგულაციაც იგულისხმება. მსგავსად ცალკეული დომინირებისა, კოლექტიური დომინირებაც არ არის დარღვევა: დარღვევაა, კოლექტიური დომინირების ბოროტად გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიურ დომინირებასთან დაკავშირებით სულ რამდენიმე საქმე არსებობს, ნაშრომში მიმოვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან მათგანს.

<sup>207</sup> Case C-179/90, *Merci convenzionaliporto di Genova SpA v Siderurgica Gabrielli SpA*. Case [1991]

<sup>208</sup> Cases No IV/D-1/30.373, *P& I Clubs, IGA and No IV/D* case [1999]

<sup>209</sup> *Ibid.* para 128

ერთ-ერთი ასეთი საქმეა იყო *Compagnie Maritime Belge Transports SA v Commission*.<sup>210</sup> ეს კომპანია ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებით გაერთიანდა თავის კონკურენტებთან, რათა ფასის შერჩევითი შემცირების მეშვეობით შესაბამისი ბაზრიდან გაეძევებინათ თავიანთი დამოუკიდებელი კონკურენტი. კომისიამ დაადგინა, რომ კომპანიები ფლობდნენ ჯგუფურ დომინირებულ მდგომარეობას და ბოროტად იყენებდნენ მას (ამ კომპანიებმა დაარღვიეს 101-ე მუხლი, რომელიც ეხება არაკონკურენციულ შეთანხმებებსა და კარტელს). *Compagnie Maritime Belge Transports SA*-მა გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ ევროსასამართლომ ძალაში დატოვა კომისიის გადაწყვეტილება. CJEU-მ დაასკვნა, რომ ჯგუფური დომინირებისას, დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: (1) ეკონომიკური აგენტების ჯგუფის არსებობა; (2) ეკონომიკური აგენტების ჯგუფის მხრიდან შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა; (3) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ჯგუფური დომინირებული მდგომარეობის არსებობის განსაზღვრისთვის გასათვალისწინებელია ეკონომიკური კავშირები ან სხვა ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ აგენტებს შორის კავშირს ამყარებს და ბაზრის ანალიზის შემდგომ, თუ ასეთ საქმეებში არსებობს საიდუმლო შეთქმულება, დომინირებული მდგომარეობის არსებობა სხვა ფაქტორების ანალიზის გარეშეც აშკარა ხდება. საქმეში *Atlantic Container Lines AB and other v Commission*<sup>211</sup> *Atlantic Container Lines AB* - მა და სხვა თხუთმეტმა გადამზიდავმა კომპანიამ ბოროტად გამოიყენეს ჯგუფური დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე ტრანსალტანტიკური ლაინერის მომსახურების ხელშეკრულებაზე შეთანხმებით აშშ სა და ჩრდილოეთ ევროპას შორის და ამას დაემატა ერთმანეთთან შეთანხმებული ქმედებებიც. კონკრეტულად კი, ამ კომპანიებმა ჯგუფური დომინირებული მდგომარეობა გამოიყენეს (1) მომსახურების ხელშეკრულების შინაარსსა და ხელმისაწვდომობაზე შეზღუდვების დაწესების მოსამზადებლად და (2) შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეცვლის და საკუთარი დომინირებული მდგომარეობის განმტკიცების გზით, რასაც მიაღწიეს ახალ კონკურენტებთან საიდუმლო შეთანხმებების გაფორმებით. ევროკავშირის სასამართლომ უცვლელად დატოვა კომისიის გადაწყვეტილება პირველ ნაწილში, მეორეში კი, მიიჩნია, რომ კომისიის მიერ წარდგენილი ფაქტები არ იყო საკმარისი ამ ნაწილში კანონდარღვევის დასამტკიცებლად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ ჰქონდეთ დომინირებული მდგომარეობა, თუ ისინი ერთმანეთს უკავშირებიან ვერტიკალურად. მსგავსი დომინირების მაგალითი ასახულია საქმეში *Irish Sugar plc. v Commission*<sup>212</sup>, სადაც *Irish Sugar*, ჭარხლის შაქრის მწარმოებელი კომპანია, *Sugar Distributors Ltd*-სთან, მისი პროდუქციის დისტრიბუტორ კომპანიასთან ერთად (სადაც *Irish Sugar* ფლობს წილის 51%-ს, ბოროტად გამოიყენა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე

<sup>210</sup> C-395/96 P - *Compagnie Maritime Belge Transports and Others v Commission* [2000]

<sup>211</sup> T-191/98 - *Atlantic Container Line and Others v Commission* [2003]

<sup>212</sup> *Ezrachi*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 2016, pp. 322-323

დისკრიმინაციული/შერჩევითი ფასთა პოლიტიკის გამოყენებისა და მეორადი ბაზრიდან კონკურენტთა გაძევების გამო).

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ გზამკვლევი არანაირ მითითებას არ მოიცავს კოლექტიურ დომინირებაზე; ის მხოლოდ განიხილავს თითოეული ეკონომიკური საწარმოს მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

კოლექტიური დომინირების ბოროტად გამოყენების ნაწილი რომ დავასრულოთ, უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური დომინირება შეიძლება მიჩნეულ იქნეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განვითარებად ფორმად.

### **პასუხისმგებლობა 102-ე მუხლის დარღვევისთვის**

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით, კომისიას დაწესებული აქვს ჯარიმები 102-ე მუხლის დარღვევისთვის.<sup>213</sup> ჯარიმის დაანგარიშების საწყისი წერტილია ეკონომიკური აგენტის მიერ პროდუქციის წლიური გაყიდვების არაუმეტეს 30%, შემდეგ მიღებული რიცხვი მრავლდება თვეებისა და წლების რაოდენობაზე, რა დროის განმავლობაშიც მიმდინარეობდა კანონის დარღვევა. განმეორებითმა დაჯარიმებამ ან სხვა ყურადსაღებმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს ჯარიმის მომატება ან დაკლება. ჯარიმის მაქსიმალურმა რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის არაუმეტეს 10%-ს.<sup>214</sup> სტრუქტურული ანაზღაურება გულისხმობს, კომისიის უფლებამოსილებას დაეყოს დომინანტი ეკონომიკური აგენტები, რომელთაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავათ დომინირებული მდგომარეობა და როდესაც არის რისკი „გრძელვადიანი და განმეორებითი დარღვევები მოხდეს აღნიშნული სტრუქტურიდან გამომდინარე“ ეკონომიკური აგენტის მხრიდან, კომისია ინარჩუნებს პროპორციულობას.<sup>215</sup>

102-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია დააწესოს ქცევითი ანაზღაურება ან დროებითი ზომები.<sup>216</sup>

ქცევითი ანაზღაურება გულისხმობს უბრძანოს ეკონომიკურ საწარმოს შეწყვიტოს დარღვევა, არ დაარღვიოს კანონი მომავალში ან უბრძანოს კონკრეტული შემზღვეველი ვალდებულებების შესრულება: ზოგჯერ ეს უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტურია, ვიდრე ეკონომიკური საწარმოს დიდი ოდენობით დაჯარიმება.

ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კონკურენციის სამართალი მოიცავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ევროკავშირის

<sup>213</sup> More information on Commission competences, investigation and decision-making procedure can be found in "Rules Applicable to Antitrust Enforcement – General Rule" Guidance provided by Commission, available at <http://bit.ly/2sMqvP7>

<sup>214</sup> Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003, (2006/C 210/02), <http://bit.ly/2tclvYs>

<sup>215</sup> Council Regulation 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, <http://bit.ly/2rSNqFp>

<sup>216</sup> Council Regulation 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty <http://bit.ly/2rSNqFp>

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის და სასამართლო პროცედურებს მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი ეძღვნება კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხის კვლევასა და ანალიზს, რომლის მიზანია ბაზრებზე კონკურენციის დამახინჯების პრევენცია დომინირებული ეკონომიკური აგენტების მხრიდან განხორციელებულ განზრახულ ქმედებებზე.

ნაშრომის მიზნის მისაღწევად, გაანალიზებულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები და პროცედურები და პასუხისმგებლობის საკითხები სომხეთის, საქართველოსა და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით, ისევე როგორც, პრეცედენტულ სამართალში ამ სამართლებრივი ნორმების გამოყენების საკითხები.

ნაშრომი გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

საქართველოში, სომხეთსა და ევროკავშირში, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენა ხდება შემდეგი აქტივობებით: (1) შესაბამისი ბაზრის განსაზღვრით; (2) დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის განსაზღვრით; (3) იმის დადგენით, დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული ქმედებები რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონმდებლობის მიხედვით მისივე პოზიციის ბოროტად გამოყენებად.

ამასთან, ევროკავშირისა და სომხეთის კანონმდებლობით, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მოიცავს შესაბამისი სასაქონლო და გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრასაც. მაშინ, როცა ქართული კონკურენციის სამართალი შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას სამი კუმულაციური პარამეტრით ახდენს: (1) სასაქონლო ბაზრის; (2) გეოგრაფიული ბაზრისა; და (3) საქონლის/მომსახურების ბაზრის (კონკრეტული პერიოდით) ვადებით.

ზემოაღნიშნული შესაბამისი ბაზრის განსაზღვრების კრიტერიუმი აკადემიურ ლიტერატურაშიცაა შემოთავაზებული<sup>217</sup>, სადაც ავტორების მიერ შემოთავაზებულია დროებითი ბაზრების, როგორც კონკრეტული სფეროებისთვის (როგორცაა სატრანსპორტო სფერო) დამოუკიდებელი კრიტერიუმის განსაზღვრის შესაძლებლობა მიწოდებისა და მოთხოვნის დასაშვებობასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზოგადი მიდგომისა, ბაზარზე არსებობის დრო მისაღებია კუმულაციურად იმ სხვა

<sup>217</sup> *Jones/ Sufrin*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 2016, pp. 375-376; *Lorenz*: An Introduction to EU Competition Law, 2013, p. 274; *Frenz*: Handbook of EU Competition Law, 2015, p. 685; *Dabbah*: EC and UK Competition Law, Commentary, Cases and Materials, 2004, pp. 73-74; *Kaczorowska*: European Union Law, 2013, p. 842; *Whish/ Bailey*: Competition Law, 2015, p. 42 etc.

პარამეტრებთან ერთად (სასაქონლო და გეოგრაფიულ ბაზრებთან ერთად), რომლებსაც შეუძლიათ სირთულეები შექმნან საქართველოს კონკურენციის სახელისუფლებო ორგანოებისთვის შესაბამისი ბაზრის გათვალისწინებით, ვინაიდან დროის განრიგი ყველა სახის ბაზრისთვის არაა რელევანტური, მაშინ როცა, კონკრეტულ ბაზრებზე, სადაც დროის გაანგარიშებას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა მოთხოვნის მხარეზე (მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დროის განრიგი სამუშაო დღეების განმავლობაში და ა.შ.)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირს უფრო ფართო მიდგომა აქვს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის მხრივ მიწოდების მოცულობის გათვალისწინებით (გათვალისწინებულია პროდუქციის მომხმარებელთა შესაძლებლობა გადაერთონ სხვა მსგავს პროდუქტზე) პოტენციური კონკურენციის ფარგლებში. ამავე დროს, ქართული კონკურენციის სამართალი შესაბამისი სასაქონლო ბაზრის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს მიწოდებისა და მოთხოვნის შემცვლელეების ფაქტორსაც. მეორე მხრივ, სომხეთის კონკურენციის სამართალი აღიარებს მხოლოდ მოთხოვნის შემცვლელსა და კლასიფიკაციის მეთოდებს, რომელიც საკმარისად ზღუდავს სომხეთის კონკურენციის სახელისუფლებო ორგანოს შესაძლებლობებს დაიცვას კონკურენცია იმ ბაზრებზე, რომელიც იმდენად მცირეა ან იმ დონეზე დიდი, რომ ვერ ხერხდება მოთხოვნის შემცვლელეების განსაზღვრა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომხეთის კონკურენციის სახელისუფლებო ორგანო შესაბამის ბაზარს განსაზღვრავს კლასიფიკაციის მეთოდის დახმარებით, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ისეთი ბაზრები, რომლებიც რთულია მიწოდების, მოთხოვნის შემცვლელეებისა ან პოტენციური კონკურენციის ფაქტორების გათვალისწინებითაც.

სამი კანონმდებლობის განხილვის საფუძველზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ზოგადი კრიტერიუმი მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მაინც არის მათ შორის მგავსება. კერძოდ, ევროკავშირის კონკურენციის სამართლის კანონმდებლობა დომინირებულ მდგომარეობას განსაზღვრავს დომინირებული ეკონომიკური აგენტის სიძლიერით ბაზარზე, სადაც ეს სიძლიერის კომპონენტები მოიცავს: დომინირებული ეკონომიკური აგენტისა და მისი კონკურენტების საბაზრო პოზიციებს, არსებული მიმწოდებლების მიერ დაწესებული შეზღუდვების, მიმდინარე და სამომავლოდ შესაბამის ბაზარზე გაფართოების შეზღუდვის, მსყიდველობითი ძალის დაბალანსების ხარჯზე (შეზღუდვა გამომდინარეობს ეკონომიკური აგენტის მომხმარებლებთან ვაჭრობის სიძლიერის ხარჯზე). იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური აგენტი ბაზრის 50%-ზე მეტს ფლობს, ივარაუდება დომინირებული მდგომარეობის არსებობა, თუმცა როცა ბაზრის წილი 40%-ია, დომინირებული მდგომარეობა ამ დროსაც შეიძლება ივარაუდებოდეს, თუ არსებობს რაიმე დაბრკოლება შესაბამის ბაზარზე შესვლისას.

მეორე მხრივ, სომხეთის კონკურენციის კანონმდებლობა დომინირებულ მდგომარეობას განსაზღვრავს თუ ეკონომიკურ აგენტს გააჩნია საბაზრო ძალაუფლება (კომპონენტები მოიცავს: შესაბამისი ბაზრის ცენტრალიზაციის ხარისხს, ეკონომიკური საწარმოს ფინანსურ შესაძლებლობებსა და ბაზარზე შესვლისას წარმოქმნილ დაბრკოლებებსა თუ სხვა ფაქტორებს, შესაბამისი ბაზრის

სტაბილურობას და დომინირებული ეკონომიკური საწარმოს ზეგავლენას სხვა დაკავშირებულ ბაზრებთან), ან როცა ეკონომიკური საწარმო ფლობს ბაზრის 1/3 ან როცა ორი ეკონომიკური საწარმო ბაზრის 1/2-ს იყოფენ, ან როცა სამი ეკონომიკური საწარმო ერთად ფლობს ბაზრის 2/3-ს. სომხეთის კონკურენციის კანონმდებლობა ცალკე კრიტერიუმს ადგენს სავაჭრო ქსელების შემთხვევაში დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისთვის, კერძოდ, ადგენს, რომ სავაჭრო ქსელი შეიძლება განისაზღვროს დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის მოიცავს ოთხ ან მეტ სავაჭრო დაწესებულების ერთობლიობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომა სავაჭრო ქსელების მიმართ დისკრიმინაციულია, თუმცა მათი თავისებურებებისა და სირთულეების გათვალისწინებით, დომინირებული მდგომარეობის დასამკვიდრებლად, ეს კრიტერიუმი შეიძლება მიჩნეულ იქნეს სავაჭრო ქსელების ძალაუფლების მტკიცებულებად და განიხილებოდეს საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

საქართველოს კონკურენციის სამართლის მიხედვით, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ თუ შესაბამის ბაზარზე მათი წილი 40 %-ს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად: არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 %-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 %-ია; არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია; საქართველოს კონკურენციის სამართლის კანონმდებლობა დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს ასევე კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსურ სტატუსს, ბაზარზე შესვლისას წარმოქმნილ წინაღობებს ან წარმოების გაფართოვებას, მყიდველის საბაზრო ძალაუფლებას, ნედლეული წყაროების არსებობას, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხს, ქსელურ ეფექტებსა და სხვა ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბაზრო ძალაუფლებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის სამართალი სხვა ქვეყნების რეგულაციებისგან განსხვავდება იმით, რომ დასაშვებად მიიჩნევა 5 ეკონომიკური საწარმოს დომინანტურობის შესაძლებლობას. თუმცა, ასეთი დომინირებისას მხოლოდ საბაზრო წილის მხედველობაში მიღება არაა საკმარისი: საბაზრო წილი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა ისეთ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც ადასტურებენ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ბაზარზე შესვლისას არსებული წინაღობების ჩათვლით.

ევროკავშირის სამართალი დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისას, მხედველობაში იღებს საბაზრო ძალაუფლებას, თუმცა სომხეთისა და საქართველოს კონკურენციის სამართალი აცალკევებს საბაზრო წილს საბაზრო ძალაუფლებისგან და იყენებს მათ, როგორც დამოუკიდებელ მეთოდებს დომინირების განსაზღვრისთვის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მიდგომას ეთანხმებიან განვითარებული ქვეყნების კონკურენციის სააგენტოები და მიიჩნევა, რომ ეს მიდგომა მისაღებია აკადემიური სფეროსა და მეცნიერების წარმომადგენლებისთვისაც, ასევე, საბაზრო ძალაუფლების სხვა ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი, საბაზრო წილების ჩათვლით, ეკონომიკურ აგენტს აძლევს ძალაუფლებას ბაზარზე და შესაბამისად, ხდის მას დომინანტს.

კონკურენციის სამართლის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის შემდგომი ნაბიჯია იმის დადგენა, ბოროტად იყენებენ თუ არა დომინანტი ეკონომიკური აგენტები თავიანთ მდგომარეობას ბაზარზე. ამ მხრივ, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფორმებს, რომელსაც გვაწვდის ევროკავშირის, სომხეთისა და საქართველოს კონკურენციის სამართლის კანონმდებლობა, ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს: სომხეთის კონკურენციის კანონი აღიარებს ბოროტად გამოყენების ყველა ფორმას, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობით (როგორც 102-ე მუხლით ისე პრეცედენტული სამართალით). ამავე დროს, სომხეთის კონკურენციის სამართალი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს სხვა ეკონომიკური აგენტების დაძალებას რესტრუქტურისაციის, ლიკვიდაციის ან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტის მხრივაც, რაზეც ევროკავშირის სამართალი არ ახდენს ზედამხედველობას. მაშინ როცა, სომხეთის კონკურენციის სამართალი უფრო მეტად კონცენტრირებულია ფასების ბოროტად გამოყენებაზე, როგორცაა არასამართლიანად ძალაში ფასების მიჩნევა ბოროტად გამოყენებად. ევროკავშირის სამართალი ამას ბოროტად გამოყენებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუ ის შესაბამის ბაზარზე შესვლისას ბარიერებს წარმოქმნის. რაც შეეხება საქართველოს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის სამართალი TFEU 102-ე მუხლის მიხედვით ითვალისწინებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მტკიცების ფორმებს. თუმცა, ქართული კანონმდებლობა არ კრძალავს ბოროტად გამოყენების სხვა ძალიან მნიშვნელოვან ფორმებს (მარჟის შეზღუდვას დისკრიმინაციული ფასებიდან გამომდინარე, ფასდაკლებებსა და ფასდათმობებს, IPR-ების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და რეგულირების პროცედურებს, და სხვ.), რაც მიიჩნევა ევროკავშირის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. საქართველოს კანონი „კონკურენციის სამართლის შესახებ“ მე-6 მუხლში ბოროტად გამოყენების ჩამონათვლის შემდეგ იყენებს „და ა.შ.“, რითაც ტოვებს ღია სივრცეს და ამით არასწორად იყენებს მითითებას „და ა.შ.“. სამართლებრივ დოკუმენტში, განსაკუთრებით ისეთში, რომლითაც იზღუდება ეკონომიკური აგენტების თავისუფლება თავისი სურვილისამებრ წარმართონ თავიანთი ბიზნესი, „და ა.შ.“ გამოყენება სამართლებრივი სიზუსტის პრინციპს არღვევს, რომელიც სამართლებრივი დოკუმენტის კანონიერების საჭირო წინაპირობაა.

საბოლოო ნაბიჯი დომინირებული მდგომარეობის დადასტურებისთვის არის ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის პასუხისმგებლობის ზომების განხილვა. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის, საქართველოს და ევროკავშირის

კონკურენციის სამართალი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის. სომხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას (ჯარიმა ან პატიმრობა) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის, განსაკუთრებით არასამართლიანად მაღალი ან დაბალი მონოპოლიური ფასების ზრდის, შემცირებისა ან შენარჩუნებისთვის. ამ მხრივ, როგორც ევროკავშირის ისე სომხეთის კონკურენციის სააგენტოებს გააჩნიათ კომპეტენცია მიიღონ იმ დომინანტი ეკონომიკური აგენტების დაყოფის გადაწყვეტილება, რომლებმაც რამდენჯერმე ბოროტად გამოიყენეს თავიანთი დომინირებული მდგომარეობა; თუმცა კონკურენციის სააგენტოს მსგავსი კომპეტენცია არ გააჩნია: მას მხოლოდ შეუძლია იძულებითი ზედამხედველობის საკითხი წამოჭრას შესაბამის სტრუქტურებთან დომინანტი ეკონომიკური აგენტებთან მიმართებით.

აქედან გამომდინარე, ამ კვლევაში მოცემული ანალიზისა და ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, კრიტერიუმები, რომლებიც უკავშირდება შესაბამისი ბაზრის, დომინირებული მდგომარეობისა და მისი ბოროტად გამოყენების განსაზღვრას, ერთმანეთს ფარავენ, თუმცა, ის მეთოდოლოგია, რაც მათი სამართლებრივი შეფასებისთვის გამოიყენება, მცირედით განსხვავებულია. ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა დაშვება გაკეთდეს, რომ სამართლებრივ მექანიზმებს და იმ მექანიზმებით აპელირებაა, რომელიც კრძალავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, აქვთ უნივერსალური ხასიათი განხილულ კანონმდებლობებში.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს კვლევა ავლენს რამდენიმე სიცარიელესა და პრობლემურ საკითხს როგორც სომხეთის, ისე საქართველოს კონკურენციის სამართალსა და პრაქტიკაში, კვლევით შემოთავაზებულია შემდგომი გაუმჯობესებები:

### სომხეთისთვის

✓ შეიტანოს ცვლილებები და დამატებები კანონის მე-4 მუხლში და გაითვალისწინოს მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა და პოტენციური კონკურენცია, როგორც შესაბამისი პროდუქციული ბაზრის განსაზღვრის მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობასთან ერთად;

✓ შეიტანოს ცვლილებები და გარდაქმნას კანონის მე-6 მუხლი იმგვარად, რომ საბაზრო ძალაუფლება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი, იმ პირობებში, როცა საბაზრო წილებისა და სავაჭრო ქსელების კრიტერიუმი საბაზრო ძალაუფლების კომპონენტებია;

✓ შეიტანოს ცვლილება და დამატება ევროკავშირის მიერ გამოყენებული N190-ე მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისთვის;



✓ შეიტანოს ცვლილება და დამატება N194-ე გადაწყვეტილების შესაბამისად და გაითვალისწინოს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ამ კვლევაშია მოცემული, გააფართოვოს საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის კრიტერიუმები და ასევე, განავითაროს მისი შეფასების დეტალური მეთოდოლოგია;

✓ შეიტანოს ცვლილება და შეავსოს კანონის მე-7 მუხლი, რომლითაც გაითვალისწინებს IPR-ების ან სხვა მარეგულირებელი პროცედურების ბოროტად გამოყენებას, როგორც აკრძალულ საქმიანობას და შესაბამისად დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

### საქართველოსთვის

✓ შეიტანოს ცვლილება და შეავსოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-6 მუხლი, და ამოიღოს :“და ა.შ.“ სიტყვა ამ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტიდან“ და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ამ კვლევაში იქნა განხილული, გააფართოვოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენის ფორმები (102-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა);

✓ შეიმუშავოს ცალკე მეთოდური სამართლებრივი აქტები შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისთვის და შესაბამისი ბაზრის ამომწურავად და მკაფიოდ განსაზღვრისთვის გამოიყენოს ამ კვლევაში განხილული ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა;

✓ გააუმჯობესოს ბაზრის ანალიზის მეთოდური სახელმძღვანელოები, კერძოდ, N30/09-3 ბრძანების მე-5 მუხლს დაემატოს „ან/და“ „ბ“ კრიტერიუმის შემდგომ: ეს შესაძლებელს გახდის დროის მონაკვეთი მხედველობაში მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ საქმეებში, სადაც საჭიროა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა;

✓ ამჟამად არსებული მეთოდური სახელმძღვანელოები მოიცავს აშშ-სა და ევროკავშირის პრაქტიკას; თუმცა, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი და აშშ-ს კონკურენციის სამართალი ბევრ ასპექტში განსხვავდება ერთმანეთისგან; ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის უკეთ გამოყენება შეიძლება ევროკავშირის მეთოდოლოგიის გამოყენებით, შესაბამისად, ამ კვლევით, შემოთავაზებულია, შეიცვალოს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და შეეთავსოს ის უფრო მეტად ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობას: ეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევების აღმოჩენას ბევრად მოქნილს გახდის, ვინაიდან ის იკრძალება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე ევროკავშირის ხელშეკრულების 102-ე მუხლით;

✓ 5 ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირების განსაზღვრისთვის, გათვალისწინებული უნდა იყოს საბაზრო წილები შესაბამის ბაზარზე შესვლის დაბრკოლებებთან ერთად;

✓ აწარმოოს მეტი გამოძიება და ბაზრის კვლევა საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ინიციატივით.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს შედარებით ანალიტიკურ კვლევას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყოს სომხეთისა და საქართველოს კონკურენციის სფეროს წარმომადგენლებისთვის, რათა განვითარდეს კონკურენციის სამართალი და პრაქტიკა, როგორც სომხეთში ისე საქართველოში და მოხდეს კონკურენციის წესების დაახლოება ევროკავშირის კონკურენციის სამართალთან.

ამასთან, აღნიშნულ ნაშრომს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს კონკურენციის სამართლის განვითარებაში საქართველოსა და სომხეთში. და ბოლოს, ის შეიძლება იყოს მიმართულების მიმცემი როგორც სომეხი და ქართველი იურისტებისთვის, დაეხმარონ თავიანთ კლიენტებს მეზობელ ქვეყანაში და, ასევე ნებისმიერი პირისთვის, ვისაც სურს მეტი გაიგოს კონკურენციის სამართლის შესახებ.

## ბიბლიოგრაფია

*Anderman, Steve/ Schmidt, Hedvig*: EU Competition Law and Intellectual Property Rights: The Regulation of Innovation, 2<sup>nd</sup> edition, Oxford University Press, 2011

*Bilal, Sanoussi/ Ollareaga, Marcelo*: Regionalism, Competition Policy and Abuse of Dominant Position, *Journal of World Trade*, 32 (3), 1998

*Chalmers, Damian/ Davies, Gareth/ Monti, Giorgio*: European Union Law, Cases and Materials, New York, Cambridge University Press, 2010

*Dabbah, Maher M.*: EC and UK Competition Law: Commentary, Cases and Materials, Cambridge University Press, 2004

*Ezrachi, Ariel*: EU Competition Law, an Analytical Guide to the Leading Cases, 5<sup>th</sup> edition, Oxford and Portland, Oregon 2016

*Frenz, Walter*: Handbook of EU Competition Law, Springer, 2015

*Graham, Edward M./ Richardson, J. David*: Global Competition Policy, Peterson Institute Publication, 2007

*Jones, Alison/ Sufrin, Brenda*: EU Competition Law Text, Cases and Materials, 6<sup>th</sup> edition, United Kingdom, Oxford University Press, 2016

*Kaczorowska, Alina*: *European Union Law*, Routledge, 2013

*Kreiner Ramirez, Mary*: A Comparative Approach to Competition Law in the United States and Georgia: Regulating Unilateral Acts and Horizontal Agreements through Predictable Rules and Credible Enforcement, <http://bit.ly/2s8pJw>

*Lorenz, Moritz*: An Introduction to EU Competition Law, Cambridge University Press, 2013

*Miminoshvili, Temur*: The Mechanism of Relationships between State and Business and Perspectives of its Development, <http://bit.ly/2sHUzvn>

*O'Donoghue, Robert/ Padilla, A Jorge*: The Law and Economics of Article 102 TFEU, A&C Black, 2014

Official Journal of the European Communities, <http://bit.ly/2tbz5la>

*Østerud, Eirik*: Identifying Exclusionary Abuses by Dominant Undertakings Under EU Competition Law: The Spectrum of Test, Kluwer Law International, 2010

*Posner, Richard A./Landes, William M.*: Market Power in Antitrust Cases, <http://bit.ly/2sHKIFU>

*Sharma, Kaushal*: SSNIP Test: A Useful Tool, Not A Panacea, <http://bit.ly/2tcOliO>

*Szyszczak, Erika/ Cygan, Adam*: Understanding EU Law, 2<sup>nd</sup> edition, London, Sweet and Maxwell, 2008

*Weatherill, Stephen*: Cases and Materials on EU Law, 9<sup>th</sup> edition, New York, Oxford University Press, 2010

*Whish, Richard/ Bailey, David*: Competition Law, Oxford University Press, 2015

*Zukakishvili, Ketevan*: Two Years after Legal Transplantation in Georgia - the Best is yet to Come, Sofia Competition Forum (SCF) <http://bit.ly/2tLMY6W>

**სომხეთის და საქართველოს შიდა ნორმატიული მასალა:**

Constitution of Georgia, 24/08/1995

The Order № 30/09-3 of the Chairman of LEPL Competition Agency on the approval of methodological guidelines of market analysis, 30/09/2014

RA Civil Code - [www.arlis.am](http://www.arlis.am)

RA Criminal Code - [www.arlis.am](http://www.arlis.am)

RA law on the Protection of Economic Competition - <http://bit.ly/2t976sh> (February 20, 2017)

SCPEC decision 194-N on establishing the procedure and criteria for identification of monopolistic or dominant position of an economic entity, including market power, <http://bit.ly/2tM08ai> (February 20, 2017)

## ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო რეგულაციები:

Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, fully entered into force 1<sup>st</sup> of July, 2016; <http://bit.ly/2s8jTfm> (February 20, 2017)

The Treaty on the Functioning of the European Union, <http://bit.ly/2rTeB2Y> (February 20, 2017)

Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation), <http://bit.ly/2tMh7cM> (February 20, 2017)

European Parliament Fact Sheets, 3.3.2. Abuse of a dominant position and investigation of mergers, <http://bit.ly/2sddP03> (February 20, 2017)

Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 [Article 102 TFEU] of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings [C (2009) 864 final, [2009] OJ C45/7], <http://bit.ly/1R3BZkx> (February 20, 2017)

Council Regulation (EC) No 139/2004, <http://bit.ly/2tLHXBj> (February 20, 2017)

Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings (2009), <http://bit.ly/29Ohnx0> (February 20, 2017)

Rules Applicable to Antitrust Enforcement – General Rule, <http://bit.ly/2t9KuaU> (February 20, 2017)

Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003, (2006/C 210/02), <http://bit.ly/2tcJvYs> (February 20, 2017)

Council Regulation 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, <http://bit.ly/2rSNqFp> (February 20, 2017)

Council Regulation 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty, <http://bit.ly/2rSNqFp> (February 20, 2017)

## რელევანტური საერთაშორისო პრაქტიკა:

1. Case 6/72, *Europemballage Corporation and Continental Can Company v Commission*, [1973]
2. Case 85/76, *Hoffmann-La Roche v Commission*, [1979]
3. C-322/81 - *Michelin v Commission*, [1983]
4. T-374/94, *European Night Services and Others v Commission*, [1998]
5. C-27/76, *United Brands v Commission* [1978]
6. Case T-395/94 *Atlantic Container Line and Others v Commission* [2002]
7. C-250/92 *Gøttrup-Klim and Others Grovwareforeninger v Dansk LandbrugsGrovvareselskab* [1994]
8. T-30/89 *Hilti v Commission* [1991]
9. T-155/06, *TomraSystems v. Commission* [2010]
10. C-95/04 P, *British Airways v Commission* [2007]
11. Case COMP/C-3/37.792 — *Microsoft* [2004]
12. T-193/02 - *Piau v Commission*, T-342/99 - *Airtours v Commission*
13. T-68/89 - *SIV and Others v Commission* [1992]
14. C-395/96 P - *Compagnie Maritime Belge Transports and Others v Commission* [2000]
15. C-413/06 P, *Bertelsmann and Sony Corporation of America v Impala* [2008]
16. Case 6/72, *Europemballage Corporation and Continental Can Company v Commission*, [1973]
17. C-23/14, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet*, [2015]
18. Case IV/36.888 - 1998 *Football World Cup*, [1999]
19. C-209/10, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet*, [2012]
20. *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]
21. Case T-228/97, *Irish Sugar v Commission* [1999]
22. Commission decision on a case IV/34.621, 35.059/F-3 - *Irish Sugar pic* [1997]
23. Case T-301/04, *Clearstream Banking AG and Clearstream International SA v Commission of the European Communities* [2009]

24. Case T-128/98, *Aéroports de Paris v Commission*, [2000]
25. Case C-62/86, *AKZO v Commission* [1991]
26. C-202/07 P, *France Télécom SA vs Commission* [2009]
27. C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]
28. Case No IV/30.178 *Napier Brown — British Sugar* [1988]
29. Case C-280/08 P, *Deutsche Telecom v Commission* case [2010]
30. C-52/09, *Konkurrensverket v TeliaSonera Sverige AB* [2011]
31. Case IV/30.787 and 31.488 — *Eurofix-Bauco v. Hilti* [1987], T-30/89 - *Hilti v Commission* [1991]
32. C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]
33. T-201/04 *Microsoft v Commission* [2004]
34. Cases 6 and 7/73, *Istituto Chimioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission* [1974]
35. Case 22/78, *Hugin Kassaregister AB and Hugin Cash Registers Ltd v Commission* [1979]
36. IV/34.689 - *Sea Containers v. Stena Sealink* - Interim measures [1993]
37. Case C-7/97, *Oscar Bronner GmbH & Co. KG v Mediaprint Zeitungs- und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG, Mediaprint Zeitungsvertriebsgesellschaft mbH & Co. KG and Mediaprint Anzeigengesellschaft mbH & Co. KG* [1998]
38. Case 238/87, *AB Volvo v Erik Veng (UK) Ltd* [1988]
39. C-418/01 - *IMS Health* [2004]
40. C-322/81 - *Michelin v Commission* [1983]
41. C-23/14 - *Post Danmark* [2015]
42. Case C-163/99, *Portugal v Commission* [2001]
43. T-286/09, *Intel v Commission* [2009]
44. C-23/14 - *Post Danmark* [2015]
45. C-322/81 - *Michelin v Commission* [1983]
46. Case T-203/01, *Michelin II* [2003]

47. Case T-219/99, *British Airways v Commission* [2003]
48. C-95/04 P, *British Airways v Commission* [2007]
49. T-155/06, *TomraSystems v. Commission* [2010]
50. Case T-65/98, *Van Den Bergh Foods Ltd v Commission* [2003]
51. Case 85/76, *Hoffmann -La Roche v Commission*, [1979]
52. Case COMP/A.39.116/B2 – *Coca-Cola* [2005]
53. C-457/10 P, *AstraZeneca v Commission*[2012]
54. C-38/98 – *Renault* [1988]
55. C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, [1996]
56. C-385/07 P, *Der GrünePunkt - Duales System Deutschland GmbH v Commission* [2009]
57. Case C-179/90, *Merci convenzionaliporto di GenovaSpA vSiderurgicaGabrielliSpA* [1991]
58. Cases No IV/D-1/30.373, *P& I Clubs, IGA and No IV/D*[1999]
59. T-191/98 - *Atlantic Container Line and Others v Commission* [2003]